

Ձ Պ Լ Վ Ճ Ծ Ե

Թ Յ Ո Ւ Թ Ո Վ Ա Ր Ե Ն Ե Լ Ո

Վ Ա Ր Ե Ն Ե Լ Ո

№ 4

Տ 0081 Ա Խ Ո Ւ Թ Ո Վ Ա Ր Ե Ն Ե Լ Ո

Ց Ա Ր Ե Ն Ե Լ Ո

183

Ը Պ Ո Լ Ո Ս Ե

Ա Խ Ո Ւ Թ Ո Վ Ա Ր Ե Ն Ե Լ Ո Վ Ա Ր Ե Ն Ե Լ Ո Վ Ա Ր Ե Ն Ե Լ

1900

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Іюня 1900 г.



შ ე ნ ე რ ს ი

83°

I—ჟელილის გოდება. — (ეტიუდი)	შ. არაგვის შემოქმედისა	1
II—ნავარდობა. — IX—XIV. — ნაწილი მესამე. — მოთხრობა მეღანიასი. (გაგრძელება)	9	
III—დამონიაზული. — რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. გაზოვისა, ნაწილი მეორე. — XXVI—XXXVIII. თარგმანი თ. ს. — სი (გაგრძელება)	36	
IV—სამეგრელოს აღმოჩნდა. — არქანჯელო ლამბერტისა, (თარგმანი იტალიურით)	1	
V—„გევეის ტყაოსნის“ ზალგი აღგილები — LXXV — LXXVIII — ად. ს.— შვილისა	18	
VI—თავგადასაგალი იმპრია მეფის სოლომონ ღი. ღის შვილის-შვილის ბათონიშვილის გიორგი. სა. — (ავტობიოგრაფია) თ. უ არდანიასი.	41	
VII—ანდრია მოციქულის ღა წმ. ნინოს ცოლვაზოო. გა საქართველოში. — ივ. ჭავახეშვილისა	55	
VIII—„ცეოვნება და ხელოვნება“. — ტოლსტოის ახალი რომანი „აღდგომა“, კიტა აბაშიძისა	71	

(ნახე მეორე გვერდი)

ଜ୍ରିଟିନ୍‌ପ୍ରକାଶ :

IX—ଶିଳ୍ପାଚାରୀ ମଠମୂଲ୍ୟକାଳୀନୀ— କ୍ଷୁଟାଳିସିଲେ ତାଵାଦ-ାଶନାୟରତା କ୍ରେ-
ଦା.—ଫିଲେବରୋଯି ଶାସାତି କ୍ରେଦିଲା.—ପ୍ରେନ୍ଥିଲେ ଶୈମପ୍ରିଣ୍ଟିଙ୍ଗିଲେ ସାକ୍ଷି-
ତକ୍ଷି.—ସୁପନ୍ତାୟରି ତେଲ୍‌ମିକ୍‌ରା—ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ ପ୍ରେରା-କିତକ୍ଷେତ୍ରି ଗାମ. ଶାଶ୍ଵତ-
ଗାନ୍ଧୀବଦିଶିରି କ୍ରେତାରି—“ଶାଶ୍ଵତଗାନ୍ଧୀବଦିଶି” ଅନ୍ତରୀଳି—ଶାମ-
ଚିତ୍ତବାରି ମେଡାଗ୍ରେଡା—ଫୋରମାଲ୍‌ସିରି ଲେନ୍‌ସିର୍‌ଲେନ୍‌ଡା ମନ୍ଦିରାଲ୍‌ମେଡିଶିନ୍—
—ଏବାଲି ଫ୍ରାନ୍‌ଟିଲେ ମନ୍ତରବ୍ୟକ୍ତିବଦିଶି ଲା ମାତି ଲାକ୍‌ମାପ୍ରିଣ୍ଟିଙ୍ଗିଲେବଦିଶି
ଶାକିରିବଦିଶି—ପ୍ରିନ୍‌ଟରା ଲା ମିଲି ମ୍ୟୁଟ୍‌ରିକ୍‌ରେବନ୍ଡି—ଶାଶ୍ଵତରେଲି ମନ୍ଦିର-
ମାନ୍ଦିରବଦିଶି—ବିନି ମନ୍ଦିରାଲ୍‌ମେଡିଶି ନିର୍ମାଣିଲେ ମୁଖ୍ୟବଦିଶି ଜ୍ଞାନମରତ୍ନାଲ୍ଲଙ୍ଘ
ଦିଲାତିବିଶି—ବିନି ପ୍ରାରମ୍ଭି—ଶାପୁରାଦିଲେବଦିଶି ପରିବା—**ଲକ୍ଷ୍ମିବଦିଶି 84**

X—ଶୁଦ୍ଧିତାକାଳୀନୀ ମଠମୂଲ୍ୟକାଳୀନୀ— ଇନ୍‌ଗଲିନ୍-ପ୍ରିନ୍‌ଟିନ୍‌ଗାଲାଲିନ୍ ମଥି—
ଏଜାନ୍ୟବଦିଶି ପ୍ରିନ୍‌ଟିନ୍‌ଗାଲାଲିନ୍—ଶାଫରାନଗ୍ରେଟିଲେ ଶାଫାଲାକ୍‌ର ଏରିକ୍‌ରେବନ୍ଡି—ମନ୍ଦିର-
ମାନ୍ଦିରବଦିଶି ହିନ୍ଦେତ ମି—**ଲକ୍ଷ୍ମିବଦିଶି 101**

ჭედილის გოდება

(ეტიუდი)

1

— წამო, წამო აქით და ყველაფერს გიამბობ!.. — ეუბნება ჭედილა თავის სატრატოს და თან წინა მარჯვენა ფეხს გვერდში უბრაგუნდს.

— სად წამოვიდე?!. აქ მიამბე! — უპასუხებს დედა-ცხვარი და ეურჩება.

— არა, ჩემო კარგო, მოეშორდეთ ამ ფარას. აქ დაგვიშლიან. აგრე, იქით ჯაგს მოვეფაროთ. იქ არავინ შეგვაწყვეტინებს ლაპარაქს. იქ გულ-დამშვიდებით გიამბობ ყველაფერს, — ეხვეწება ჭედილა და ახლა ფეხის მაგივრად ცხვირის შეხებით იწვევს ფარის კარგად მოშორებით ჯაგისკენ.

— კარგი, წავიდეთ!.. — დასთანხმდა დედა-ცხვარი და შემდეგაც ორივე ერთმანეროს გაეკვრნენ და თავ-ჩაღუნულები ტუსტუსით ჯაგისკენ გაეშურნენ.

ფარა კი, თითქოს ზღვა ოდნავ ირყევაო, ზევით და ზევით ოდნავის მოძრაობით მიდის მთის წვერისკენ, სადაც მწეანე ხავერდში ჩაფლული მწყემსი სალამურს გულ-საკლავად აკვენებს და ამ კვნესით თავისს მწირ ცხოვრებას აუწყებს ცას და თავის ცხვრის ფარას. .

— ხომ გახსოვს, გუშინ წინ რომ წამიყვანეს აქედან? — დაიწყო ჭედილამ, როდესაც ჯაგს ამოეფარნენ და წამოწვნენ მწვანეზე.

— როგორ არ მახსოვეს!... იცი, მერე რანაირად ვიტირე, როდესაც შენ წაგიყვანეს? მეგონა, აღარ დაბრუნდებოდი, როგორც ჩვენი საწყალი ბატკუჭა...

— მართლა, მისი გზა და კვალი სულ დაიკარგა!... მაგრამ... — მწარედ დაიღრიჯა ჭედილა, შუბლის კანი სიმწარით შექმუხნა, იმ ბატკუნას ხვედრის წარმოდგენა თავიდან გაედევნა, მოეშორებინა და თან ამას უსიტყვოდ გაიძახოდა: „ნეტავი შენ, რომ ბატკუნას ხვედრი წარმოდგენილი არა გაქვს, თორებ მაშინ უფრო ბევრს იტირებდიო...“

— ჰო, დავანებოთ ბატკუნას ხვედრს თავი და, არ, რას გეტყვი, — ცოტა ჭმუნეის შემდეგ განაგრძო ჭედილამ...

— თქვი, თქვი, ყურს გიგდებ!

— გული თუმცა მეთანაღრებოდა, — მოჰყვა ჭედილა: — როდესაც ფარის გაგვაშორეს ათამდის ჭედილა, მაინც მხიარულად ჩავიარეთ ეს გვერდა. შევედით სოფელში და ვინც შეგვხვდა, ყველა ამას გაიძახადა: „საწყალი, დაიღუპა, დაიღუპა!.. მერე, რა ახალგაზდა იყოვთ“!.. „იქ მიგიდის?“ ამ სიტყვების შემდეგ უეჭველად დაეკითხებოდნენ ჩვენს... იმას კი არა, ავტო, იქ რომ უკრავს გულის საკლავად!.. ოო, რა მწევეედ მოსთქვამს?!. ხომ გეყურება? მაგრამ ეხლა მაგისი მოთქმა გულს მიმღვრეეს... ეგ რაა?.. უარესი სიმწარე, უარესი ტანჯვა და ვაება უნდა ჰევდეს, რომ მაშინ მიპხვდეს სხვის ტანჯვასაც! მაგათ ჰევნიათ, მარტო იგინი იტანჯებიან და ჩვენ კი ყურს აღარ გვათხოვებენ, ჩვენი კვნესა, კვნესად არ მიაჩნიათ... ეგნი ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ სხვის ყოველგვარი უსამართლობა მიაყენონ, ამას კანონიერად სთვლიან, და, თუ მაგათ სულ ცოტა უსამართლობა რამ მიაყენეს, სასორარკვეთილებით გაიძახიან: „ლმერთო, ჩაბოიქცეს შენი სამარ-

თალიო!..“ ღმერთსაც კი ჰემობენ. რად მოსთქვამს მაგრე მწარედ, აგერ ის, მთის წერზედ რომ წამოსკუპებულა? რა ა იუხებს? რა და ის, რომ რად გვყაჩაულობს ჩვენ, დღე-ღამე რად გვივლის, წვიმა-ქარიშხალში გარედ ყოფნა რად უნდება... იმას კი არა ჰედავს, რომ ჩვენ, ჩვენ მოკლებული თავისუფლებას, წელიწადში ორჯერ გვკრეპავს, გვწველავს და ცველაფერი თავის სასარგებლოւდ მიაქვს. ჩვენ სამაგიეროდ? ჩვენ თავისუფლების მოკლება და ზედ დამატებით...

„მაგრამ ზედ დამატებით რაც მოგვდის, ამაზე მერე ვიტყვი. ეხლა კი, ცოტა არ იყოს, გავები იმისთვის, რომ გული მომივიდა, ტანჯვის ფიალა ამევსო, და საუბარმა გადაუხვია...“

„იმას ვამბობდი: ეგ კი არ იყო, რომელიც კვნესის, მეორე, ჩიტუას რომ ეძახიან, ის მოგვდევდა უკან და სოფლელებს უპასუხებდა იმათ კითხვაზედ: „ჴო, იქ მიმიდისო“...

„კითხვა-პასუხი მეყურებოდა და იმას კი ველარ მივხვედროდი, თუ სად და რისთვის მრვუდიოდით. ცოტა არ იყოს ამ კითხვამ შემაფიქრიანა, და დამავიწყდა, რომ უკან ჩიტუა მოგვდევდა. თურმე შევმდგარიყავი, ფიქრში გავრთულიყავი, და სხვა ქედილებს ჩამოვრჩი.

— აი, შე ვერანავ, შენა!..— შემომესმა ჩიტუას კუივილი, და ამავე დროს კომბალი ისე ძლიერად მომხედა, რომ თვალიდან სიმწვავით ნაპერწკლები წამომცვივდა.

„ცუქუხით მოვეწიე სხვებს და შიგ შუაში შევერიე. მეტს რას ვიზამდი? ჩეარა წამოგვსისინა და ერთ სახლის წინ ბაკში შეგვლალა. სალამოს ხანი იყო. ხალხი ბევრი იჩეოდა. ცველას კი თავპირი ჩამოსტიროდა. სახლში? სახლში კი არ ვიცი რა ხდებოდა, და იქიდან კი გულსაკლავი ხმა გამოისმოდა: ტირილი, გამწარებული კვილი, სასოწარკვეთილებითი ოხვრა და გმინვა, აი, რა მოისმოდა სახლიდან. ამის გამგონს მეც თვალი ამიცრემლდა და ბაკის კუთხეში მივიჯუპევ.

ნაგარდობა

გიჩმარებს, როგორც ოქროს. მეაფსუსება, რომ ამ ოქრომ უსარ-
გებლოდ ჩაიაროს და დიკარგოს.

— თუ კი მაგისთანა სიკეთეს მიზამ, ხაზეინო, განა მაღ-
ლობის მეტი-ლა მეთქმის რამე!

— ვა, სიკეთე რომელია! სიკეთეს კი არ გიშვრები, ჩე-
მო მიხავა, მე, როგორც პატიოსანი კაცი, ჩემ მოვალეობას ვას-
რულებ. გეუბნები, ცხონებული მამაშენი ჩემი მეგობარი იყო-
მეთქი. მაშ თუ მეგობარი მეგობრის შეი ის არ უპატრონებს
და ყურს არ უგდებს, რილას ქრისტიანები და ლეთის მავედრებელ-
ნი უნდა ვიყვნეთ! რა ვიცი, მე კი ასე მგონია და!.. მე მარტო ის კი
არა მსურს, რომ მოჯამავირედ იყო ჩემთან; მე სულ სხვა ფიქრი
მაქს. მე მინდა შენ თამბაქოს ხელი შეისწავლო. ეხლა ბერ-
ძნები მყავანან ამხანაგად; ნიხევარი შოსავალი თამბაქოსი იმათა
ჰევდებათ. რისთვის? ჰაზირ ჩენება ქართველმა კაცმა ისარგებ-
ლოს სხვის სარგებლობას? ქართველები და სომხები რას ვაუყ-
ვევართ, — ორივე ძმები ვართ. თამბაქოს ხელს ისწავლი, ბერძ-
ნებს დავითხოვ და შენ მიგიყენებ ამხანაგად, — შენ არ მიჩივ-
ნიხარ ვიღაც გადმოვარდნილ ბერძნებს! შენც ლმერთი გიშვე-
ლის, ბედი წალმა დაგიტრიალდება და გამდიდრდები, კაცად
იქცევი; ქვეყანა ასე ტრიალებს ერთი-ერთმანეთის დახმარე-
ბით. შაგიძლიან ბერძნე შენ თვითონ გაიკეთო შენთვის საკუ-
თარი ჰლანტაცია, თუ ჩემთან აღარ მაისურებ ამხანაგობას.
რამდენი კაცი გაკეთდა თამბაქოთი ამ ცოტა ხანში! ჩემი ხაქ-
მეც თამბაქომ არ წამოსწია წინ? თუ შენ გამდიდრდები, ჩემ-
თვითაც გასახარო და სასიამოვნო იქნება ეს, რადგანაც ჩემის
დახმარებით იქნები გამდიდრებული. ჰამ ჩემთვის სახელი იქნე-
ბა ეს, ჰამაც იტყვი, ლმერთმა უშველოს ალექსეი მელიქისაო.

— დილი მაღლობელი გახლავარ, ხაზეინო, მაგისთანა გულ-
შემატკიცრობისათვის. ლმერთმა დილხანს მიცოცხლოს შენი
თავი ჩემს სანუჯგშოდ. ლმერთმა ნუ დაგიკარგოს ის ამაგი, რა-
საც მე შენ მიშვრები, ანუ მიზამ მომავალში. თუ მე ვერ გა-
დაგიხდი, ლმერთმა გადაგიხადოს ჩეს მაგიკ. მხოლო ახლა
ერთი სათხოვარი მაქს შენთან. რადგანაც მე დილი დამნაშავე

კი არსად იყო. რად? ვერ გავიგე კი და რა წამსაც კი გავი-
გე, თუ იმ სახლში რაც მომხდარიყო, შიშმა ამიტანა. თან-და-
თან ისე გამიძლიერდა შიში, რომ ტანმა თახთახი დამიწყო.
თითქმის ადგილიდან ვხტოდი, ჩემ თავს ველარ ვიმორჩილებდი.
ჩემ დღეში არ შემცივნია ისე, შეუ ზამთარშიაც კი, როგორც
იმ ღამეს. კინალამ გადავირიე. არ ვიცოდი, რა მექნა. რისთვის
დამემართა ეს?!.. ოჲ, რანაირ ტანჯვა გამოეიარე იმ ღამეს, ჩე-
მო კარგო!... დედა-ბერი დამშეიდდა, სახლში შევიდა. მე კი
ვთრთოდი, ბეწვიც კი მიხტოდა, და რაც დრო გადიოდა,
თრთოლა, სხეულის წვა და ჩხვლეტა უფრო მემატებოდა...

III

„მტრედის ფრად გათენდა თუ არა, ხალხის ფეხის ხმა
ისევ ასტყდა. ჩეარა ეზოში ხეების ქვეშ ცეცხლი რამდენსამე
ადგილას გააჩალეს, გვერდით დიდრონი ქვები მოუწყეს და ზედ
წყალით სავსე ქვაბები შემოსდგეს. მე ყოველივე ამას თრთო-
ლით თვალ-ყურს ვადევნებდი და გონს ვერ მოედიოდი...

„ახმაურდა სოფელი: მოისმა ხალხის ლაპარაკი, საქონ-
ლის ბლავილი, ძალების ყეფა, და სადაც ჩვენ ვიყავით, იმ
ეზოდან ფრთოსანთ რუკ-რუკ-კურ-კური. იქ მიმალს გარს
ქათმები შემოეხვია და ერთის ამბით და კიუინით ნაგავს გამალებუ-
ლი ჰქექავდა, აქ ინდაურს თავი მაღლა აელო და „ყიავ-ყიავს“
უდარდელად გაიძახდა, იქით კიდევ დედალი სეირნობით „კაა-კა-
კას“ ინდაურსავით უდარდელად მოსთქვამდა და დრო-გამოშ-
ვებით შეაყენებდა თავის გალობას და გაშტერებით ძირს დედა-
მიწას დაცემერდებოდა, ფეხს გაუს-გამოუსეამდა და ისევ თავის
გალობას აგრძობდა...

„თანდათან ცაც ფერადდებოდა და...

— მოიცა, — უეცრივ გააწყვეტინა ქედილას სიტყვა დე-
დალმა ცხვარმა: — მთელ ღამეს ტანის თახ-თახი არ შეგწყვე-
ტია?..

— არა, მაში.. მთელ ლამეს — კბილს კბილზე მაცემნებდა და მხოლოდ, ხალხის ფეხის ხმა ნამეტნავად ინდაურისა და დედლის მოთქმა რომ ასტყდა, ცოტა არ იყოს, გავერთე და, არ მახსოვეს, მაშინაც მითახთახებდა ტანი, თუ არა.

— მაშ მთელ ლამეს არა გძინებია?!

— ერთ წუთს რომ თვალი მომეხუჭნა, რაღა მინდოდა!..

— საწყალო, რანაირად დაიტანჯებოდი!..

— დავიტანჯებოდი?! დავიტანჯე კი არა, მეტიც მომივიდა. მთლად დავდნი, დავდნი-მეთქი; გონება სულ ამიხდა... აკი გეუბნები, ცოტათი ხმაურობამ გამართო განთიადისას. მაგრამ, როდესაც სახლის კარი გაჭრიალდა და ისევ მანდილოსანი გამოჩნდა, რომლის ხილვის შემდეგ შუალამისას ტანის თახთახი ამიგარდა, და მთლად ჩაფუფქული ოდნავის ნაბიჯით წინ წამოდგა და იქავე ხეების ქვეშ მოფუსფუსეთ მიაძახა: „გე-თაყვათ, მეზობლებო, ყველაფერი წესიერად დაიჭირეთო, უარესად ცეცხლი მომეკიდა. სად ვიყავ და სად არა, აღარა მე-ყურებოდა-რა. ჯერ არა მენახა-რა იმისთანა, რასაც უნდა შევეშინებინე, მაგრამ მე შიშმა უკვე მომითავა. რა მაშინებდა, ჩქარა ისაც ვიხილე. თურმე ჩემ სხეულს წინადვე უგრძვნია, რაც მომელოდა, მაგრამ შემთხვევეთ გადაერჩი და, აი, ეხლა შენს გვერდით ვარ. იმავე ბაკში, რომელშიაც ჩვენ ეიყავით გამომწყდეული, ერთი ისეთი უშობელი ება, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. მშვენიერი ტანი, მთლად ჩარგვა-ლებული სხეული, მშვენივრად დაწმენდილი ბეწვი, მშვე-ნიერი რქები, მსხვილი, მორღვეული, გონივრული თვალები, აი, რა ამკობდა უშობელს და რა იტაცებდა მაყურებლის თვალს!

„სულ არ გაუვლია რამოდენსამე წუთს, რომ ბაკის კარი შემოალეს და უშობელი წამოაყენეს. მძიმედ, სულ მძიმედ გონივრული თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალი და წელში გაიზნიქა. გაზმორება არც კი დააცადეს, დაუნდობრივ საშინალად სახრე გადუქირეს ბეჭებში და, საცოდავი, საჩქაროდ ბაკიდან გაიყვანეს. უგაგიხმეთ ხელები!“ უვნებლივ დავწყევლე

სახრის დამრტყმელი. მკელიც კი შედგებოდა იმის სილამაზის წინ და იგი ხომ ადამიანი იყო, რომ ისე გამომეტებით გაარტყა სახრე. მაგრამ შემდევ ნახულმა სახრის დარტყმა დამავიწყა. წამოაქციეს საცოდავი და, ოხ, ნეტავი არ გამეგონა იმისი სასოწარკვეთით წაბზმულება, ყელში ხანჯალი გაუყარე!.. სისხლმა ჩქეფა დაიწყო, იქაურობა შეღება. მოისმა ხრიალი. ვხედავთი, როგორ თრთოდა მისი სხეული. ამის მნახველს ტინი მომელეშა; უგრძნობლად გარდექმნა. მაშინ კი მივხედი, რისოისაც მიგვლალეს, რისაც მეშინოდა...

„სახლში ისევ ტირილი, ღრიალი ასტყდა. სტიროდნენ ვაჟაცას, რომელ საც სიცოცხლე მოესპო, რომელიც უდროუდროდ ამ წუთი-სოფელს გამოიხსალმა და გარედ კიდევ თითონვე უდრო-უდროდ სიცოცხლე წარბ-მოუხერელად მოუსპეს უუმშვენიერესს ქმნილებას... ოჯ, რა ნაირად გულს მისერავდა სახლილან ტირილის ხმა!... ვიძახდი: „რატომ სახლი არ ჩამოაიგრევა და ყველას არ ამოგელეტავთ, რომ ერთის სიცოცხლის მოსპობას სტირით და მეორეს კი თქვენ განგებ უსპობთ?!

„დედა-ბერი საშინლად შემებრალა, ღამე რომ აჩრდილსა-ვით გამოვიდა და ღმერთს სამართალი უგმო. ეხლა კი შემეზიზლა, და სწორედ საგმობელია ადამიანთა სამართალი და არა ღვთისა...

„აკაფეს უშობელი!... მკლებსავით დაპირეოდნენ და ზოგი ბარკალს მიარბევინებდა, და ზოგი კიდევ მკერდს და ზოგი კიდევ სხვა ნაჭრებს.

— ბიჭებო,— დაიძახა ერთმა მათგანმა: — ეცვრებიც გამო-ლალეთ და დაკალით!...

„წამოგეესივნენ ჩვენც. წაგვავლეს ზოგს ქეჩოში, ზოგს კიდევ ფეხში და თრევით გაგვიტანეს.

— ეგ ორი ჭედილა გაუშვით, ნუ გამოჭრით ყელს. ხალ-ხი ცოტაა და ხორცი ტყუილად გაფუჭდებაო... — ამის ღა მო-ვკარი ყური და გამოეერკვიყ. მანამდის ვერცარას ვგრძნობდი და ველარც რას ვხედავდი. მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ მე და ყომრალა რეა ყელ-გამოლადრულ ჩვენ მოძმეს დავცემეროდით...

— ვაი შენ დედასა და, ნემო ბატკუნიავ, იქმნება შენც
ეგრე ყელი გამოგლადრეს!... მწარედ წამოიკენესა დედა-ცხვარ-
ბა, და ცრემლები წამოსცვივდა.

— მაშ არა და...

— აი, თქვე ვერნებო, თქვენა!..

„უეცრივ მოესმათ ჩიტუას ხმა და ნერშევი გაუშრათ.

— თქვე სამგლეებო, ფარას რას ჩამორჩენილხართ!.. — და.
ჰეყივლა ჩიტუამ და კომბალი მოუქნია, მაგრამ ცხვრებმა დროით
უშველეს თავს.

ისენი დაეშენენ ქვევით, და ჩიტუასგან მოქნეული კომ-
ბალი ჯაგში შეიქედა.

შ. არაგვისშინელი



ნავარდობა

მოთხრობა

ნაშილი მისამი

II *)

ღვთის წირგა

როგორი დროებაც გაატარეს აღალომა და მისმა თანა-
მგზავრებმა თელეთში, ეს უკვე ვიცით გასპარას ლაპარაკიდან
მიკირტუმასთან, მხოლოდ ის ხოხობი, რომელიც იყრის ჭალა-
ში მოჰკულ „ნოლუცამ“, აღალომ თელეთიდან მთლიანად და
ხელშეუხებლად წამოიღო შინ, როგორც თელეთის მიერ „გა-
მოგზავნილი წყალობა“.

აღტაცებულის სიხარულით, დიდის ყიჯინით, და სიმღე-
რით შემოვიდნენ მგზავრები სანინღანში. ხალხი ბლომად ეგე-
ბებოდათ წინ და წრფელის გულით ულოცავლნენ მლოცვებს
მშვიდობით დაბრუნებას სახლში, ხოლო მგზავრნი უპასუხებ-
დნენ: „გწყალობდეთ, გწყალობდეთ თელეთის მადლიო“, რის
ნაცვლად ესმოდათ: „აქეენი მწყალობელიც იყოსო“.

მეორე დღისათვის აღალომ ღვთის წირვა შეუკვეთა ტერ-
ტერას და მოიწვა საღილზე, როგორც თვით ტერტერა, აგრე-
თვე მრავალი სხვაც, რასაკვირველია, უფრო ნათესავნი და
მახლობელნი. როცა შეიკრიბნენ სტუმრები, აღალომ გამოუ-

*) იხ. „მოამბე“ № XI 1890 წ.

ცხადათ: „იცით, დღეს მე თქვენ ყველანი დაგპატიუეთ ხოხობზედ, რომელიც მიწყალობა თელეოთა“, აქ უამბო ყველას ისტორია ხოხბის მოკვლისა ფრიად გაზვიადებულად.

ხოხბის სახელით საუკხოვო სადილო მოამზადებინა აღალომ, მხოლოდ უმთავრესი ყურადღება საჭმელებში ხოხობზე იყო მიქცეული. მიწყია ზურნა: „დღეს ტკბილი დროება უნდა გავატაროთო“, — მიმართა აღალომ სტუმრებს, როცა საღილათა სხდებოდნენ.— თეთო სადილს საღმრთოური ხასიათი მისცა. ზურნა-დუდუკი სულ საეკკლესიო საგალობელო (ტალებს) უკრავდა. მაგრამ სულ სხვა ფერი დაედო დროების გატარებას, როცა სუფრაზე შემწვარი და ჩახოხბილი ხოხობი მოიტანეს. გამოჩნდა თუ არა ეს საჭმელი კარებში, აღალოს ბრძანებით დუდუკმა „სურთ-ასტვაც“ დაუკრა. ყველამ ქუდები მოიხადეს და პირჯვარი დაიწერეს. მერე დაიწყო ჩამორიგება პატარ-პატარა ნაკუწებად დაჭრილი ხოხბისა. ტერტერამ ინება, რათა პირველი ნაკერი აღალოს აელო, რადგანაც ლერთმა და თელეოთის მაღლმა მას გამოუგზავნა ეს წყალობა-ხოხობი. აღალომ გადიწერა პირჯვარი და აილო ერთი ნაკუწი. ამის მაგალითს მიჰყვნენ ყველანი. როცა ჩამორიგდა ხოხობი, ყველანი წამოიშალნენ ფეხზე, ცალ-ხელში ლვინით საცსე სტაქნები ეჭირათ, მეორეში ხოხბის ნაკუწები. ტერტერამ სომხურად წაიკათხა ლოცვა და დალია აღალოს სადლეგრძელო. დუდუკმა აღალოს ბრძანებით ტალი დაუკრა. ტალის გათავებისას აღალომ წარმოსთქვა: თელეოთის მაღლი იყოს ყველას — ჩვენ ერთობლივ შემწე. ყველამ ბანი მისცა აღალოს და ფეხზე დგომით დაცალეს სტაქნები. შემდეგ დასხდნენ და მოწიწებით შეექცნენ ხოხბის ნაკრებს ისე, რომ ძვლებიც კი დაკვირეს. გაარავეს ხოხბის ნაკრები. თამადამ დადგა თეფზე ოთხი სტაქნი. გაავსო ოთხივე და დალია: ერთი სტაქნით, განშეორებით, აღალოსი და მისი ცოლის სადლეგრძელო; მეორე სტაქნით — „ლერთმა და თელეოთის მაღლმა აღალოს პირველი შვილი ვაჟი მისცესო“; მესამე სტაქნით — „თელეოთი იყოს ყოველთვის აღალოს ოჯახის შემწე და მფარეველომ“; მეოთხეთი აღ-

დევრძელი ის კეთილი ანგელოზი, რომელიც აღალოს ვაჭრობისა და ოჯახის მფარველი იყო და არისო. როცა თვით აღალომაც დალია ეს სადღეგრძელოები და მადლობაც მოიხადა, დაიწყო:

„ვენაცვალე ღმერთს, ღირსიც არა ვარ ნისს წყალობას! სარჩო მიწყალობა, იმედი მაქეს შვილსაც მიწყალობებს. განა ჩემს ვაჭრობაში და ვაჭრობით მოგებულ ფულში ღვთის ხელი არ ურვეია? მეც თვითონ ეხლა მიკირს, საიდან და როგორ ვიშოვნე ის ქონება და თანხა, რაც ამ ეამად მე ღვთის წყალობითა მაქეს. თუ ღვთიდან არ იყო ჩემთვის გამოგზავნილი, სად იყო უწინ, რაღა ჩემ დროს გადმოვარდა აქეთ, თუნდა ეს თამბაქოს საქმე ავილოთ. ღმერთმა, როგორცა ვხედავ, ვენაცვალე იმის მაღლს,—სთქვა პირჯერის წერით,—ჰულუფად მე გამომიგზავნა თამბაქოს საქმეც და სხვაც. ხოლო თუ ღმერთი ისეც შემეწევოდა, რომ უწინდელი უსტაბაშობა ისევ იქნებოდა, მე გაყურებინებით ყველას, როგორ ერთი ასად გადავაქცევდი ჩემ თანხას და ამ გატლეკილ კნიაზების ოხტშიაც მოვიდოდი. ვერ ამომირეცხია გულიდან მაგათი ჯავრი და რა ვქნა! ვისაც უწინდელი უსტაბაშობა არ უნახავს, ნუ დაიკვეხებს, მინახამს რამეო, მადლიც მაშინ იყო და მოგებაც. ღმერთმა აცხონოს უსტაბაშ პიოვანე—აიღო ხელში ჭიქა და თავი გადუქცია—რა ყოფაში ვიყავით იმ ცხონებულის ხელში სირაჯები! იცით რა კაცი იყო და როგორ მოდიოდა თავ-ქარიან კნიაზების ოხტში? სწორედ ღვთის ნათლული იყო ის ცხონებული. იმის დროს სირაჯები ბატონები ვიყავით. რა სი-რაჯები, ყველა ჰამქარი ასე იყო. არც დაეანებებდი თავს სი-რაჯობას, რომ ის ცხონებული არ მომკვდარიყო და ახალ უსტაბაშებსაც ძალა არ დაჰქარგოდათ ამ უკანასკნელ დროს. თორემ ჩემი ზერების პატრონი ერთ კი სასირაჯოს არ ამუშავებდა, მაგრამ ახლა, სიტყვა არის, ან მოსავალი არ მომივიდა, ან მოხდა ვაჭრობა გავადიდო, და მამასისხლად რომ ღვინები ვიყიდო, და ისიც ყელმოტებილად დამიწყონ ვაჭრობა ღვინის პატრონებმა, ვერც მოვითმენდი ჩემი ხასიათის პატრო-

ნი და ან რაღა მოგება მექნებოდა. ამისთვის მე ეხლა ისევ ხელდახელ გაყიდვასა ვრჩეობ და კაი ფასებშიაც ვყიდი ჩემ ღვინოებს უხარჯოდ და უარარაოდ. უწინ კი, უსტაბაშობის დროს, ასე არ იყო. აი რა დღეს აყენებდნენ კნიაზებს უსტაბაშები. — აქ უამბო ყველას თავისი საჩივარი უსტაბაშ ჰიოვანესთან (მეორე ნაწ. თავი IV).

— ახ, მართლა და ერთი ახლაც იყოს უწინდელი უსტაბაშობა, — ჩაერია ლაპარაკში ერთი ახალგაზდა სტუმარი, რომელიც ეტყობოდა, ღვინით მოვაჭრე უნდა ყოფილიყო.

— ვა, გაგიხარიან, კარგი იქნებოდა, — მიუგო ალალომ, — რომ გეუბნები, მაშინ მე თავს კი აღარ დავანებებდი ღვინით ვაჭრობას. მაშინ გეყურებინათ რა პადვლებს დავმართავდი!

— პადვლები თუ არა გაქვს დამართული და ღვინით არა ვაჭრობ, მე ვიცი, ფულები არა გაქვს! — მიშმართა კიდევ ერთმა სხვა სტუმართაგანმა.

— მაქვს, მაგრამ მაშინ უფრო მომეტებული მექნებოდა; იცი, ახლანდელ დროში რად იქნებოდა კარგი და ჩვენთვის სასარგებლო უწინდელი უსტაბაშობა? უწინ თავადი შვილებს დიდი გული ჰქონდათ, კაცს მაინც კიდევ ეშინოდა იმათი, ახლა კი ყველა მოტეხილები არიან... ეჲ, ეს სუდები რომ არ შემოსულიყო, იქნება უსტაბაშობა არ დაჲკარგავდა თავის ძალას... თუმცა კი ჭივიანი კაცი ახლანდელ სუდებს უფრო სასარგებლოდ გამოიყენებს.

იქნება კიდევ გაეგრძელებინათ ამ გვარი ლაპარაკი, რომ ამ დროს არ შესულიყო სახლში ახლად მოსული შორიდან აღალოს მეგობარი, რომელსაც აღტაცებით მიეგებნენ ყველანი და მისი მოსვლით გააახლეს სუფრა და დაიწყეს ახალი სადღეგრძელოები.

၁၃

თ ა ნ ე ხ ე

იყო შემოდგომის ის დრო, როცა ყოველ მდორე ნიავის დაბერებით ხეებიდან ჩამოდის ტყაპა-ტყუპით გაყვითლებული ფოთლები და აქრელებს უკვე ქვეშ შავად შემოდებული ფოთლებს; სწორედ ის დრო, როცა ცეცხლი ტკბილდება და უსაქ-მობა ხშირდება. საღამო ახლოვდებოდა. მთაზე შავად შეკუმ-შული ჯანღი ნელ-ნელა იწევდა ძირს—მთის კალთებისკენ, თანდათან თხელდებოდა, შავი ფერი უბაცდებოდა და წვებო-და მთის კალთებზე გაშენებულ სოფელ კ—ში. ამ სოფელში, ერთი სახლის ეზოში, სადაც ბლომად იყო გაშენებული მრა-ვალგვარი ხეხილი, ნამხურალევ თონეზე ისხდნენ მეზობლის გოგოები—ესე შვიდიოდ-რვა. ზოგს მათვანს თავზე და ბეჭებ-ზე ჩიხოლა ედო, ზოგს ახალუხი, ზოგს კაბა, ზოგიც იხე უა-რარაოდ იჯდა. ისინი სრულიად ყურადღებას არ აქცევდნენ, როგორ მოიღებდა ხოლმე შრიალს რამდენიმე გაყვითლებული ფოთოლი ნიავის დაბერების შემდეგ, ანუ როგორ მოხსენდებო-და ხოლმე ხეს მარტოდ-მარტო თვითეული ფოთოლი, რო-მელსაც თვისი სიცოცხლე დაემთავრებინა და კიბრუტივით ტრიალ-ტრიალით ეცემოდა ძირს. არც იმას აქცევდნენ ყურად-ღებას, როგორ იპარებოდა დღის სინათლე და მის მავიერად აპირობდა ვამეფებას ღამის წყვდიადი. ვერა წამავალმა გოგოე-ბის ყურადღება ვერ მიიპყრო; მათი ყოველი ფიქრი და ზრუნ-ვა მომავალზე იყო მიმართული. ლაპარაკობდნენ გატაცებით თავიანთ მომავალ ბედზე, მაზე, თუ ვინ როგორა ჰშვენიდა გვირგვინში წარსულ ქორწილებში და ამ მოსაუბრეთა შორის ვინ იქნებოდა მერმის ამ დროს ჯვარ-დაწერილი. ყოველი მათ-განი უსიტყვოდ ეალერსებოდა ფიქრით თავისს სანატრელსა და ბელნიერს მომავალს. ხოლო ლაპარაკს ხარხარით და მხიარუ-

ლებით ამკობდნენ. ბოლოს, როცა მოიოხეს გული ლაპარაკით, საუცხოვო ხმების შეწყობით შემოსძახეს სიმღერა. ერთი სთვლიდა, დანარჩენი კი მოძახილსა და ბანს ეუბნებოდნენ. მღეროდნენ „ორი ოქროს დიელავ“! შემდეგის სიტყვების მოთვლით:

„გავიხედე მინდორზედა,
თეთრი ცხენი მოგოგავდა;
ზედ იჯდა ბიჭი ლამაზი,
თოფ-იარალში ჰშვენოდა“...

მაგრამ ვერც ეს ლექსი დაამთავრეს, ველარც სხვა დაიწყეს, რადგანაც მომთვლელი უცბად შედგა და ხმა გაემინდა. საშინლად გააცვირვა გოგოები მომთვლელის ამისთანა ქცევამ; მხოლოდ, როდესაც მიიხედეს იმ შხრისკენ, საითაც მომთვლელი იცქირებოდა, მაშინ შეიტყეს მიზეზი გაჩუმებისა და ყველამ თვალები მიაპყრეს წამოწითლებულ მომღერალს.

— ბაბუკი, ბაბუკი,—დაპირეს მუხლებზე აქეთ-იქით მსხლომარე გოგოებმა და უთხრეს: — უთუოდ იმისთვის მოვიდა, რომ დასადასტავებლად წაგვიყვანოს. ერთი კი დავწვათ, და რაც გახდეს, გახდეს! რას ჩაჰმინდა ხმა ქაჩ! ვიმღეროთ, რომ უფრო მოვუკიდოთ გულზე ცეცხლი.

ეს ლაპარაკი მიქცეული იყო ერთი არა ულამაზო და შნიონად ჩაცმულ-დახურულ ჯერ ისევ ახალგაზდა ყმაწვილისაკენ, რომელიც შემოვიდა იმავე ეზოში, სადაც გოგოები ისხდნენ თონეზე. გოგოებს მიჰმართა მან: „აბა, ქალებო, მოგმზადენით თამბაქოს დასადასტავებლად“! ეს სიტყვები როგორ-დაც ნერწყეის ჩაყლაპეითა და მორცხობით წარმოსთქვა, რაც გოგოებს არ გამოეპართ და დაიწყეს უჩუმრა ხით-ხითი; ხოლო ბაბუკა უფრო წამოწითლდა. ყმაწვილ-კაცს სახლიდან გამოეგება ოჯახის პატრონი და შეიყვანა შინ.

გოგოებმა კიდევ დიღხანს ილაპარაკეს მაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ თამბაქოს დასტავების დროს, რომ უფრო გა-ეძლიერებინათ მიხაკას გულში ბაბუკასადმი სიყვარული.

ენი იფიქრებს, რომ ეს მიხაკა იყო ის მიხაკა, რომელსაც
აღალომ სოფლად დუქანი გაუმართა, მიანდო თავისი სული
და გული, ხოლო მან არ დაინდო და შეუჭამა ყოველიფრი.
და გული, ხოლო მან არ დაინდო და შეუჭამა ყოველიფრი.
ეს ყმაწვილი კაცი—მიხაკო, რომლის დანახვაზედაც გო-
დიალ, ეს ყმაწვილი კაცი—მიხაკო, რომლის დანახვაზედაც გო-
გოებმა სიმღერა შესწყვიტეს, სწორედ ანაოს შეილის შვილი
მიხაკო იყო—ამ ეგმად აღალოს თამბაქოს პლანტაციის გამგე-
ბელი.

— როგორამ, იტყვის გაკეირდული მცითხველი, განაკილების მოიბრუნა გული შაზე და მიიყვანა თავისითანაო?

დარიუშ მისამართის გული მოიბრუნა კიდევ მიხა-
ლიაღ, ბატონებო, აღალომ გული მოიბრუნა კიდევ მიხა-
კოზე და ბევრიც ამისთვის ჰლოცავდნენ და ეუბნებოდნენ:
„ბარაქალა შენს კაცობრასაო“.

შას შემდეგ, რაც აღალოსთან საქმე გაიფუჭა, სახელი ისე
გაუტყდა მიხაკოს, რომ თვით მისმა ოსტატმაც კი, რომელიც
კარგად იცნობდა და შვილივითაც უყვარდა, — იმანაც კი ვეღარ
იკისრა მისი თავისთან მიყვანა. როსკიპი დედაკაცი, რომელიც
ხარაზმა დაუტოვა მიხაკოს, ძლივ-ძლიობით მოიშორა თავიდან,
სცემა და ისე ძლივს გააგდო. თვითონაც, რადგანაც აღარა-
ფერი გააჩნდა, ძალლუმადლოდ ატარებდა ცხოვრებას. ჯერ
რაც რამე ნივთეულობა ჰქონდა, — ან ქამარი, ან ხანჯალი, ან
სხვა რამე, — სულ ერთოანად მიყიდ-მოყიდა; ჩოხაც კი გაიძრო
ტანიდან და გაყიდა, ხოლო რაც ფული ამოიღო მათში, სულ
ლოთობაში გააქრო. ლოთობა შეადგნდა მისთვის ერთად-ერთ
ნუგეშს და ნეტარებას: რადგანაც, ერთის მხრით, იქლავდა
ცხოველურს სურვილს ლოთობისას, მეორეს მხრით, იეწყებ-
და თავზე დატეხილ უბედურებას. როცა ყოველიფერს მორჩია
და სახსარი ცხოვრებისა და, მომეტებულად, ლოთობისა,
და სახსარი ჰქონდა, დაიწყო მიხაკომ ნაღირივით წანწალი, — ხან
აღარა ჰქონდა, დაიწყო მიხაკომ ნაღირივით წანწალი, — ხან
სად ეგდო შშიერ-მშეკურვალი და ეძინა, ხან სად... ასე გაატა-
რა რამდენიმე ხანი; ჯერ თავისს ნაცნობებსა და ნაოსტარ-
ნააღვარ ბაყალს არ ეჩვენებოდა. თუ ნაწილს ჰნახავდა ორ
დღეში ერთხელ მაინც, ისიც უცნობ ადგილის ან მინდორში,
ან ვენახებში. მიღიოდა მომუშავე ხალხთან. პირდაპირ თხოვნა

სასმელ-საჭმელისა ეძნელებოდა, მხოლოდ დადგებოდა გულ-ხელ დაკრებილი, იდგებოდა ასე იმ დრომდის, მანამდის მო-მუშავენი არ დაიწყებდნენ დანაყრებას, ანუ საღილობას, ანუ სამხრობას და იმასაც არ მიიწვევდნენ. ბევრი იწანწალა ასე სო-ფელ-სოფელ, მაგრამ ბოლოს დროს ამ წანწალითაც ვერას ხდებოდა. ბევრჯერ სამი-ოთხი დღე ერთმანეთზე მშიერ-მწყურვალი იყო ხოლმე და ძირხვენით, ან ყინტორით იკვე-ბებოდა.

ერთხელ სამი დღის შიმშილისაგან შეწუხებული მიხაკო იჯდა ერთ ჯავის ძირას, სადაც ეძინა ხოლმე ღამე, გულხელ დაკრებილი და ასე ელაპარაკებოდა თავისს თავს: „როდემდის უნდა ვიწანწალო ასე გზათა უკან და ძალუშიმდურად! ნეტა-კი ერთი ან ნადირი შემჭამდეს ღამე, ან დამიარტყას ეინმე რა-მე და გამანთხევინოს სული. რის მანქანა და მაქნისი-ღარ? სახელი და ნამუსი გაფუჭებული მაქვს; ბინა, სახლი, მე აღარა მაქვს,—სად წავიდე და რა ვქნა! ჰო, ეხლა კიდევ, ღმერთმა ამრავლოს ქვეყანა, მინდირ-ტყეში და ვენახებში დაექხეტები და მომუშავე ხალხის სინაბარასა ვარ. ეს გაზაფხული და ზაფხუ-ლი რომ გაეა და ზამთარი დადება, მაშინ რაღა უნდა ვქნა, ვისთან წავიდე! კარდაკარ დავიწყო მოწყალების თხოვნა, ეგ ხომ მეორე სიკვდილი იქნება ჩემთვის. კაცს ჯანი და ღონე ჰქონდეს და მათხოვრობა კი დაიწყოს, ამაზე უარესი რაღა ჯა-ნაბა იქნება! ჯერ, რაც ლაფი თავზე დამესხა, იმისი ჩირეცხაც შეუძლებელია, და ამას რომ სხვა რამეც დაემატოს,—ჯოხი აფი-ლო ხელში და კარდაკარ მათხოვარად ვიარო,—ხომ სრული გაროსალება იქნება ჩემთვის ქვეყანაშიაც და ხალხშიაც. არა, ამას ვერა ვიქ; ისევ შიმშილით სიკვდილი მირჩევნია ამას. ნე-ტავი სოფლური მუშაობა მაინც ვიკოდე: ან თიბევა შემეძლოს, ან მკა, ან სხვა რაიმე საქმის გაკეთება. ვივლიდი სოფელ-სო-ფელ, ვიმუშავებდი, მაგრამ რომ არაფერი შემიძლინ. მივიდე უცხო ვისთანმე დუქანზე, ვინ ოხერი მიმიღებს ასეთ დაბლვლერ-ძილს, შიშველ-ტიტველს, არ მეტყვის: შეოხერო, თუ კი კაცი იყო შენა და დუქანში ვაჭრობა შეგეძლოს, ემაგრე დაბლვლერ-

ଦିଲ୍ଲି ନିଜନେବା! ବିନ ମାନଦିନରେ ମେ ଯେହିଲା ଫୁଲାନ୍ତିରା ଦା ବାହୁନଦିବା!..
ମେତ୍ରି ଗ୍ରୋ ଏଠା ମାଜ୍ଜେସ, ଉନ୍ଦା ବେଶ କେବ ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ ମିଶିଲେ.
ତୁ ଗାନ୍ଧେରେବି ରାମି, ବେଶ ମିଥିତାନ. ଅମ୍ଭେନି ମହାମିନ୍ଦରା ଦା ଦାଲଲ-
ଶୁଭମାଦଲାନା ତରିକା ସାହିତ୍ୟରିତା. ତୁ ତାଙ୍କୁ ଲମ୍ବରତା ଶୈଖେଲା ଦା
ମିମିଲା, ନିଜନେବା କିମ୍ବାରି ରାମଗାନ୍ଧି ମିଶ୍ରମାଲାରେ ଲମ୍ବରତା. ବେଶ କେମିନ୍
ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ ଗାନ୍ଧିରେଲା ଶୈଖିଲା, ତାରେମ ବେଶା, ଉପନିଦି, ବିନ
କ୍ଷେତ୍ରର ଗାନ୍ଧେରେବି ମେ ଫୁଲାନ୍ତି ହାମିଗିଲା ଶୈଖି! ମାଗରାମ ଏହି କି
ନିଜନେବା କେମିତାକୁ, ରାମ ଏହି ମିଥିତା ମିମିଲାରେ. ରାମଦେବି ମିଶ୍ରମାର୍ତ୍ତି, ନେ
ଗାନ୍ଧେର କେମିତାନାମ, କ୍ଷେତ୍ରର ନାମଗରି, ମାଗରାମ ମେ ମିଥିତା ରାମରେବା ଏହି-
ଲାଲ ଏହି ଗାନ୍ଧିରାର୍ଯ୍ୟ. ରାମ ଦାମ୍ଭର୍ଜିନ୍ଦିନା ମିଥିତା ସିର୍ପିତା, ନିଜନେବା
ଏହି ଶାଶ୍ଵତ ଦା ଏହି ନାମିଲା ଏହି ଗାନ୍ଧିରେବିରେ, ଦା ଏହିତି ମର୍ତ୍ତିରେ-
ଲା ଶାଶ୍ଵତ ଏହିତି ଦା ଶୈଖ ନାମକୁର୍ବନ୍ତିରେବିରେ ଦାମ୍ଭର୍ଜିନ୍ଦିନା
କ୍ଷେତ୍ରର ବେଶ ମିଶ୍ରମାର୍ତ୍ତିରେ, ତୁ ଉକ୍ତେତ୍ରେ କ୍ଷେତ୍ରର ବେଶରେବିରେ. ମାଗ-
ରାମ ଶାଶ୍ଵତ ମିଶ୍ରମାର୍ତ୍ତି କ୍ଷେତ୍ରର ବେଶରେବା! ରାମରେ କ୍ଷେତ୍ରର ଏହି ମିଥି-
ରୂପରେ, ରାମରେ କେମି ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ ଫୁଲାନ୍ତି ଗାନ୍ଧିରେଲା ବେଶ-
ଗାନ୍ଧି ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ ଫୁଲାନ୍ତିରେଲାର!

xx

ପାତ୍ରମାଳା

ମିଥାଜୀନ୍ଦି ନାମେ ଶୈଖିଲା ପୁତ୍ରରେ ଦାଇଶବାମା ମାଶିନ୍, ରାମଦେବାର୍ତ୍ତ
ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ, ତୁମିପା ଶୈଖିରାଲା, ନିଶ୍ଚିନ୍ତି ମିଶ୍ରମା, ମାଗରାମ,
ଏହାମିପା ତୁ ଦାଶିଲିଦରାର, ଉତ୍ତରାଲା ଦିକ୍ଷାର ମିଲେବାଶେଲାର କି ପୁ-
ରୀ ପୁତ୍ରରା.

ପୁରୀର ଜ୍ଞାନ ବେଶ ଏହି ଏହିକ୍ଷେତ୍ରରେ ମିଥାଜୀନ୍ଦି, ରାମଗାନ୍ଧି ବେଶ ଗା-
ନ୍ଧିରେବା, ରାମ କିମି ଶୈଖିରୁକ୍ତିରେନା, ମିଶିଲା ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ, ଶୈଖ-
ରାଲା ତାଙ୍କୁ, ଶୈଖିକ୍ଷେତ୍ରି ଦା ଏମାନ କି ପୁରୀ ପୁତ୍ରରା. „ଏହା, ଶୈ ଏହିତ
ବେଶରେ, କେମିତା ତାଙ୍କୁ, ଏହି ରାମଗାନ୍ଧି କ୍ଷେତ୍ରର ବେଶରେ ଦା ଶୈଖିନ୍ଦି ଏକାମ-
ଦିନ, ରାମ ପୁତ୍ରର ମାଶିନ୍ ପୁନଦିନକାର, ରାମରେ ଶୈନ ତ୍ରୈତାନ କାରାଗି
କାର, ଦା ଏହି ପୁତ୍ରର କେମିତା ରାଲା ଏହାର କାରାଗି—ନାମିଲା ଶୈମରକ୍ଷ-
ଣିବ, ଶାଶ୍ଵତ, ତୁ ରାନ୍ତିରାପୁତ୍ରରେଲା! ଏହା, ଏହି ପ୍ରେମିକ୍ଷେତ୍ରରେ ବେଶ
ନାମେ ତ୍ରାତ୍ରାରିତାନ, ରାମ ଶାଶ୍ଵତ ପୁତ୍ରର କାରାଗିନ୍ଦିନା ଦା ହାତମୁଣ୍ଡ-ଦାଶୁରମୁଣ୍ଡମା

იმ კაცს შეუჭამა დუქანით, რომელმაც მთლად მაგას მიანდოვო, ეხლა გაღიტლიკანავებული და კუჭ-მშეირი უფრო უარესს არ იზამსო! ეხლა რალა სანდობითო. აბა ეს როგორ ვერ მოვისაზრე და არ დავანებე თავი ჩემს გარდა წყვეტილებას!“ — ასე ლაპარაკობდა თავისთვის მიხაკო, როცა ნაოსტატარმა გადაჭრილი უარი უთხრა დუქანში მიღებაზე.

ერთად-ერთი თავმოყვარეობა-და შერჩა მიხაკოს, და თავის მოხრამ და უარის გაგონებამ ეს თავმოყვარეობაც გალახეს და დაამცირეს; ეს გარემოება უფრო აწუხებდა მას. ახლა რამდენიმე ამხანაგთაგანიც შეჰქვდა, რომელნიც დაცინვის კილოთი გამოელაპარაკნენ: „ვა, მიხაკ-ჯან, ეგ შენა ხარ, თუ შენი ნასახია!“ — ამნაირმა მოპყრობამ სწორ-ამხანაგებისამ ხომ დამთავრეს მისი დამცირება.

ლვითისა წინაშე ნაოსტატარმა, როცა გამოუცხადა თავის-თან მიღებაზე უარი, მიხაკოს ნება მისცა ევლო მისს სახლში სასმელ-საჭმელად, სანამ იგი რაიმე ადგილს იშოვნიდა და დაბინავდებოდა, მაგრამ მიხაკომ ახლოც არ გაუარა ნაოსტატრის სახლს. არც სწორ-ამხანაგთაგანი შეაწუხა ვინმე.

პირველ ღამეს სანინლანში მოსვლისას ერთ ბალში გადაძერა და იქ გაატარა მთელი ღამე უძილოდ. უძილობის მიზეზი იყო ფიქრი ცხოვრების წყაროს აღმოსაჩენად. მთელი ღამე ფიქრობდა მაზე, თუ რა გზას დასდგომოდა. ბოლოს ასე გადასწყვიტა: „აშკარაა, მუშაობა მე არ შემიძლია; ხელი არ ვიცი მუშაობისა, თორემ ჯანი კი შემწევს. საღმე დუქანში ფეხის შედგმის ფიქრზე ძალა-უნებურად ხელი უნდა ივიღო: თუ ნალიავარმა მითხრა უარი, რომელიც კარგად მიცნობს, სხვა ვინ ოხერი გაშემდეგს მე დუქანი მამანდოს! რას დაეხარბება ჩემსას? უბრალო ბიჭადაც რომ მიმიღებდნენ სადმე კარგ დუქანში, რატომ, იმასაც ვიკისრებდი. მაგრამ თუ კი ამაზედაც ისევ ჩემმა ნაოსტატარმა მითხრა უარი, სხვა ვინდა შემეხვეწება!.. მეტი აღარაფერი დამრჩენია, უნდა ქურდობა და ავაზაკობა დავიწყო; მაგრამ... ამას კი შევიძლებ!.. ვერ შევიძლებ-და!.. უნდა შევიძლო, მეტი რალა გზა დამრჩენია?!.. ვერ... ვერ შევიძლებ.

და!.. უნდა შევიძლო!.. იქნება ღმერთმა ბრძანოს და ვინმე ქურდობის დროს დამარტყას რამე თავში და სული გამაფრთხობინოს: მოვრჩები მაშინ და მოვისცენებ!

წამოდვა ამ სიტყვების შემდეგ, ჯერ კიდევ კარგა ღამე იყო, და გასწია ერთი სამჭედურისაკენ, მიიპარა კარებთან, ახედ-ჩახედა დარაბებს. უცბად შემოესმა ამ დროს ხმაურობა, თი-თქოს კვერისა სცემდა ვინმე გრდემლზე. მიუახლოვდა დარაბებს, შეიჭუჭრუტანავა სამჭედურში, შიგ ბნელა-უკუმეთი იყო, ხოლო ხმაურობა ისევ ესმოდა. მიადო ყური დარაბებს, ხმა ისევ ის-მის, მხოლოდ გაარჩია კი, რომ იგი ხმაურობა კვერის ცემის არა ჰეკანდა. ბოლოს თითქმის ოვისდა უნებლიერ შევწიშნა, რომ გული ძალზე უხტოდა. მიუგდო ყური გულის ხტუნვას და დარწმუნდა, რომ ხმაურობა წარმოსდგებოდა მისივე გუ-ლის ძაგა-ძუგისაგან. ფეხ-აკრეფით გაბრუნდა მაშინვე უკან და მიიღიდა ისევ თავის ადგილზე. გათენებამდის კიდევ ბევრმა ხან-მა გაიარა და ამ დროს განმავლობაში ორი სხვა-და-სხვა გრძნობა იბრძოდა მიხაკ ას გულში. ერთი: „რატომ დამინახავდა ვინ-მე და უფრო მეტად მომეჭრებოდა თავი რა კარგად მოვიქე-ცი, რომ ხელი არაფერს შევახე!“ მეორე ამის პასუხად: „ჰაი შე ლაპარო, შენა, მაგის ჰატრონი მისდიოდი საჭურდლად? შე საცოდავო, მაშ რა უნდა ჰქმნა, რით უნდა ირჩინო თავი მაგისთანა მხდალმა? სამჭედურში რომ ვერ გაპბედე შესვლა, სადაც, დარწმუნებული იყავი, რომ არავინ იყო, სხეაგან რას გააწყობა!..“

ინათა, მიხაკომ მოსძებნა ერთი ბარდი, შეძერა შიგ და საში დღის უძილომ ძრიელის ძალით დაიძინა; გამოეღვიძა მხოლოდ ბინდისას და ისევ ის გრძნობანი აეშალნენ გულში. ძალი მათი ორკეციდებოდა შიმშილის გაორკეცების დაგვარად. ცხოველურმა გრძნობამ დასძლია მაინც. გახდა თუ არა შუა-ლამე, როდესაც მისწყდა ფეხის ხმა, მიხაკო მივიღა ისევ სამ-ჭედურთან. ახლა აღარ იყოყმანა—გადაძერა სამჭედურში ფან-ჯრიდან და იმდენი აცაცუნა ბნელაში ხელები, რომ ისოვნა ერთი მარწუხი, სხვა ვერაფერს მოახვედრა ხელი, თუმცა ქლი-

ბის შოვნის იმედიცა ჰქონდა. გჭვი არ არის, ქლიბსაც იშვი-
ნიდა, რომ დამშვიდებული ყოფილიყო; მაგრამ, გადაძერა თუ
არა სამკედურში, გულმა ისევ მაგრა დაუწყო ცემა. იგი თი-
თქმის დარწმუნებული იყო, რომ მისი გულის ძაგა-ძუგს გამვ-
ლელ-გამომვლელი გაიგონებდა და მოასწრობდნენ. ხან და ხან
შედეგებოდა ანუ მიეიდოდა დარაბებთან ახლო, უგლებდა ყურს
და თანაც ფიქრობდა: თუ ვინმე ჩამოუყარა დარაბები, უცბად
გავვარდები და გავიქცევით. მაგრამ მშეიდობით გადმოძერა ისევ
ფანჯრიდან და გასწია თავისი ბინისაკენ. მხოლოდ ხშირ-ხში-
რად იყურებოდა უკან და მანამ თვალს არ დააშტერებდა,
ეჩვენებოდა, ვრომეც უკან მოსდევდა ვინმე; გაუშტერებდა
თვალს და მოჩვენებაც გაქრებოდა. წინ გზაზედაც ვითომც
ელობებოდა ვილაცა, მაგრამ თვალის გაშტერების შემდეგ იგი
მოჩვენებაც ქრებოდა; ხან თითქოს ძახილისა და ყვირილის ხმა
შემოესმა ხოლმე, მაგრამ მაინც ბინაზედ მშეიდობით მივიდა
მოპარული მარწუხით. გათენებამდის არც ამ ღამეს მოხუჭა
თვალი: ფიქრობდა იმაზე, თუ რომელი დუქანი გაეტეხა მო-
მაგალ ღამეს. ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა გაეტეხა თა-
ვისი ნაოსტატარის დუქანი. რადგანაც კარგა იცოდა, თუ ან
დახლის ფული სად ინახებოდა, ან საიდან უფრო ადეილად და
მალე შეიძლებოდა შესვლა.

ირაფრავა თუ არა, მიხაურ შეძერა ისევ თავის ბარდში
მარწუხით და მისცა თავი ძილს, მაგრამ ღმერთმა ყველის აშო-
როს ისეთი ძილი, როგორი ძილიც იმასი ჰქონდა. ჩიეძინებო-
და თუ არა, ეჩვენებოდა სიზმრად: ვითომც მოასწრეს მას სამ-
კედურში და დაუწყეს მკედლებმა შეუბრალებლად ცემა-ტყეპა
მარწუხებით. შიშისაგან ატანილს და ნაცემი ადგილების ტკი-
ვილის გრძნობისაგან შეპყრობილს გამოელვიძებოდა; გააჭერ-
და თვალებს და ბარდები კი წაეჩირებოდა თვალებში. ჩიეძი-
ნებოდა კიდევ. შედავს: მოასწრეს სამკედურში, იგი გამოიკიცა;
მორბის, უნდა ძლიერ გამოიკიცს, მაგრამ მუხლები არ მოსდევს;
იწევს, რაც ძალი და ღონე აქვს, გამოსაქცევად და ისევ კი
ერთ ადგილასა დგას. მთელი ქალაქი შეყრილა—მისდევენ და

უყვირიან „დაიჭით, დაიჭით ქურდი!“ იქერენ, შემოეხვევა მრავალი ხალხი, უწყებენ ცემა-ტყებას, აფურთხებენ პირში და არცხვენენ,—ეკ რა მოსაპარი იყო, რომ მოიპარეო—უჩვენებენ მარწუხზე.—იღვიძებს და ცათა ფრინვას ეკიდება სიხარულით: რადგანაც სიზმარი იყო ყოველი ეს და არა ცხადი. ამგვარმა სიზმრებმა საქმე გაუქირეს და ჩამწარეს ძილი; ძილი კი მის-თვის საჭირო იყო, რადგანაც მომავალ ღამეს მას უნდა შეესრულებინა თავისი განზრახვა—გაეტეხა და გაექურდნა ნაოს-ტატარის დუქანი.

დაღამდა. მიხაკო ბარდებიდან გამოძერა და დაუწყო ლო-დინი იმ დროს, როდესაც ფეხის ხმა მისწყდებოდა ხოლმე ბა-ზარში. თითქო ერთმა წელმა განვლო მისთვის მოლოდინში. მოუკიდა სასურველი დრო და კიდეც გამოსწია ბაზრისაკენ. ძრიელ გულადად და ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა იგი, მანამ მი-უახლოვდებოდა ბაზარს ორმოც-სამოც ნაბიჯზე; აქ კი შედგა და ფეხ-აკრეფით წავიდა იმ დუქნისაკენ, რომელიც მიზან ში ჰქონდა ამოლებული—თითო ნაბიჯის გადადგმას ოთხსა და ხუთს წამს ანდომებდა. ხოლო რამდენიც უახლოვდებოდა დუ-ქნებს, იმდენად გულის ძაგა-ძუგი უძლიერდებოდა და როგორც ზარის ხმა, ისე აშკარად ესმოდა მისი რაკა-რუკი. მი-აღწია, როგორც იყო დუქნის უკანა კარებს, საიდანაც აპირობდა შესვლას. ამართა ხელში მარწუხი, მთლად ათროთოლ-და, დაიწყო მთელი ტანით ძაგ-ძაგი, ხელებს ხომ სრულიად ვეღარ იმორჩილებდა. მარწუხი ვეღარ შეიმაგრა ხელში—იგი ხელიდან გამგარდა. უნდოდა ამ დროს დაეყვირნა, მაგრამ კრინ-ტი ვერ დასძრა, რადგანაც სული შეჰგუბებოდა და სუნთქვა შეჰსუთოდა. რის ვაი-ვაგლახით მოიბრუნა სული, მხოლოდ დაყვირებისაგან კი შეიმაგრა თავი, ტანიც დაიმორჩილა, თრთო-ლი ტანისა შეუდგა, ერთი კი წამოიძახა: „ფუ ეშმაქოვ!“ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა თავის ბინისაკენ; ეცა პირდაპირ ბარდებში და დაეგდო პირქვე.

მეორე დღეს გაკვირვებული დარჩა დუქნის პატრონი, როცა დაინახა კარებთან ნაგდები მარწუხი.

აშავე დღეს მიხაკომ დაიწყო სიარული და მივიდა ერთ ყასაბთან, რომელსაც იცნობდა შეგირდობის დროს, მისგან ხორცისა ყიდულობდა ხოლმე თავისი ისტატისათვის. ამ ყასაბს მიხაკო დაუდგა ბიჭად; უნდა ედეენი საკლავი ძროხა-ცხვრებისათვის.

xx

ერთხელ ჩახგლიდან წასული თეგზი
ჩანგადს მეორედ ედება

მიხაკოს ახლაც ხშირად ხოუკლიდა ხოლმე ლოთობის სურეილი და მომეტებულ ნაწილს იმ მცირედი ჯამაგირისაგან, რომელსაც ყასაბიდან იღებდა, ლოთობაში აქრობდა; ტანსაც-მელზე კი მაგრე რიგად არა ზრუნავდა. ურჩიბას ვინ დაპირახავდა მას, როცა ახალუხიც კი ან ათგან ჩამოფლეთილი, ან ოცგან დაკერებულ-დაჯლანებული ეცვა. არც ლურჯი ლაინის ნიფხავი ეცვა ყოველთვის მთელი; მისი სხეა-და-სხეა ფერის და ჯურის კონკები ერთმანეთს აღარ იჭირდნენ და ხშირად ხორცი უჩანდა ხოლმე. ფეხზედაც ან ძალზე დაჯლანებული, ან მთლად ძირებ-გამოეარდნილი ჩუსტები ეცვა, თეთრი დაგლეჯილივე წინდა-პაჭიშით. თავზე კი ეგდო ხოლმე შიგნით-გარედან ხელის სისქედ ჭუკუ-მოკიდებული, ნახევარ-კიზიროკიანი ქუდი-კარტუზი.

ამ მდგომარეობაში იყო მიხაკო, როცა შეჭხვდა მას ერთ-ხელ აღალო სანინღანში. მართალია წინადაც ბევრჯერ შეჭხვდრია იგი მიხაკოს, მაგრამ განგებ თვალს მოარიდებდა ხოლმე. ახლა კი დანახვის უმაღლ მიუბრუნდა მას და გულ-მტკივ-ნეულად ჰქითხა:

— ვა, შენ მიხაკა არა ხარ?

— დიალ, მიხაკა გახლავარ.

— ბიჭო-და, შე ჰარამზადავ, სადა ხარ? მე ასე მგონია, თუ წახვედი საღმე. ვფიქრობ, თუ სად გადავარდა-მეთქი! თუ

აქ იყავი, რატომ ერთხელ მაინც არ მოხვედი ჩემთან; ერთობ გაჭირებაში ჰყოფილხარ, როგორც გხედავ? არა გრუზვენიან, ემაგრე უნდა! მოხვიღოდი ჩემთან, შე კაი კაცო, და მეტყოდი, თუ, აღაჯან, ესეთ-ესეთ გაჭირვებაში ვარ და დამეხმარე. ვის ერთდებოდი, შე კაი კაცო, განა არ იცი ჩემი ხასიათი, რა გულის პატრონი ვარ? დავიჯერო, არ გახსოვს, რა სიკეთე მოვინდომე შენთვის, თუმცა კი შენ, ჩემო ძმაო, უგემურად და უმადურად ჩამიტარე ჩემი ნდობა; ვერ მიმიღწევინე იმ წალის, რაც მე გულით შენთვის მეწადა. ეხლაც მზადა ვარ მე დაგეხმარო და ისევ კაცად გაქციო, თუ ან ახლა მოიხმარებ კკვას. ერთი მოხვიღოდი ჩემთან, შე კურთხეულის შვილო, და შემატყობინებდი შენს ავსა და კარგს!

— რა ვქნა, აღა-ჯან, პირი მეტუნინებოდა, როგორ მოვსულიყავი უქნთან, რომ დამნაშავე ვარ. განა მე თვითონ არა ეჩივი ახლა და არ ვაყრი ჩემ თავს ვალობას, რომ ჩემი უჭკუობით და სისულელით ჩავვარდი ასეთ ყოფაში. შენ ჩემთვის ცდილობდი, მე კი კარზე მომდგარ ბედს წიხლი ვკარ და უკან გავაპრუნე. ღმერთმა ჰყითხოს და ნუ დაულიოს ჩემი ცოდო შვილის-შეილამდე, ვინც მე მახე დამიგო, გამაბა შიგ და დამაკარგვინა ყოველიფერი.

— ვა, აბა ტყუილად ღმერთს რად აჯავრებ-და აშუხებ! ეხლა რაღა გაეწყობა! წამხდარ საქმეს ეხლა აღარაფერი ეშველება: რაც იყო, იყო. არ მოგხდენოდა ემაგრე, კარგი იყო შენთვისაც და ჩემთვისაც—უფრო კი შენთვის. ახლა ვერც წყევლა უშველის საქმეს და ვერც ლანძღვა. თუ მოიმდომებ და კკვიანად მოიქცევი, კიდევაც კაცად ვაპედები, დრო არ არის წასული. დრო კაცმა თავისკენ უნდა დაატრიალოს და არა დრომ კაცი ატრიალოს.

— ჩემი მტერი გახდეს კაცად, როგორც მე ვიქცევი კაცად. კაცად რაღა მაქცევს, როდესაც რიგიანი ადგილი ვეღარ-სად მიმოვნია და მენახირედა ვეღივარ.

— ვა, როგორ თუ მენახირედ! რას ამობ, კაცო, შენა და მენახირედ!.. აფსუს!.. არა, შე კაი კაცო, ერთი მოხვიღოდი

ჩემთან! აკი გეუბნები, მე მზადა ვარ დღესაც დაგეხმარო, როგორც კი შემიძლიან, და კეთილ გზაზე დაგაყენო, რასაკვირველია, თუ შენ წინანდებურად უჭიუობას არ გამოიჩინ.

— რა ვქნა, აღავ, აკი მოგახსენებ, შენთან მოსვლა ვერ გავტედე ცალკე იმისთვის, რომ შენთან თავი შევირცხეინე, ცალკე კიდევ იმისთვის, რომ იმოდენა ვალი დამტოდ შენი და ვინ იცის აქამდის ერთი-ორად გარდაიქცა; ამ ვალსაც გასტუმრება და გარდახდა უნდა. რომელი ერთი მიმეცა დავიწყებისათვის და მოვსულიყავი შენთან.

— შენ, ჩემთ ძმაო, ყველაფერს თავი დაანებე: ნურც ვალისა გეფიქრება რამე და ნულარც გაფუჭებულ საქმეს იკონებ; რაც იყო, იყო, წავიდა მორჩა და გათავდა. შენ გეუბნები, ჩემთან მოდი-მეთქი: მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, როგორც წამოგაყენებ ისევ ფეხზე. ყველაფერი ღვთის საქმეა. ალბად შენი მაგ ყოფაში ჩავარდნა და გზა-კვალის არევაც ღვთის საქმე იყო. ვენაცვალე იმის მადლს, მე კი ისე მაქვს დაცდილი, რომ ყოველ ჩემ საქმეში ღმერთი ერევა და! ან რატომაც არ გაერევა, როცა მე მახსოვს ყოველთვის და იმის ნებაზე დავდივარ. რა ვიცი, იქნება ან შენ, ან შენმა მშობლებმა შესცოდეს რამე ისეთი, რაზედაც გარისხდა და გადაგახდევინა. მაგრამ უფალი დილია, ისევ ის მოგხედავს და შემდეგისათვის მოგიმართავს ხელს.

ამ შეხვედრის შემდეგ მიხაკო გაკვირვებით იძახოდა: კაცთან ისეთი პირშაობა და უსვინიდისობა ჩავიდინე და როგორდა მოიბრუნა ჩემსკენ გულიო; დაეიჯერო მენდობა კიდევ და მომანდობს რაიმე საქმესაო. მაგრამ იქმნება დაცინვითაც მეუბნებოდა ყოველიფერსაო.

ბევრი იყო ყმანა და იფიქრა, წასულიყო აღალოსთან, თუ არა. ბოლოს კი გადაჭრითა სთქვა: „ეჲ, ისეთ ყოფაში ჩავაგდე ჩემი თავი, რომ დაცინვაც უნდა ივიტანო და დამცირებაც. ამაზე მეტი დასაცინი და დასამცირებელი ყოფა-მდგომარეობა, როგორშიაც ეხლა მე ვარ, განა იქმნება-ლა! წავალ და თუ არ გამამაბრუნა უკან გაწმილებული, კარგია; თუ გამომაბრუნებს, ეგეც იმასთან იყოს, რაც აქამდის მომივიდა.

xiii

მგელა ანგარიშების გასწორება.

ერთ დილას მიხაკო დაეთხოვა აღა-ყასაბს,—ეს ადვილიც ახლა ძვირად ულირდა მას და ეშინოდა, დაუკითხავად წავლით არ დაეკარგნა იგი ადვილიც, თუ ვინიცობა იყო არ მიიღებდა აღალო,—მივიდა აღალოსთან. აღალომ ძრიელ გულახლით და გულ-შემატკივრობით მიიღო იგი. საყედურითაც კი მიპარა: „რაზედ მალოდინე ამდენ ხანს; კინაღამ კაცი არ გამოვგზავნე საძებნელად. რაღას ელოუებოდი, რატომ მაშინვე არ წამოხვედი ჩემთან, რამწამ გნახე და გითხარი?

— აკი მოგახსენე მიხეზი მაშინათვე—რა ვქნა, პირი მერცხვინებოდა და იმისთვის კიდევ ვერა ვბეჭავდი მოსვლას.

— კარგია ერთი, მამა ვიცხონდა, დაანებე თავი მაგდენ ბოდიშებსა და სინანულს! ვის არ მოჰსვლია საფრთხე და არ წაპტორძიკებია ფეხი! მარტო შენ თავზე ხომ არ მომხდარა ეგ საქმე; მთელი მილიეთი ემაგრე ტრიალებს: ზოგი მდიდრდება, ზოგი კოტრდება; ზოგი იგებს, ზოგი ზარალობს. მაშ როგორ ბრუნავს ქვეყანა? ყველას საქმე რომ ერთნაირად მიდიოდეს; ყველანი რომ ერთნაირ გარემოებასა და ყოფაში ვიჟვნეთ, მაშინ რაღა ლაზათი და ეშხი ექნება ცხოვრებასა და ქონებას და თვით სიცოცხლესაც? აკი გეუბნები, მე მამა-პაპისა კი არაფერი დამრჩენია; დიდი ხანიც არ არის, რაც მე სარჩო მოვიპოვე. სწორედ შენ ხანში ვიშოვნე მე სარჩო. იქნება ღმერთმა შენც გიშველოს და გაფიქრებინოს ისე კეთილად,—ისეთ კეთილ გზაზედ დაგაყენოს, რომ გამდიდრდე, სოვდაგარი კაცი შეიქმნე, დრო არა გაქვს წასული, იმ დღესაც გითხარი.

— ეჭ, შე დალოცვილო ხაზეინო, შენი საქმე სხვა იყო, ჩემი სხვა არის; ეხლა შე ვეღარაფერს მოვეწევი. ნეტავი იმდენი რამე ვიშოვნო, რომ ლუკმა პური გამოულეველი მქონდე და სხვა არაფერი მინდა: არც სიმდიდრე, არც სოვდაგრობა.

— ვა, კაცო, რა გული გაგტეხია! — უთხრა აღალომ რა-
ლაცა სიამოვნების ღიმილით. — არა გრცევნიან, ჯანითა და ღო-
ნით სავსე კაცმა მაგრე უნდა გაიტეხოს გული და გადიშვი-
ტოს იმედი! სირცხვილია მეთქი, გეუბნები. რაც განდა ოქვი
და იფიქრე, მეკი შენ ფეხზედ უნდა წამოგაყენო ისევ. უცხო
ხომ არა ხარ, მე და ცხონებული მამაშენი ერთად შევიზარ-
დენით. მე ჩემ თავს მოვალედ ვთვლი მეყობრის შვილს დავეხ-
მარო; წინადაც ამის გულისათვის მიგიყედლე, რა ვქნათ, თუ
ერთ საქმეში ვერ მოიხმარე ჭკუა, ვერ გამოჰდექი და ვერ მი-
მაღწევინე ჩემი სურვილისათვის — გამეხალე კაცად, იქნება მეო-
რე საქმეში გამოიჩინო ნიჭი და გამიმართლო მოლოდინი. ეხ-
ლა მე შენთვის ისეთი საქმე ამოვარჩიე, რომ, იმედია, ჭკვასაც
მოიხმარებ და კარგადაც წაიყვან შენ საქმესაც და ჩემ საქმე-
საც. შენ ხომ იცი, მე დიდი ხანია, თამბაქოს პლანტაციები
მაქეს. რაც შენ შეგხვდი, მას აქეთ სულ იმასა ვფიქრობდი, თუ
რა საქმე გამოვუჩინო ისეთი, რომლითაც შემეძლოს მისი შვე-
ლა და ხელის დახმარება-მეთქი. ბევრისაგან ბევრი ვიფიქრე,
მაგრამ იმის მეტი შენი საფერისი საქმე ვერ მოვიგონე, რომ
ჩაგაყენო ჩემს პლანტაციებში და იყო იქ მუშების ზედამხედ-
ველად და თადარიგის მისაცემად. ამაზე საფერისი საქმე შენ-
თვის ვერაფერი მოვიგონე. დაგინიშნავ გარდაშვეტილ ჯამა-
გირს. ამასთანავე კარგს ჩაგაცმევ, კარგს დაგხურავ, კარგს გას-
მევ და კარგს გაჭმევ. შენი საქმე კი მხოლოდ ის იქნება, რომ
მუშებს თავს დაადგე, როცა ისინი პლანტაციებში იმუშავებენ
და თამბაქოს უყარაულო, მანამ გასასყიდად წავიღებდე; ზამ-
თარში კი ჩემიან სახლში იქნები. თუ მოინდომებ კიდევ და — იქა-
ვე პლანტაციაში დაგიდგმ ერთ კაი ოთახს და იცხოვრე შენ-
თვის. ერთი სიტყვით, რაც კი შესაძლებელი იქნება ჩემის მხრით,
უაველ ღონისძიებას ვიხმარებ, რომ შენ ისევ კაი გზაზე და-
გაყენო და კაცურ-კაცად გაქციო. ჩემებურად შენ არავინ გიც-
ნობს, თორემ ვინ არ მოგეჭიდებოდა შენ ორივე ხელით. შენ
ოქრო ხარ, პირში გეუბნები, თუ პატრონი გეყოლება და მო-



გიხმარებს, როგორც ოქროს. მეტსუსება, რომ ამ ოქრომ უსარ-
გებლოდ ჩიაროს და დაიკარგოს.

— თუ კი მაგისთანა სიკეთეს მიზამ, ხაზეინო, განა მაღ-
ლობის მეტი-და მეთქმის რამე!

— ვა, სიკეთე რომელია! სიკეთეს კი არ გიშერები, ჩე-
რო მიხაკა, მე, როგორც პატიოსანი კაცი, ჩემ მოვალეობას ვას-
რულებ. გეტნები, ცხონებული მამაშენი ჩემი მეგობარი იყო-
მეთქი. მაშ თუ მეგობარი მეგობრის შვი ის არ უპატრონებს
და ყურს არ უგდებს, რიდას ქრისტიანები და ლეთის მაედრებელ-
ნი უნდა ვიყვნეთ! რა ვიცი, მე კი ასე მგონია და!.. მე მარტო ის კი
არა მსურს, რომ მოჯამაგირედ იყო ჩემთან; მე სულ სხვა ფიქრი
მაქვს. მე მინდა შენ თამბაქოს ხელი შეისწავლო. ეხლა ბერ-
ძნები მყვანან ამხანაგად; ნახევარი მოსავალი თამბაქოს იმთა
ჰედებათ. რისთვის? ჰაზირ ჩეგნმა ქართველმა კაცმა ისარგებ-
ლოს სხვის სარგებლობას? ქართველები და სომხები რას გაუყ-
ვავარო, — არივე ძმები ვართ. თამბაქოს ხელს ისწავლი, ბერძ-
ნებს დავითხოვ და შენ მიგიყვნებ ამხანაგად, — შენ არ მიჩივ-
ნიხარ ვიღაც გადმოვარდნილ ბერძნებს! შენც ღმერთი გიშვე-
ლის, ბედი წალმა დაგიტრიიალდება და გამდიდრდები, კაცად
იქცევი; ქვეყანა ასე ტრიალებს ერთი-ერთმანეთის დახმარე-
ბით. შაგიძლარ მერმე შენ თვითონ გაიკეთო შენთვის საკუ-
თარი პლანტაცია, თუ ჩემთან იღარ მისისურებ ამხანაგობას.
რამდენი კაცი გაკეთდა თამბაქოთი იმ ცოტა ხანში! ჩემი ხაქ-
მეც თამბაქომ არ წამოსწია წინ! თუ შენ გამდიდრდები, ჩემ-
თვისაც გასახარო და სასიამოენო იქნება ეს, რადგანაც ჩემის
დახმარებით იქნები გამდიდრებული. ჰამ ჩემთვის სახელი იქნე-
ბა ეს, ჰამაც იტყვი, ღმერთმა უშველოს ალექსეი მელიქისაო.

— დიდი მაღლობელი გახლავარ, ხაზეინო, მაგისთანა გულ-
შემატკიცრობისათვის. ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს შენი
თავი ჩემს სანუგეშოდ. ღმერთმა ნუ დაგიკარგოს ის ამაგი, რა-
საც გე შენ მიშვრები, ანუ მიზამ მომავალში. თუ მე ვერ გა-
დაგიხდი, ღმერთმა გადაგიხდოს ჩემს მაგიკ. მხოლო ახლა
ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. რადგანაც მე დიდი დამნაშავე

ვარ შენთან, შენ კი, არამც თუ მახდევინებ ჩემს დანაშაულს, პირიქით, ენით გამოუთქმელ სიკეთესაც მიშვრები; მინდა მეც, რამდენადაც კი გარემოება ხელს მომიმართავს, პირ-ნათლად ვიყო შენთან. მე მინდა ჩემი ვალის ვითარება გავიგო. ჩემზე ოცი თუმანი დარჩა. რასაკვირველია, მოემთატებოდა აქამდის. მოდი ეიანგარიშოთ; თავნ-სარგებელი შევკაცოთ ერთად; ვნა-ხოთ, რამდენი შედგება. და ჯამაგირიდან, რამდენსაც დამინიშ-ნავ, ზოგი ვალში გამშიბარე ხოლმე, ზოგიც ფულად მაძლიე.

— ახლა ეგენი დაიწყე! მე შენ გეუბნები, გაჩუმდი-მეთ-ქი! რა დროს ვალზეა ახლა ლაპარაკი!

— არა, ხაზეინო, მე იმას ვერ ვიკისრებ, რომ სრულიად პირ-შერცხვენილი ვიყო შენთან. როგორც შემეძლება, უნდა ვეცადო და გადავიხადო შენი ვალი. შენც გეხვეწები, ხელი არ შემიშალო და პირ-ნათლად მაყოფო შენთან.

— ჰაზირ რომ კარგს ამობ!.. მართლაც-და, იცი, ჩემო მი-ხაკ, იღბალი ბრძა-ყრუდ დადის. ეხლა მე მაქვს სარჩი; შაიძ-ლება მე გავკოტრდე და შენ კი კარზე იღბალი მოგადგეს და გამდიდრდე. მაშინ, რასაკვირველია, ჩემთვის გაკემულობა დი-დი რამ იქმნება, შენთვის კი ადვილი იქმნება ჩემი ვალის მო-შორება. დაიჯერე, კარგი რამა სთქვი. ახლა რომ ვფიქრდები, უფრო მომწონს შენი აზრი და ჰატიოსნება. სწორედ რომ სამ-ჯობინარია შენთვისაც და ჩემთვისაც გავიგოთ რაოდენობა ვა-ლისა, — რაც კარგია, კარგია! აი ვიანგარიშოთ, რაც სარგებე-ლია ვადის გასვლიდან დღევანდლამდე, მივიდეთ თანზე და-ერთიანი ბარათი დავწეროთ. მხოლოდ ეხლა შენ ჯამაგირს არ შემოგეცილები, შენც ცოდო ხარ. რაც ჩემიდან წაპსულხარ, როგორც გეტუობა, კარგი არ გინახავს. ცხოვრება მოჭმული ხომ არა ხარ, ახალ-გაზრდა, ვაუკაცი ხარ ისევ: ან დროების გატარება გინდა სწორ ამხანაგში, ან ჩაცმა-დახურვა გინდა რი-გიანი, ან მისვლა-მოსვლა გინდი ვისთანმე, — რა ვიცი, როგორ დაგჭირდეს. ეს ფული იყოს, ჩემო მიხაკ, ბარათით და როცა შეიძლო და ღმერთი შნოსა და სარჩის მოვცემს, მაშინ გადა-იხადე. არ გექმნება შეძლება და აზც გოხოვ, — როგორი სი-ტყვა?

— დიდი მადლობელი გახლავარ, ხაზეინო, ღმერთმა დიდ ხანს მიცოცხლოს შენი თავი.

— აბა ეხლა მითხარი, რა ჯამა გირი მოგცე ან თვეობით, ან წლობით?

— რაც გენებოს, ის მიბოძე. განა მე თავს გაეიხრი, რაც უნდა მომცე, როდესაც ვხედავ შენგნით ამოდენა სიკეთეს!

— რახან ჩემს სვინილისზე აგდებ საქმეს, ახლა მე ვიცი. კი რვა მანეთს მოგცემ თვეში და ერთ ხელს სამუშაო ტანი-სამოსს,—სმა-ჭამა ხომ სხვა იქმნება. ყაბული გაქვს, თუ არა?

— რატომაც არ მექმნება ყაბული! მადლობის მაგიერია, რომ არ დაყაბულდე! ცალკე ძალლ-უმაღურ ცხოვრებიდან მიხსნი, ცალკე ჯამაგირს არ მიჰერ ვალში.

— შენ თვითონ კარგადა ჰქედავ, ჩემო მიხაკ, რომ ის აღარა ხარ, რაც იყავი. მშასადამე, არც ის ჯამავირი-ლა გე-კუთვნის ახლა, რასაც მოგცემდნენ წინად, ვიდრე ამ ყოფაში ჩავარდებოდი.—მართალს ვაძობ, თუ არა?

— მართალია.—მიუკო მიხაკომ.

xlv

განონიერად შეძენილი ყმა

ვალი, ანგარიშის შეძლევა, შედგა ოცდა ცხრამეტი თუმანი და ორი მანეთი. ორი მანეთი აპატივა; ხოლო ოც და ცხრა-მეტი თუმანის სარგებელსაც, ორ აბაზობაზე თვეში, ზედ მივიდა და ერთი წლის ვალით დაწერა აღალომ ორმოც და ჩეიდმეტი თუმანი, მანეთები და კაპეიკები აპატივა.

ორი დღის შეძლევა დაგლეჯილ-დაბლერძილი მიხაკო ახალ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. სამი თვის ჯამავირიც წინადვე მიიღო და გასწია აღალოს პლანტაციებში.

პირველ წელიწადს მიხაკოს მიანდო აღალომ დაკვე-თილი და სიაში აღნუსხული მუშების — დედაკაცების და გოგოების—შეკრება სამუშაოდ და მათი თავზე დგომა მუშაო-

ბის დროს. მეორე წელიწადს კი მიუჩინა იგი ბერძნებს, რათა თვალ-ყური ედევნებინა და შესწავლა თამბაქოს მოყვანა-გავე-თების ხელობა. მხოლოდ პირველი თანამდებობაც ხელში შე-არჩინა ისევ. ყველაზედ სასიამოვნო სამუშაო გოგოებისათვი-საც და მიხაკოსათვისაც თამბაქოს დასტავება იყო. თან ადას-ტავებდნენ გოგოები თამბაქოს ჯაგნებს, თანაც დასხახოდნენ სხვა-და-სხვა სიმღერებს. მიხაკო აღტაცებაში მოჰყვანდა მათ სიმღერებს და ნეტარებაში ჰგრძნობდა თავის თავს. თითქმის გვერდიდან არა ჰშორდებოდათ მომღერალ გოგოებს; თანაც ილამაზებდა თავს და, რაც შეეძლო, სუფთად იკვამდა და იხუ-რავდა. ნამეტნავად სიმღერის დამწყებ გოგო ბაბუცას მოჰყვან-და იგი ეშხე და უტოკებდა გულს სიამოვნებით. სულ ქვეშ კი უნდა სთქვას კაცმა, რომ არც ბაბუცა უყურებდა მიხაკოს გულგრილად. ამ ორი სულიერის თვალები ძრიელ ხშირად შეჭხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და ესროდნენ ორივეს გულში სიამოვნების ისრებს. ხოლო, როცა თვალიდან ჰშორ-დებოდნენ ერთმანეთს, მიხაკო მაინც თვალ-წინ წარმოიდგენ-და ხოლმე ბაბუცას: უმზერდა ფიქრით, უღიმოდა, ეალერსე-ბ იდა და ფიქრითვე იღებდა ბაბუცასაგანაც თანაგრძნობას. მიხაკო ხშირად შეადარებდა ხოლმე ბაბუცასაგან აღძრულ გრძნობებს იმ გრძნობებთან, რომელნიც იყვნენ მასში ილ-რულნი მეძავი გოგოსავან, მაგრამ დიდ განსხვავებას პოუ-ლობდა ამ გრძნობათა შორის. ახლანდელი გრძნობათა დელ-ვა უფრო ტკბილი, უფრო ნახი და უფრო გემოვნებით იყო მიკული. ამის მიგვანებულს მიხაკო ვერაფერს პოულობდა წი-ნანდელ გრძნობებში.

მიხაკომ გადასწყვიტა ბაბუცას ცოლად შერთვა; მისი დედ-მამისაგანაც პირი აიღო. მაგრამ დამაბრკოლებელ მიზეზად მას - სხვა რამ წარმოუდგა. აღალოსი იძოვენა ვალი ემართა. მას-თან მოჯამაგირედ ყოფნაში ვალს არამც თუ ფეხი ვერ მოს-ტეხა, პირიქით, კიდეც გაღიღდა იგი ვალი. მაშისადამე, თუ ალალო ნებას არ მისცემდა ცოლის შერთვისას და კიდევაც არ დაეხმარებოდა ქორწილის გადახდაში, ვალით იქნებოდა,

თუ სხვა ნაირად, შეუძლებელი ხდებოდა მისთვის განზრახვის შესრულება. თუ, ვინიცობაა, გავიდოდა აღალოდან, ხომ უფრო ცუდ შედეგს მოელოდა. ამისათვის, ერთხელ, სრულიად უიმედოდ და გულის ფანცქალით გაუმჟღავნა აღალოს თვისი სურვილი. ხოლო მიხაკოს არა სჯეროდა, თუ ცნადივ ელაპარაკებოდა აღალოს, როცა ამ უკანასკნელმა დიდის კმაყოფილებით და თითქმის სიხარულით მისცა ნება ცოლის შერთვისა და შემწეობაც დიდი აღუთქვა ქორწილისათვის. ამ გარემოებამ სრულიად დაარწმუნა მიხაკო მასში, რომ აღალო მისი ჭეშმარიტი მოკეთე და გულშემატკიცარი იყო. რავი აღალოდან სასურველი ნება-რთვა აიღო, მიხაკო დაინიშნა და შეორე შემოღომაზედ—იმის შემდეგ, როდესაც თონეზედ გოვოები ბაასობდნენ,—ჯვარი გადაიწერა ბაბუცაზედ.

ეს ბეღნიერებაც არ აქმარა მას აღალომ. იყი ყოველ წელს სარგებელსაც უკლებდა და ნაკლები სარგებლით აწერდა ვალს. ჯერ შვიდ შაურზედ ჩამოიყვანა სარგებელი, მერე ექვს შაურზედ, შემდეგ ხუთ შაურზედაც. ქორწილის დღისათვის ოთხმოცდა-თექვსმეტი თუმანი შესდგა ვალი. მეტიც იქმნებოდა, მაგრამ ყოველ ანგარიშის ღროს ბუჩქლს-მანეთებსა და კაპეიკებს-აპატივებდა ხოლმე და მარტო კაკალ თუმნიანებს აწერდა. ოთხი თუმანიც საქორწილოდ მისცა და ასი თუმანი თავისი სარგებლით, აბაზობაზედ—ახლა აბაზად უანგარიშა—სულ ას ოცდაოთხი თუმანი დაწერა მიხაკოს. სარგებლის დაკლებასთან ერთად ჯამაგირსაც უმატებდა მიხაკოს, რადგანაც თამბაქოს ხელი ისე შეისწავლა, რომ თვითონ აწარმოებდა მთელ საქმეს, ბერძნები კი დაითხოვა აღალომ. ქორწინების წელს მიხაკო თვეში თორმეტ მანეთ ჯამაგირს იღებდა უკლებლივ ხელში. ყოველ ამ გარემოებათ მიხაკოს გული უღრმესი სიყვარულით და პატივისცემით აღალეს და გარდააქციეს იყი აღალოს ერთ-გულ მოსამსახურედ და სახლის შვილად. ძნელად თუ ან მიხაკო, ანუ სხვა ვინმე თავისს თავისთვის მოინდომებდა იმ სიკეთეს, რაც იმასა ჰსურდა აღის სახლისათვის და კიდევაც არა ჰწოგავდა არც ჯანს, არც ღონეს და არც



მეცადინეობას აღალოს საქმის წარმატებისათვის. მხოლოდ თვით აღალოს კი ამჩნევდა ბოლოს დროს რაღაცა უკმაყოფილებას და ამრეზას, მაგრამ ამისი მიზეზი ვერ გაეგო.

ჯვარის წერის ერთი წლის შემდეგ, როცა ვალი უნდა განვარიშნათ და თამასუქი გაეახლებინათ, აღალომ ასე დაიწყო: „იცი, მიხაკ-ჯან, რა უნდა გითხრა: ჩენ რომ მივყვეთ და მარტო ცცვალოთ ძველი და ვწეროთ ახალი თამასუქი, ისე გადიდება ვალი, რომ შენი შეილის შვილიც ვერ ამოუვა. მე იმედი მქონდა, რაიმე უნარს გამოიჩინდი, შენთვისაც სარჩოს მოიპოვებდი და მეც პასუხს გამცემდი. მაგრამ როგორცა ვხედავთ, მე იანდლიშად მოვედი და მოტყუებული დავრჩი. მართალია, ვინ ამობს, კაი ცოდნა ვაქვს თამბაქოს მოყვანა-გაკეთებაში, მხოლოდ ისიც მართალია და შენც დარწმუნებული უნდა იყო, რომ ჩემოდენა ჯამაგირს შენ სხვა არავინ მოგცემს. მარტო ის კი ნუ გგონია შენს ჯამაგირად, რასაც ხელში ფულს გაძლევ; შენ ისიც იანგარიშე და სახეში იქონიე, რომ ყოველ წლივ სარგებელს გიმცირებდი. იცი აქამდის რამდენი შედგებოდა, სულ ორ აბაზობაზე რომ ყოფილიყო! სხვა უჩემო ვინ გიზამდა ამას? ეს ჩემი კაი კაცობით მოვახდინე, თორემ რა სიკეთე მიგიძლვოდა შენ ჩემთან, რომ მისი გადახდა მდომებოდა. მუქთად ხომ არავის უჩუქებია ჩემთვის, შრომა გამიწევია, ოფლი მამიწურავს ფულების მოგებაში. თუ შენ არ მომცემ, სხვა არ მომცემს, ვისაც მიმართებს, მაშ. რითი ვიცხოვრო? მინდა, თუ არა მეც ცხოვრება? მაგრამ მაინც ჩემი კაი კაცობით იმასაც არ ვიზამ, რომ ეხლავე წრე შემოგავლო: არ იქნება, საცა იყოს და არ იყოს, მოთხარე და ჩამაბარე-მეთქი. თუ შენი შეწუხება მდომებოდა, ისე ღვთიურად და მოკეთურად არ მოგეპყრობოდი, როცა გაჭირვებულ მდგომარეობაში გნახე და გამოგიხსენ. იცოდე, სხვა არავინ ვიზამდა იმას, რაც მე გიყავი. ეხლაც მინდა ისე დავაყენო საქმე, რომ ისევ შენი სისარგებლო იყოს და შეღავათი მოგეცეს. იცი, ჩემო მიხაკ, მე როგორ გადავწყვეტე. ას ოცდა ოთხი თუმანი არ არის შენი ვალი? მოდი ნულა გავაბევრებთ, თორემ შენ-

თვისევე იქმნება ცუდი, ძრიელ დაგიმძიმდება. მარტო სარგებელი, აბაზობაზე რომ ვიანგარიშოთ, ოცდა ცხრა თუმანი, შვილი მანეთი და სამი აბაზი დგება. მხოლოდ მე ი კიდევ რა სიკეთეს გიზამ: აბაზობაზე კი არა, თვეში ორ შაურობაზე გიანგარიშებ სარგებელს; მე სხვასავით უღმერთო არ გეგონო, რომ კაცის გაჭირვებით ვისარგებლო. წლის სარგებელი ორ შაურობაზე დგება სულ თოთხმეტი თუმანი, რვა მანეთი და ოთხი აბაზი. ვთქვათ, ბუჩქლს—ოთხ აბაზს—თავი დავანებოთ, დარჩება თოთხმეტი თუმანი და რვა მანეთი. ახლა ი კიდევ რა მწალიან, თუ შენც მოგეწონება და თანახმა გამიხდები: მოლი, რაც ვალი არის თამასუქით, ის ისევ ისე უსარგებლოდ დავწეროთ, სარგებელში კი შენ ჯამაგირს გამოგიბრი. მართალია შენი წლიური ჯამაგირი თოთხმეტი თუმანი და ოთხი მანეთია, სარგებელი კი თოთხმეტი თუმანი და რვა მანეთი, მაგრამ არა უშავს-რა, ისევ შენზე წამოვიდეს მეტი. ჯამაგირს გარდა სისმელ-საჭმელი და ტანთ-სატმელი მუქთი და უხეი გექმნება ჩემ-გნით. შენი ცოლიც ჩემთან იყოს სახლში; იმასაც კარგს ჩავატმევ და კარგს დავხურავ, სისმელ-საჭმელი ხომ კარგი ექმნება. ასე იცხოვრებთ ჩენს სახლში უზრუნველად და ბატონკაცურად. მხოლოდ შენი ცოლი ხანდისხან სადედაკაცო საჭმეს თუ გააკეთებს სახლში—დაჰვის, დასწმენდავს, თორემ სხვა საქმე არა ექმნება-რა იმას. ის ოთხი მანეთი მეტი თუნდა იმის ჯამაგირიდ გადადე, თუნდა შენსას მიუმატე,—როგორც გინდოდეს. შენ კარგად იცი, რომ მე მოსამსახურე დედაკაცი არ მინდა და არც მიჭირს. რა ჩემი საქმეა სახლში მოსამსახურე დედაკაცის ყოლა! პატარა ჩემ შვილებს დასჭირდებათ მისი ყურის გდება რა! თუ ღმერთი შვილს მალირსებს, მაშინ სხეა იქმნება. ახლა კი სულ მეტია ჩემთვის მოსამსახურე დედაკაცი. მაგრამ, როცა შენ ჩემთან იქმნები, განა სვინიდისი ნებას მამცემს, რომ შენ ცოლი სხვაგან იყოლიო! იცხოვრეთ ჩემთან ქმარმაც და ცოლმაც; ყველაფერი მუქთი და უხეი გექმნებათ და ფულები აღარ იქმნება თქვენთვის საჭირო. ან რისოვის დაგჭირდებათ? თუ მოგაგნეს როგორმე და საქალაქო ხარჯი შეგაწერეს,

იმის პასუხის მგებელიც მე ვიქმნები. აბა ჩაშ ფულები რაღა საჭი-
რო იქმნება თქვენთვის! ი ასე რომ მოიქცე, ჩემის ფიქრით,
ძრიელ სასარგებლო იქმნება შენთვის. თორემ შენ იცი, რო-
გორც გინდა, ისე მოიქცი, მხოლოდ ჩემი მამაშვილური და-
რიგება კი ეს არის. იმის პირობასაც მოგცემ, რომ, თუ შვი-
ლები გეყოლება, ისინიც ჩემს ხარჯზე იქმნებიან. ასე დავი-
ჭიროთ საქე, თუ შენც კეკაში გიჯდება ჩემი დარიგება. და
თუ როგორმეა, ღმერთმა მოგაუენა რაიმე იღალა, იშოვნი
სარჩის და მაიშორებ ჩემს ვალს, მაშინ შენც ღმერთმა მშვი-
დობა მოგცეს და მეც; გავშორდეთ ერთმანეთს, თუ ან მაშინ
გამოჰდები უჩემოდ. თანხმა ხარ, თუ არა იმ დარიგებაზედ?

— მეტი რა გზა მაქვს, ხაზეინო, რომ არ დაგთანხმდე! —
უთხრა მიხაკომ გულ-ხელდაკრეფით და გულ-დაწყვეტით — სად
წავიდე ახლა, ვის მივატანო? ცოდო ზურგზედ აეიკიდე, მაგას
შანახეა უნდა. მარტოხელი რომ იყო, ან იქეთ ვაწყვეტდი
თაეს, ან იქით; მივეხლებ-მოეხლებოდი და, როგორც იქმნე-
ბოდა, გადვიხ დიდი შენს ვალს.

— ვა, მიხაკ, რატომ არ დაჰფიქრდები, რასა ჰლაპარა-
კობ! შე კაი კაცო, განა ჩემგან რომ წახვიდე, მაშინაც ორ
შაურად დაგაწერდი თვეში სარგებელს! მაშინ იქმნება ორ აპა-
შსაც აღარ დაგჯერდებოდი თვეში. აბა ვინ მოგცემდა წელი-
წადში იმოდენა ჯაჭაგირს, რომ ჩემი ეალის სარგებელიც გე-
ხადნა, წელიწადში სამოც თუმანზედ მეტი, და ცოლშვილიც
გეცხოვრებინა.

მხოლოდ ახლა მიპავდა მიხაკო, საითკენ იყო „მიმართუ-
ლო აღალოს გულ-კეთილობა, „ღვთიური და მოკეთური“ ზრუ-
ნვა, და რა მაგრად იყო გაბმული მის ქსელში. ამაიოხრა გუ-
ლიანად და უთხრა: — შენი ნება არის, ხაზეინო, როგორცა
გსურდეს, ისე დავიჭიროთ საქმე; მე ეხლა შენ ხელში ვარ და
შენს იქით გზა აღარა მაქვს.

— ვა, გეუბნები, თუ ხელს მოგცემს, წადი-მეთქი. მე ხომ
კალთებზედ არ გებლაუჭები: შენი ჭარიმე, ნუ წახვალ მეთქი;

ნაგარდობა

პირიქით შენ უნდა მებლაუჭებოდე, — უთხრა აღალომ წყრო-
მის კილოჲი.

— აბა საღ წავიდე, ხაზეინო? როცა შენ მონად და ყმად
გვავხდი, კიდევ უნდა გეყმო, მეტი რა გამეწყობა.

დაწერეს თამასუქი ას ოცდა ოთხი თუმნისა უსარგებლოდ.
მახაკომაც ბათილამა მისცა ცალკე მაზე, რომ თვისი და ცო-
ლის მთელი წლის ჯამაგირი თოთხმეტი თუმანი და რვა მანე-
თი სრულიად მიიღო წინადვე. ამის შემდეგ ყოველ წლივ იცვ-
ლებოდა თამასუქი და ბათილამაც იწერებოდა ჯამაგირის მი-
ლებისა.

შეფანია

(დასასრული იქნება)



დ ა მ ო ნ ე გ უ ლ ი ს

რომანი ბოლგართა ცხრურებიდან

თ ვ. გ ა ზ ღ ი ს ა

ნაფილი მეორე

xxvi

გრიგალი გრიგალის წინ.

რადას მოულოდნელად მოუხდა წასელა კლისურში.

ლალკის დასაფლავების შემდეგ სახლში დაბრუნდა თუ არა, ერთი კლისურელი გლეხი მივიდა და უთხრა, ბოიჩომ შემოგითვალია, კლისურში უნდა წამოხვიდეო; მე კი კარლოვოდან ახლა სახლში მივდივარო. რადა ხელად გამოეწყო და კლისურში წავიდა.

კლისურში ქალბატონ მურატლიისკისთან ჩამოხდა. ამ ქალს ოგნიანოვმა სთხოვა, რადა შენთან იყოსო და ისიც დიდის სიამოენებით დასთანხმდა უპატრონო ქალისათვის პატრონობა გაეწია.

სახლის სარქმელები აღმოსავლეთს გაჰყურებდა და იქიდან მოსჩანდა მთელი ქალაქი კლისური, გარშემო მინდვრები და ძველი-პლანინა. თვალ-უწვდენელი წვერი რიბარიცის მთისა, რომელსაც ზამთრის გვირგვინ. — თოვლი ჯერ ისევ ედგა თავზე, სამხრეთისკენ თითქმის დაქანებულად ეშვებოდა, და ამ

მხარის ძირის ქალაქი კლისური იყო გაშენებული. მთის ამწვანებულ ფერდებზე აქიქ ჭრელად მოსჩანდა ვოლოშელ ბოშების ჯოგი და მათი წითელი კარვები; ქალაქის აღმოსავლეთის მხრით თავს დაჰკურებდა მთელი რიგი სალთა კლდეთა, ზოგგან შიშველთა, და ზოგგან ვენახებითა და ვარდის ბალებით დაფარულთა. ქალაქიდან კლდეს აჰყებოდა დაკლაკილი საცალფეხო გზა და გადადიოდა მეორე მხარეს მდებარე ზლიდოლის ველზე. კლისურს მეორე მხრიდანაც ეკრა ქედები. ქალაქი ჩავარდნილ ველში იყო დამალული, ბალებსა, ბოსტნებსა და ვარდებში ჩაფლული. ჰაერში ვარდის სუნი იღვა. ზამთრობით კლისურს დალვრემილი სახე აქვს, ქვეყანას მოწყვეტილია, მაგრამ ზაფხულობით კი საუცხოვო სანახავია, გრილა, სურნელება მისის ბალებისა აღამიანს გულს უხარებს, მისის ლამაზ ადგილების ცქერით თვალები ვერა სძლება.

კანდოვი დიდხანს ყოყმობდა — წავიდე კლისურში, თუ არაო. ბოლოს, გადასწყვიტა წასულიყო. ისე მოულოდნელად წავიდა, რომ რადას სახელზე დაწყებული წერილი მაგიდაზე დაავიწყდა. ეს წერილი ნეტკოვიჩია ნახა; ვინმე უკეთურს არ ჩაუვარდეს ხელშიო და ჯიბეში ჩაიდო. რადას მისვლის მეორე დღეს მივიდა კანდოვი კლისურში და ერთს თავისს ნათესავთან ჩამოხდა. რადა იმავე დღეს ინახულა. ქალი ლალკის სიკვდილსა სტიროდა და სტუდენტს თვალცრუემლიანი დაუხვდა. კანდოვი მიხვდა, რომ უდროეო-დროს ვნახეო; მაგრამ გულზე კი როგორლაც ეფონა და რადას ნახვამ ნეტარება მოჰქმადლა.

კანდოვი დღესაც ეწვია. ჯერ ისევ აღრე იყო. ქალი უფრო დაშინებული და დალრეჯილი დაუხვდა. ჯერ იყო და ლალკა მოუკვდა და იმის ჰელოვობდა, ახლა ამ გლოვის სხვა დარღიც დაერთოს: არ იცოდა, ბოიჩი სად იყო და სად არა; ხმა კი გავრცელდა, კოპრივშინაში ხალხი აჯანყდება ამ დღეებშიო. კანდოვოს მოსვლა ძალიან გაეხარდა დალონებულს რადას.

— ბატონო კანდოვ, ახალი ამბავი რა იცით? — ჰერითხა ქალმა შეშინებულის სახით.

— ამბობენ, ხალხი უნდა აჯანყდეს, — უპასუხა უგულოდ კანდოვება.

— ღმერთი ჩემო, ვინ იცის, რა ამბავი მოხდება? ბოიჩოს ამბავი სულ არაფერი ვიცი... ვინ იცის, რა დაგვემართება!?

კანდოვი არეულს პასუხს აძლევდა, თითქო ახალ-ზელანდის მცხოვრებთა შესახებ ეყითხებოდნენ. მართალია, კანდოვი არეულ პასუხს იძლეოდა, თითქო დარდი არა ჰქონდა მომავალის აჯანყდებისა, რომელსაც ბოლგარეთის ბელი და უბედობა უნდა გადაეწყვიტნაო, მაგრამ გული-გულში კი წარკვეთილი ჰქონდა ყოველი იმედი. ხოლო ამას ვერც რადა ამჩნევდა და ვერც თვითონ სტუდენტი.

— ხალხი რომ აჯანყდეს, თქვენ რას იზამთ?

— რაც საჭირო იქმნება.

— როგორ თუ რაც საჭირო იქმნება? არ იბრძოლებთ?

— მე რა შემიძლია, რადკე? მხოლოდ ერთი რამ შემძლია — მოვკვდე! — უპასუხა კანდოვმა წარბ-შეკრულის სახით.

ჭიშკარი სამჯერ დაკაკუნებ.

— ბოიჩო! — წამოიძახა რადამ და გაულო.

შემოვიდა ოგნიანოვი, გლეხურად ჩიცმული, დალლილი და მთლიად დამტვერიანებული. ის იყო, პანაგიურიშჩიდან ბრუნდებოდა. იქ საერთო კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს, ხალხი პირველ მაისს აეჯანყდებინათ. ახლა ოგნიანოვი ბელაია-ცურკოვში მოეჩარებოდა. სულ რამდენიმე დღე დარჩენოდა აჯანყდებინდე და ცდილობდა, რაც საჭირო იყო, ყველაფერი გაეკეთებინა და დანიშნულ დღეს აჯანყდების დროშა გაეშალა ბელაია-ცერკოვში. ახლა კლისურზე იმიტომ გამოიარა, რომ რადას გამოსთხოვებოდა. მაგრამ თავის ბინაზე რომ მიეიდა, ბელაია-ცერკოვიდან გამოგზავნილი წერილი დახვდა და მაშინავე რადასკენ გაიქცა. გზაზე არავინ შეხვედრია.

ოგნიანოვი გაჩერდა და ცივისა და ზიზლის თვალებით შეხვდა კანდოვს, რომელიც სარკმელთან იდგა.

რადიმ ლაპარაკი დაპირა და უნდოდა თავისი სიხარული გამოეთქვა, მაგრამ ოგნიანოვის მოლუშულს სახეს რომ შეპხედა, გაჩერდა, სიტყვა პირში გაეყინა.

— მაპატივეზ, რომ ასე ადრე მოვედი და ბაასი ადრე შეგაწყვეტინეთ, — უთხრა გაფითრებულმა ოგნიანოვმა გესლიანის ლიმილით კანდოვს.

მხოლოდ ახლა შეხედა ბოიჩომ რადა.

— რა იყო, ბოიჩო? — ჰკიოთხა ქალმა შეწუხებულის ხმით და მიუახლოვდა.

— ქალბატონო, გეყოფა თავის მოკატუნება, გრცხვენოდეს! — ცივად უთხრა ოგნიანოვმა.

ქალმა მიიწია. უნდოდა მოპხვევოდა, მაგრამ ოგნიანოვმა თავი მოარიდა.

— საჭირო არ გახლავთ თქვენი ალერსი...

მერე კანდოვს მიუბრუნდა და აღშფოთებით უთხრა:

— ბატონო კანდოვ, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, რომ ბელაია ცერკოვიდან, მოგწერეს თუ არა, მაშინათვე მოსულხართ...

ბოიჩო ბრაზი ახრინიბდა და ლაპარაკი უჭირდებოდა.

კანდოები მიუბრუნდა.

— ვინ მომწერა? — ჰკიოთხა ცივად.

— რას ამბობ, ბოიჩო? — ჰკიოთხა გაოცებულმა რადამ. — ბატონი კანდოვი თავისს ნათესავებთან მოვიდა სტუმრად... ის...

მაგრამ ლაპარაკი ველარ გაათვარ და ჰკიოთხი აძოუშეა.

ქალმა იტირა იმიტომ, რომ თავის სიცოცხლეში ტყუილი პირველად ახლა სთქვა. როცა ბოიჩო ცოტა ხნით ბელაია ცერკოვში იყო, რადას დრო არა ჰქონდა და ერტ მიხვდა ბოიჩოსათვის ეთქვა რამე კანდოვის უცნაურად ქცევის შესახებ. ახლა კი ოგნიანოვმა ორთავე ერთად მოუსწრო და ისიც ასე ადრე! აღბად, როგორმე გაიგონებდა, კანდოვი რადასთან დაიარებაო და ეჭვი დაებადა, იქნება, რადა მღალატობსო. ახლა კი საბედნიერო შემთხვევამ ეს ეჭვი უფრო განუმტკიცა. ქალმა თავის გამართლებაც კი ვერ მოასწრო.



რადას იმედი ჰქონდა, თვითონ კანდოვი აუხსნის ბოიჩოს ყველაფერს და ტანჯვისაგან მიხსნისო, მაგრამ სტუდენტი ხმას არ იღებდა.

— ბატონო კანდოვ, თქვენც მითხარით რამე, გამახარეთ,— უთხრა გესლიანად ოგინიანოვმა და ზიზლით შეხედა თავისს მეტოქეს.

— მე სათქმელი არა მაქვს-რა; თქვენ გიცდით, რას მეტ- ყვით, — უპასუხა სტუდენტმა გულგრილიდ.

— ეს უსინდისობაა! — დაიყვირა ოგინიანოვმა და ხან ერთს დაუწყო ყურება და ხან მეორეს.

კანდოვი სამარედან ამოლებულს დაემსგავსა. შელახულმა თავმოყვარეობამ გამოირკვია.

— ოგინიანოვ! — დაიყვირა სტუდენტმა ბრაზიანად.

— უფრო ხმამაღლა დაიყვირე, თუ ბიჭი ხარ, შემაშინე! — უპასუხა იმავე კილოთი ოგინიანოვმა. სიბრაზისაგან ყბები აუკან კალდა.

რადა შეშინებული მივარდა, რამე უბედურება არ დაატ- რიალოსო. იცოდა, თუ რა ფიცხის და თავშეუკავებელის ხა- სიათისა იყო.

— ლერთო ჩემო! ბოიჩო! რას შვრები? დამაცა, ყველა- ფერს გეტყვი! — უთხრა ცრემლ-მორეულის კილოთი რადამ.

— ხაჭირო არ არის. რადა, ცრემლებით თავს ნუ იმცი- რებ. ვიცი, რომ ამისთანებში ოსტატი ხარ. მეც გაებრიყვდი, მეგონა, ეს არის უმანკო ანგელოზი ვიპოვე-მეთქი... ასე შე- ვიყვარე და მერე როგორ გადამიხადა! ამ უჩადურმა ამან... როგორ მოესტყუვდი!,,,

— ბოიჩო! — უძახდა განწირულის ხმითა და ქვითინით რადა.

— გეყოფა! დღეის ამას იქით ჩემ და შენს შორის საერ- თო არა არის-რა... ნილაბი ახდილი გაქვს... როგორ ვცდებო- დი თურმე! არა, როგორ ვიფიქრე, რომ შენ მე, მაწანწალის, შემიყვარებდი, მე, რომელსაც სარი და სახრჩობელა მომელის, იმ დროს როცა ასეთი რაინდი, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვების

დამონებულნი

მთქმელი, მაღალ-ბრძენი და კეთილ-საიმედო მხდალი, მშიში-
რა ვაეგატონი გყოლია საყვარლად! ღმერთო ჩემო, რამდენი
საზიზლარობა ხდება ხოლმე ამ ქვეყანაზე!...

ესა სთქვა და წასვლა დააპირა.

— ოგნიანოვ! ბოდიში მოიხადე ამ სიტყვებისათვის! — მი-
აძახა კანდოვმა და დაეწია.

ოგნიანოვი გაჩერდა.

— ისევ ვიმეორებ, რომ საზიზლრად, უსინიდისოდ მომე-
ქეცი! მე მეგობრულად მოგენდე და შენ კი ასეთის მუხანათო-
ბისა არ შეგრცხვა!.. იქმნება, ის გინდა სთქვა, რომ დამნაშა-
ვე არა ხარ? — დაშტერდა სტუდენტს.

— ან ბოდიში მოიხადე, ან უნდა მოგკლა! — შეჭრიალა
კანდოვმა და ბრაზისაგან თახთახი აუტყდა.

— მომკლავ? სიკვდილისა მხოლოდ იმ რევოლუციონე-
რებს შეეშინდებათ, ვინც ქალის კაბებს ეფარებიან და ისე უნ-
დათ ბოლგარეთი დაიხსნან...

კანდოვმა ოგნიანოვს მუშტი მოუდერა. რაც ამდენი ხა-
ნი იტანჯა და იწვალა, ახლა ბრაზად გადაექცა და უნდოდა
ეს ბრაზი ოგნიანოვზე ეყარა.

ოგნიანოვმა ხელი დაუჭირა და კედლისკენ უჯიკვა, მე-
რე ქამარში გაკეთებული დამბაჩები ამოიღო.

— არ მინდა უიარალო კაცი მოგკლა. აი დამბაჩა! — უთ-
ხრა ოგნიანოვმა და ხელში დამბაჩა მისცა. რადას თაეზარი
დაეცა, გაალო სარკმელი და განწირულებით კივილი დაიწყო,
მიშველეთო.

ამ დროს ზარების რეკა გისმა. ოგნიანოვი ამ ხმაზე გა-
შეშდა. ამავე დროს მოისმა აჩქარებული ფეხის ხმა და ჭიშკა-
რი გრიალით გაიღო.

შემოვიდა რამდენიმე შეიარაღებული კლისურელი.

— ხალხი ადგა! ბოლგარეთს გაუმარჯოს! — დაიძახეს შე-
მოსულებმა.

— ხალხი სად იყრის თავსა? — ჰყითხა შემკრთალის ხმრთ
ოგნიანოვმა.

— ზლოი-დოლში... ნუ იგვიანებთ!

ეს უთხრეს და საჩქაროზე გავიდნენ, თან ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ბოლგარეთს!“ და თანაც მღეროდნენ „ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა...“

ზარების რეკა უფრო გაშმაგებით დაიწყეს.

ოგნიანოვი კანდოვს მოუბრუნდა:

— ახლა მე საქმე მაქვს... თუ ცოცხალი გადავრჩი, უპა-სუხოდ არ დაგტოვებ... ახლა კი ამ ქალბატონთან დარჩი, არ შეეშინდეს...

ეს უთხრა ოგნიანოვმა და საჩქაროზე გაეიდა.

რადას თავზარი დასცა ამ ახალმა მწუხარებამ და გულ-შე-მოყრილი დაეცა. მის კივილზე ოთახში დიასახლისი შემოიჭრა და მოსულიერება დაუწყო.

კანდოვმა ზარების ხმას ოცნებაში მყოფ კაცსავით დაუწყო ყურის გდება. მერე იატაქს დასწვდა და აიღო დაჭმუჭნილი წერილი, რომელიც ოგნიანოვს გაჰვარდა ხელიდგან. გაასწორა წერილი და ი რა წაიკითხა:

„ბატონო გრაფო! კარგია მეგობრების ყოლა: კანდოვის-თანა მეგობარს, ერთი ტომარი თქრო რომ მისცე, მაინც ვერ იშოვი. იცოდე, სანამ აქ იყო, ერთ წუთასაც არ დაუნებებია თავი რადა გოსპაჟინისათვის: შენის ერთგულ ანგელოზისა და უმანქო მტრედისათვის! გუშინ კლისურში წავიდა კანდოვი: ლულუნა მტრედისაგან წერილი მოუვიდა: ბოიჩოს დარდმა გა-დამრია და მოდი, მანუგეშეო. ნეტავი შენ, რომ რადასთანა საყვარელი გყავს, მაგრამ კანდოვიც საუცხოვო მეგობარი გყოლია. ნერავი შენ!.. გარდა ამისა იცოდე, რომ ეს „საი-ლუმლო“ მარტო შენა ხარ, ხომ არ იცი.... ლმერთმა მოგვა-სწროს ბოლგარეთის განთავისუფლებას! რა გვიჭირს.— რადა გოსპოვინა დედოფალი გვეყოლება“.

წერილის ქვეშ დამწერის სახელი და გვარი არ ეწერა და არც არავინ იცოდა, თუ ვინ შოიტანა.

კანდოვმა ნაკუწ-ნაკუწად აქცია ეს საზიზლარი ქაღალდი და ზედ დააფურთხა. მერე ოთახიდან გავიდა.

xxvii

ა კ ა ნ ე ბ ა.

ეს ხუთი დღეა, რაც კლისურს რევოლუციის ალი აქვს
მოდებული.

ყოველგვარი საქმე შეჩერდა; სხვა ყოველი ინტერესი მი-
ვიწყებულ და უკუგდებულ იქმნა; ყველას სახეზე არაჩვეულებ-
რივი, უზომო მდელგვარება ეწერა.

მთელს ქალაქში აღტაცება, წუხილი და შიში გამეფდა;
ყველანი ერთად-ერთის დამათრობელ გრძნობით იყვნენ შეპყ-
რობილნი... ამ ხუთის დღის განვმალობაში კლისურლებმა რამ-
დენიმე სიცოცხლე გამოიარეს, რამდენისამე საუკუნის შიში
გამოსცადეს, ათას ფრთაშესხმულ იმედებს, აღტაცებას და სა-
სოწარკვეთას საზღვარი არა ჰქონდა...

20 აპრილს კლისურელი წარმომადგენელი, რომელიც სა-
ზოგადო კრებას დაესწრო კაპრიიშინაში, სადაც ხალხი სწო-
რედ ამ დღეს აჯანყდა, მოვიდა თავისს სახლში, თავისიანება
გადაკოცნა და გამოუცხადა, აჯანყების საათმა დაპკრაო... მა-
შინათვე სასწავლებელში თავი მოიყარეს თავდათვ შეთქმულებ-
მა, და ყარაჯოვმა აღზნებული სიტყვა წარმოსთქვა; ყველამ
ერთხმად იმღერა „ბრძოლაა, გული ატოკდა“, მერე მთელმა
ქალაქმა აღტაცებული ყიფინა დასცა, ზარების რეკა დაიწყეს
და ხალხმა თავისი თავი აჯანყებულად აღიარა. იმ წამსევ იფ-
რინდები გაგზავნეს ბალკანის სხვა ქალაქებშიაც და შეუთვა-
ლეს, აჯანყების დროშები ააფრიალეთო; დანიშნეს ათისთავე-
ბი და დარაჯთა რაზმების უფროსები, შეაიარადეს ყველანი,
ვისაც კი იარაღის ტარება ჰსურდა, გამოეკიდნენ პოლიციელ-
თა, მაგრამ ვერაფერი უყვეს—ყველამ თავს უშველა და მთებ-
ში გაიხიზნა.

მამაკაცნი ყველანი გაიყვანეს ქალაქიდან და მთის სერებ-
ზე დააყენეს. ყველა ამ ადგილების ყურისგდება დარაჯთა რა-

ზმებს მიანდვეს; თითოეულს რაზმში 15—20 კაცი იყო. ამით უნდა დაეცვათ ქალაქი; ყოველ რაზმისათვის თხრილები იყო გაკეთებული საფარად. ამ სადარაჯო ადგილებზე მამრობითის სქესის მტკოვრებნი ქალაქისა ყველანი იდგნენ 18 წლიდან მოკიდებული 50 წლამდე. ქალაქში დაბრუნება არავის შეეძლო; ბრძანება გასცეს, რომ აჯანყებულთათვის მათ-მათ ოჯახს ეზიდნა საჭმელ-სასმელი.

მეორე დღეს, როცა მღვდლები და ქალები,—მამაკაცნი სიმაგრეებში იდგნენ,—საყდარში გულმხურვალედ ეველრებოდნენ ლმერთს მონობისაგან ხსნას ბოლგარეთისას; ქალაქის მხურვანთა, რომელიც დიდის სიხარულით მიემხჩნენ აჯანყებულთა, ამოარჩიეს სამხედრო საბჭო და აჯანყებულთათვის მთავარ-მართებელი. გამართეს სადილი და ნასაღილეეს დიდის ამბით წაიღის ლომგამოსახული დროშა ზღოი-დოლის ქედზე და ბოლგარეთის დამცველებს ჩაბარეს. დანარჩენი დღე მოანდომეს სერებზე თოფვ-იარაღის ატანას, სხვა-და-სხვა გამაგრებულ ადგილებისთვის უფროსების ამოარჩევას და სხვა-და-სხვა განკარგულების მიცემას ქალაქის შესამაგრებლად. მაგრამ სხვა ადგილებიდან სანუგეშო ამბები არ მოსულა: სრედნიაია-გორის გარდა არც ერთი ადგილი არ აჯანყებულა. საღამო ემზე აჯანყებულნი მეტად დალონდნენ.

22 პრილს აჯანყებულების წინ თარმა თურქმა ჩაიარა და ორივე მაშინვე მოჰკლეს. სისხლი დაიღვარა მტრისა და ბრძოლა გამოცხადდა. ბევრი უყურეს სტრემის ველს; იქმნება, თამალების სოფლებში ცეცხლი დავინახოთო. კაბლეშკოვს ნათქვამი ჰქონდა, როცა ბოლგარების სოფლებს ავაჯანყებ, ცეცხლს გაჩვენებთ, მტრის მოსელას ამით განიშნებთ და მარჯვედ იყავითო, მაგრამ ვერაფერი დაინახეს. მაშინ ცოლშვილი მთებში გახიზნეს და კაპრიეშჩინაში კაცი გაგზავნეს—მოგვეხმარეთო.

აჯანყებულნი დალონდნენ და იმედი დაეკარგათ, გიორგობის გათენება არავის უხაროდა, ზარებს რაღაც სევდიანი ხშა ჰქონდა, თითქო სამგლოვიარო კილოზე ირეკებაო. უცბად

მხიარულს ხმაზე და ცოცხლად დაიშეს რეკვა და სიხარული-
საგან ყველას სახე გაუბრწყინდა.

კაპრივშჩინიდან ვოლოვმა ორმოც და ათი გლეხი მოიყ-
ვანა კლისურელების მისაშველებლად. ახალ-მოსულები პირ-
დაპირ საყდარში შევიდნენ და პარაკლისი გადაიხადეს დიდის
ამბით... ზარებს საღლესასწაულო ხმაზე დაუშეს რეკვა. ამის
შემდეგ ვოლოვმა მღვდლები წაიყვანა, ჯვრები გაიმძლვანია და
მეომარებთან ერთად სიმაგრეებისაკენ გასწია. აქ სიკელილი
მიუსაჯეს რამდენსამე თურქსა და ბოშას, როგორც ჯაშუშებს.
ვოლოვმა ერთს მათგანს თავის ხელით მოსჭრა თავი. ამ ეკ-
ზეკუცის შემდეგ ვოლოვი კოპრივშჩინაში დაბრუნდა. დანარ-
ჩენი დრო საფარების თხრას მოანდომეს.

მეორე დღეს ისევ დაღონდნენ მეომარნი. დარაჯები მოელ
საათობით უყურებდნენ მინდვრებს, იქნება, ახლა მაინც დავი-
ნახოთ ცეცხლით, მაგრამ ამაռდ, —არაფერი სჩანდა. აჯანყე-
ბის წინა დღეებში კანტი-კუნტად თუ გაივლიდნენ მგზავრნი.
დარაჯები ამბავს ჰკითხავდნენ მაშინათვე, მაგრამ ესენი ეუბ-
ნებოდნენ, ბარად წყნარად არიან, აჯანყების ნიშანი არაფერი
ეტყობათო... ეს ერთი დღეა, მგზაერებსაც აღარ გაუვლიათ...
მათს მაგიერ, შორს, სერზე, რამდენიმე ცხენოსანი თურქი გა-
მოჩნდა; თოფები ესროლებს ბოლგარებს და ისევ დაიმაღნენ.
აჯანყებულებს სრულებით ეკარგებოდათ იმედი. უფრო მამაც-
ნი სხვებს ამშვიდებდნენ, ხან ატყუებდნენ, ხანაც ემუქრებოდ-
ნენ, მაგრამ ვერაფერი შველოდა, —დრტვინვა ძლიერდებოდა.

25 პპრილს კლისურელი უარესად დაღონდნენ. დაინა-
ხეს, რომ ღვთის სინაბარა ვართ დატოვებულნი, ესე იგი, უნ-
და დაეკისოცნეთო... მართლაც-და, ყოველს ეჭვს გარეშე იყო
მათი გაწყვეტა. მთელს ქალაქიდან 250 კაცი ძლივას მოგროვ-
და. ესენიც სხვა-და-სხვა ადგილებზე იყვნენ დაეყნებულნი. აღ-
მოსაელებთიდან და დასავლეთიდან მთელს ურლოს მოელოდ-
ნენ ბაშიბუზუყებისას და პასუხის გამცემი კი ეს ერთი მუქა
ხალხი უნდა ყოფილიყო!... კოპრივშჩინიდან მეტის დახ-
მარების იმედი არავისა ჰქონდა, რადგან თვითონ მას-

ვე სჭიროდა შველა. ყველას დაეკარგა იმედი. საერთო წესიერება შესუსტდა, ზოგი ნანობდა, ზოგი გარბოდა, სხვები ღრმვინავდნენ. აჯანყების წინა დღეებში რომ აღტაცება ეტ-ყობოდათ, ახლა იმისი ნიშან-წყალიც არ დარჩა. მტერი ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ წინდაწინ ჰერძნობდნენ, საცაა, მოვა მრისხანე სახით და მიწასთან გავეასწორებსო. მეამბოხენი უკვე მოის დაწყებამდე დამარცხებულს ჯარსა ჰგვანდნენ, გაუვალ ადგილას მომწყველეულ და ათახთახებულ მშვლების ჯოგს მოაგონებდნენ ადამიანს. მამაცად ძალიან ცოტანი იყვნენ, ძალიან ცოტასა ჰქონდა გამარჯვების იმედი. სულიერს ტანჯვას ხურციელი ტანჯვაც დაერთო: ბალკანიდან მთელი ლამე ცივი ქარი ჰქონდა, და საფარების მცველები იძულებული იყვნენ უცეცხლოდ სველს მიწაზე გაეთიათ ლამე და სულ გაიყინენ. უმრავლესობას თოფი თავისდღეში არ აუღია ხელში და ახლა საცდავი საყურებელი იყვნენ, საფარებიდან მთელი ლამე კვნესა და გმინვა გაისმოდა, რადგან სიციიისა და შიშისაგან მთელი ლამე მათს თვალებს ძილი არ მაპეარებია.

— მამილოცნია! — ეუბნებოდნენ აჯანყების პირველ დღეს ქილები ერთმანეთს, ქუჩებზე რომ შეხვდებოდნენ.

— დავიღუპენით, — ჩურჩულით ეუბნებოდნენ ახლა ერთ-მანეთს ყველაზე მეტად თავ-გამოდებული შეოქმულნი.

სასოწარკვეთილება უფრო ძლიერდებოდა. ყველას სახეზე შიში ეხატებოდა. მაგრამ ქალაქში ჯერ არ იცოდნენ, თუ ზოგიერთი მეომარი გაიქცა, თოფი იარაღა და საფარებს თავი დაანება. ფიქრობდნენ კია, უეჭველად ასე იქნებათ.

XXVIII

ბატაქეა „ზღვია-დოდზე“.

„ზლოი-დოლის“ მთა ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს იყო. უკეთეს სტრატეგიულ ადგილს კლისურებული ვერ ამოირჩევდნენ. გარშემო მთელს მიღამოს თავს დასკ-

ქეროდა ეს მთა და შუაგული აღვილი იყო იმ გზისა, რომელიც კლისურიდან სტრემის მინდვრისაკენ მიღიოდა... აქედან მოსჩანდა აღმოსავლეთის მხარეს მდებარე სერები, სადაც დარიჯები იყვნენ დაყენებულნი.

ყველაზე მეტი ჯარები „ზლოი-დოლზე“ ეყრდნათ; იქვე იღვნენ ვოლოვის შოყვანილი სრედნეგორელი გლეხები. აქედან აპირობდნენ მტერს ტყვიებით დახვედროდნენ.

დღეს განსაკუთრებით ფაცი-ფუცი ჰქონდათ შემდგარი. თვალები ყველას თითქო უფრო ცხოვლად და მხნედ უბრწყინავდათ. მაგრამ მეომარნი იქითკენ არ იყურებოდნენ, საითკენაც მტერს მოელოდნენ, არამედ იმ ველისაკენ, სადაც კლისურელები ეგულებოდათ. თვალს არ აშორებდნენ იმ ბილიკს, რომელიც კლდეებს აჰყვებოდა და მაღლა ამოდიოდა. ამ ბილიკზე ერთს ზორბა ტანის მემბოხეს ზურგით მოჰქონდა რაღაც თეთრი, გრძელი და თავ-შაქარის მსგავსი ნივთი. უკან მისდევდა ერთი ჩასერებული გლეხის დედაკაცი, წელში მოხრილი, ეტყობოდა, იმასაც რაღაც მძიმე მოჰქონდა.

აი, სწორედ ამ ორს კაცს უყურებდნენ მეომარნი, ამიტომ, რომ ამათ მოჰქონდათ „ზლოი-დოლზე“ დასადები ზარბაზანი.

ხის ზარბაზანი იმ მდევს ედო მხარზე.

ხოლო გასატენი ზარბაზნისა—რკინის ნატეხები, გირები, ლურსმნები და სხ.—დედაკაცს მოჰქონდა.

მეამბოხეთ თვალები გაუბრწყინდათ სიხარულისაგან; ყველა გამხნევდა!

ბოლოს, მდევმა, მთლად ოფლით გაწურულმა, ზარბაზანი მთაზე აათრია.

— მოგვედი, დედავ!....—კენესით წარმოსთქვა მეამბოხემ და ტვირთი ძირს დააგდო.

ყველანი შეიჭუქნენ და სინჯვა დაუწყეს მტრის გასამუსრავ იარაღს...

ასეთი ზარბაზნები, სხვა ადგილებზე დასადგმელად კიდევა ვა ჰქონდათ ოციოდე, მაგრამ ჯერ ქალაქიდან არ მოეტანათ. ეს ერთი იმიტომ ამოათრიეს, რომ გამოეყადათ, ღონიშვილის ისერის, ან შორს მიაქვს ტყვია თუ არავი? უფრო მაღლა აათ-რიეს, რომ იქიდან შიშველ ხევებში ან გზაზე მყოფ მტრისა-თვის შესძლებოდათ სროლა, კარგად გასტენეს ტყვია-წამლით, მერე მიწაში სარები ჩაარკვეს, იმ სარებს ზარპაზანი მიამაგრეს და ზარბაზნის უკან მიწა ამოთხარეს მსროლელის დასაფარა-ვად....

აჯანყებულებს სული მისდიოდათ, სანამ პირველ ზარბაზ-ნის დაცულას გაიგონებდნენ! ყველას ბაეშვიაეით უსაზღეროდ უხაროდა. ზოგნი სტიროდნენ კიდევ...

— აბა, ყური უგდეთ, ყმაწვილებო! ბალკანის ლომი და-ბებლავლებს თუ არა, მისი ხმა შესძრავს სულთნის ტახტსა და მთელს ქვეყანას აუწყებს, რომ სტარია-პლანინა თავისუფალია!.. — სთქვა ზლოი-დოლის დარაჯთა უფროსმა.

— მისი ქუხილი სხვა ჩვენს ძმებსაც გააღვიძებს სტრემის კულტებს და მოაგონებს მათს მოვალეობას: იარაღს აისხამენ და ამხელრდებიან საერთო მტრის წინააღმდეგ, — გამოეხმაურა მეო-რე.

— აქედან სრული ბატონი ვიქმნებით მთელის ველისა... გაპედონ თურქებმა და თავი გამოპყონ! ვაჩვენებთ სეირს: სულ ნაკუშ-ნაკუშად ვაქცევთ.

— ერთი არ გადაგვირჩება ცოცხალი! — დაიღრიალა ბო-რიმეჩიამ და ქუდით ოფლისაგან დასველებულ და გაწითლე-ბულ პირს წმენდა დაუწყო.

სახე იმიტომ ჰქონდა გაწითლებული ჩვენს ძველს ნაც-ნობს ბორიმეჩებას, რომ ზარბაზანი იმან ამოათრია, ხოლო ტყვია-წამლი მისმა ცოლმა. ამ ერთის თვის წინად კლისურ-ში გადმოსახლდა ორივე ცოლ-ქმარი სამუშაოდ, მაგრამ დიდს ხანს არ გაუვლია, ისე სარევოლუციო მოძრაობამ ორივე ჩა-ითრია.

ერთი მივიღა ზარბაზანთან და პატრიუქისათვის უნდა მო-
ეკიდებინა.

— დაიცა, დელჩო, ქალებსა და ბავშვებს შეეშინდებათ,
ჯერ გავაფრთხილოთ,—უთხრა მეწალე ნიაგულმა.

— მართალს ამბობ, —გამოეხმაურნენ სხვები, —ქალაქში
კაცი გავვგზავნოთ და გავაფრთხილოთ, ორსული დედაკაცებიც
არიან, გული გაუსკუდებათ.

— კაცი კი არა, ის არ გინდათ! იმისთვის სადა გეცალი-
ან? აქედან ეინმემ დაუყვიროს, ამა დიდი ყვირილი ვინ იცის?

— ბორიმეჩე! ბორიმეჩე! —დაუძახეს ზოგიერთებმა, რო-
მელთაც იცოდნენ მისი ხმის ძალა.

ბორიმეჩეამ დიდის სიამოვნებით იკისრა ეს ახალი საქმე-
ცა. ჰეითხა, რა უნდა დავიყვიროვო, და კარგად გაიზეპირა
რაც სათქმელი ჰქონდა და ისეთი სერი აარჩია, საიდანაც ქა-
ლაქში ადვილად მიაწვდენდა ხმას. ამ სერზე წელში გასწორ-
და, სული კარგად მოითქვა, თავი უკან გადაიწია, დაალო პი-
რი და მეაფიოდ დაიყვირა:

— ხალხნო! იცოდეთ, ბოლგარული ზარბაზანი უნდა დაე-
ცალოთ, გამოცდა გვინდა... დედაკაცებს და ბავშვებს არ შეე-
შინდეთ, ის კი არა — გაიხარონ! თურქები, ის წყეულები, ჯერ
არსადა სჩანან...

ეს სიტყვები რამდენჯერმე განიშეორა ბორიმეჩეამ სვენებ-
სვენებით. მთებმა და ხევებმა ბანი მისცა მის კექის ხმასა. ქა-
ლაქში ყველგან გაიგონეს. როცა ქალაქის მცხოვრებნი გააფრ-
თხილეს, მეამბოხენი საქმეს შეუდგნენ. დელჩომ ცეცხლი დაა-
კეცა, ბამბის დიდ ძევლას მოუკიდა, გრძელ წკნელზე მოაც-
ვა და ზარბაზანთან მიიტანა. ბამბას თანდათან ეკიდებოდა და
კვამლი ასდიოდა; ლურჯი ლრუბელი კვამლისა ჰაერში იკლა-
კნებოდა... მეამბოხენი ზარბაზნის გავარდნის მოლოდინში შო-
რი-ახლო იდგნენ, ზოგიერთნი კი საფარებში დაიძოლნენ, —
არაფერი დაეინახოთო, სხვებმა უურებზე თითები დაიცვეს და
თვალები დახუჭეს. რამდენიმე წამი ელოდნენ, ამ ლოდინში
ნერვები საშინლად დაეძაგრა ყველას... ბოლოს პატრიუქს თეთრ-

მა აღმა გადაურბინა, იმასაც მოეკიდა და ერთბაშათ ზარბაზან-მა უძლური გულმოსული და ხრინწიანი ხმა ამოიღო, თითქო ხმელი ფიცარი გასტეხა ვინმემო; ზარბაზანი კვამლის სქელ დრუბელში გაეხვია. მისი გავარდნა ხველას უფრო ჰვავდა.

ზარბაზანის ტყვევბი რამდენსამე ნაბიჯზე დასცვიდა... ხოგიერთ აჯანყებულებს ზარბაზნის ხმა არც კი გაუგონიათ.

მაშინ კი გაიგეს, რომ არტილერია არ გვივარება. ამი-ტომ, დანარჩენ ზარბაზნების სწორებას შეუდგნენ. გარედან რკინის. სალტები შემოაკრეს, ზოგს შიგნიდან თუნუქი გაუკეთეს. იმავე დღეს ორ-ორი ზარბაზანი აიტანეს ყოველ სიმაგრეზე, წამლით გასტენეს მაგრად, კარგად დაამაგრეს მიწაზე და უკან მიწა ამოსთხარეს პატრუქის მომკიდებელთათვის. თითოეული ზარბაზანი მარტო ერთხელ უნდა დაეცალათ და სასროლადაც ყველას თავ-თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

xxix

ტ ე ბ ე

ამასობაში ზლოი-დოლას დამცველებმა მეორე მხარეს დაუწყეს ცქერა. აღმოსავლეთისაკენ მთის ძირას სამი კაცი გა-მოჩნდა. ორი მათგანი შეიარაღებული მემბოხე იყო, ხოლო მესამე მეომარს სრულებით არა ჰვავდა. ეტყობოდა, რომ ტყვე მოჰყავდათ.

ცნობის მოყვარეობა უფრო გაუცხოველდათ ზლოი-დოლელებს და გაფაციცებით უცქეროდნენ მათკენ მომავალს სამს კაცს.

დიდს ხანს არ გაუვლია, ისე სამიერე კლდეზე აცოცდა და სიმაგრეში მივიდა.

ყველანი ტყვეს მოეხეივნენ. ტყვე ბოლგარელი იყო, დაბალის ტანისა, სულელური და შეშინებული სახე ჰქონდა, დაფლეთილი ძიქვა ეცვა და თავზე ჩაჭულეტილი ფეხი ეხურა.

ზურგზე ეკიდა ტომარა და შიგ ედო მაუდის ნაჭრები, ძაფი,
მაგრატელი და სხვა რამე-ჩუმე, რაც თერძს აქვს ხოლმე.

— ჯაშუში, ჯაშუში,—დაიძახეს ზლოი-დოლის დამცვე-
ლებმა.

— მერე, ბოლგარელი მაინც არ იყოს! — ამბობდნენ სხვე-
ბი ზიზლით.

— აქ რისთვის მოგყავდათ! იქავ უნდა დაგეხვრიტათ ეს
ძალლი ესა! — დაუყვირა ერთმა.

— არა, შეიძლება, რამე გვითხრას, გვიამბოს, ვინ გამო-
გზავნა, ტყვიას მერეც გადავაყლაპებთ, — ჩაერევნენ ლაპარაკში
ზოგიერთინი.

ამ დროს სიმაგრის უფროსი მოვიდა, იგივე იყო მთავარ-
სარდალიცა.

— სად დაიჭირეთ?

— მდინარესთან, ბუჩქში იმალებოდა, — უპასუხეს ტყვეს-
შომყვანმა მეამბოხეებმა.

— ტომარაში რა უდევს? ხომ გაუჩხრიკეთ ყველაფერი?

— მაუდის ნაჭრები აქვს, მეტი არაფერი.

— განგებ დათორევს, რა არის, თუ ვინიცობაა დამიჭირეს,
თვით ეიმართლოვო, — სთქვა ვიღამაც.

— ჯაშუშია, — განიმეორეს ხელახლა ვიღეებმაც.

— თურქებისგან გამოგზავნილია, რომ გაიგოს, აქ რადა
ვართ დაბანაკებულნი; შეხედეთ თუ არა, როგორ შეეშინდა
და თვალები გადმოკარკლა.

მართლაც, შიშისაგან ტყვეს გონება წაერთვა. უჭიულდ
და უაზროდ უცქეროდა შეიარაღებულს მეამბოხეებს და ცახ-
ახებდა. ისეოთ სახე ჰქონდა, თითქო, რასაც ეუბნებიან, არც
ესმის და არც ეყურება-რაო.

მთავარსარდალი ძალიან დააკვირდა.

— სადაური ბრძანდები?

უცნობი ხმას არ იღებდა.

— გეკითხები, სადაური ხარ-მეთქი? — განუმეორა ბრაზია-
ნის კილოთი მთავარსარდალმა.



ტყვემ ტუჩებს დაუწყო ცმაცუნი, თითქო რიღასიც თქმა
უნდა, მაგრამ ვერაფერი სთქვა.

— მუნჯია,—დაიძახა ვიღამაც.

— სადაური მუნჯია? აბა მაშინ უნდა გეყურებინა, რო-
ცა დაეიჭირეთ, რარიგ დაიწრიპინა! ლაპარაკი შეუძლია, მაგ-
რამ შეშინებულია,—აუხსნა სხვებს ერთმა დამჭერთაგანმა.

— გესმის? თუ ახლა არ გითქვამს, საიდან მოდიხარ ან
რასაც ექებ, ვუბრძანებ ძალლსავით ჩიგალრძონ;—დაუყვირა
მთავარსარდალმა.

— ჴა, სთქვი რალა! ტყვები სხვებისთვის დაგვჭირდება,—
დაიღრიალა ბორიმეჩამ, რომელმაც ამდენი ვერ მოითმინა.

მთავარსარდალმა მრისხანე სახით შეხედა ბორიმეჩას.

სიკვდილის შიშმა, რის წვალებით, ენა ამოადგმევინა ტყვეს
და, როგორც იყო, წამოიყრანტალა:

— მე... მე... ბელო-ცერკოველი ვარ.

— ბელო-ცერკოველი ყოფილა... — სთქვა მთავარსარდა-
ლმა.

— თუ ბელო-ცერკოველია, ვაცადოთ, იქაურ ამბებს გვე-
ტყვის...

— სამი დღე, იქიდან არაფერი გაგვიგია.

— ვინ იცნობს, მართლა იქაურია, თუ არა?

— აბა ნედელჩევს დაუძახეთ.

— დიაკონო, დიაკონო! — დაიძახეს აჯანყებულებმა და
სიმაგრის იმ კუთხისაკენ დაიწყეს ყურება, სადაც რამდენიმე კა-
ცი რაღასაც სთხრიდა.

მაშინათვე მოვიდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, მსუბუქ სა-
რევოლუციო ტანისამოსში გამოწყობილი.

ეს იყო ჩენი ნაცნობი დიაკონი ბიკენტი. ეხლა ერთს კა-
ცის სახელი ერქვა,—ნედელჩევი.

— ნედელჩევ, ამ ვაუბატონს ხომ არ იცნობ? — ჰეითხა უფ-
როსმა.

ბიკენტიმ შეხედა ტყვეს და უპასუხა:

— მგონი ბელია-ცერკოვეში მინახავს.

— რა კაცია?

— დაახლოვებით ვერ ვიცნობ.

— რა ჰქვიან?

— არ ვიცი.

— ეი, რა გქვია სახელი?

მაგრამ ტყვეს დაება ენა.

— ნეტა ვაცოდე ამ მუდრეებისათვის დროს რაზედ ვკარგავთ! აქ საჯაშუშოდა მოსული. გაიყვანონ განზე და დახვრიონ.

— ჩვენთვის ძალიან საჭიროა ეიცოდეთ, პელაია-ცერკოვ-ში რა ხდება ეხლა, — უთხრა მთავარ-სარდალმა; მერე სატევარი ამოიღო, წვერი ტყვეს კისერზე მიაბჯინა და შეუტია:

— იტყვი, თუ არა?

— გრაფო... გრაფო... გრაფო... — წაილულლულა ტყვემ.

— რას ლულლულებს?

— დამაცა, მე გვიგებ, — სთქვა ბიკენტიმ და ტყვეს მიუახლოვდა.

— გრაფს იცნობ?

— გრაფი... გრაფი...

— გრაფი ვინ არის? — ჰქითხა მთავარ-სარდალმა.

— ოგნიანოვს ბელაია-ცერკოვ-ში გრაფს ეძახიან; ეს სახელი გენოვევის წარმოდგენის შემდეგ შერჩა, — აუხსნა ბიკენტიმ; მერე ტყვეს მიუბრუნდა:

— მაშ გრაფს იცნობ? ან შენ გიცნობს?

— მიცნობს, მიცნობს გრაფი, — წარმოსთქვა გასაგებად ტყვემ.

— მაშ ოგნიანოვს წაუყვანეთ, საფარში, — ბრძანა მთავარ-სარდალმა, — ბორიმეჩქა, ეს მხეცი ოგნიანოვს მიჰქვარე: გამოჰკითხოს ამბავი და მერე, რაც უნდა, ის უყოს.

ეს რომ გაიგონა ტყვემ, ორნაირი გრძნობა გამოეხატა სახეზე: დაშვეიდება და შიში.

— ბორიმეჩქა, რასა შვრები? — ჰქითხა ერთმა, როცა დაინახა, რომ ივანე ტყვეს ტომარაში იქექებოდა.

— ეს მაგრატლები განა არ დაგვჭირდება? — სთქვა ივანემ და ტომარილან ორი მაგრატელი ამოილო, ერთი დიდი და ერთიც პატარა და ერთიც რკინის ალაბი.

— მაგრატლები რაღად გინდა? ყურების მოსაჭრელად თუ?

— ზარბაზნის გასატენად დაგვჭირდება. — უპასუხა ბორიმეჩებამ და მაგრატელი გახსნა. მერე წვივი დააჭირა, რკინამ წკრიალი მოილო და თითო ხელში მაგრატელის ნახევარ-ნახევარი შერჩა. რეინის ალაბი კი ხელით გატეხა, თითქო წნელი ყოფილიყო. მერე ტყველ მიუბრუნდა და უთხრა:

— იცადე, თუ რამე დანაშაული გამოგაჩნდა, თავს წაგრუვეტ და ზარბაზანში ჩავდებ, — ეს უთხრა და მრისხანედ შეხედა ტყვეს პატარა თავს, რომელიც აღვილად ჩაეტეოდა ზარბაზანში.

თხუთმეტი წუთის უკან ბორიმეჩებამ ტყვე ერთ აღმოსაფლეთის სიმაგრესთან მიიყვანა, სადაც უფროსად ოგნიანოვი იყო.

XXX

ახალ ჩვენების ჩამორთმება

აღმოსავლეთის სიმაგრეზე ოცდა ათი კაცი იდგა მცველად. ყველანი დაფიქრებულნი იყვნენ და იქით-აქეთ დადიოდნენ. როგორც სხვა სიმაგრეებზე, იქაც სასოწარკვეთილნი იყვნენ.

ოგნიანოვს გლეხური ტანისამოსი ეცვა, ორი დამბაჩა სარ-ტყელში ჰქონდა გაკეთებული, ხელში დურბინდი ეჭირა და შორს გასცემროდა.

ამ დროს ბორიმეჩა და მისი მოყვანილი ტყვე დაინახა. სახეზე უნებლიერ ღიმი შეუგამაშდა. რაჩუ პერდლეტო იცნო.

რაჩუ პერდლეტო გუშინ წავიდა ბელაგა-ცერკოვიდან რამანლარში, რომ თურქებისათვის რამე შეეკერნა და ორიოდ

გროში აელო. ამ კერვით შოულობდნენ სხეა ლარიბებიც ბე-
ლაია-ცერკვებისა საჭმელს პურს.

იმას ვერც კი გაუგია, თუ რა ამბავი ხდებოდა ბელაია-
ცერკვებში ან სხეა აღილებში; ამიტომ, მეტად გაოცდა, რო-
ცა რახმანლარში სამუშავრის შოვნის მაგიერ, თურქებმა ყინ-
წის კვრით და ლანძლვა-გინებით გამოისტუმრეს.

სახლში ხელცარიელად დაბრუნება არ უნდოდა, ამიტომ
კლისურში შეუხვია, იქნება, აქ მაინც შემაკერვინონ რამეო.
აი, სწორედ აქ ჩაუვარდა ხელში ბოლგარელ დარაჯებს.

ბორიმეჩქამ ოგნიანოვს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა.

ოგნიანოვი კოპებშეკრული მოუბრუნდა რაჩკოს:

— აქ შენ რა გინდოდა?

რაჩკო ცოტათი გამხნევდა. თუმცა ახსოვდა, ოგნიანოვმა
რაც უყო ერთხელ, მაგრამ ამ უცნობებ შორის ახლა ბოიჩო
თავისიანად, თითქმის მეგობრად ჩააგდო... რაჩკომ ენა ამოიდგა
და რის წევალებით უამბო თავისი თავისი თავისიავალი.

ბოიჩოს გაეხარდა, როცა გაიგო, რომ რაჩკო ბელაია-
ცერკვებიდან წინა დილით წამოსულაო.

— ბელაია-ცერკვებში რა ამბავია?

— არაფერი, მადლობა ღმერთს, მშეიდობაა...

რაჩკოს ნათებამი ოგნიანოვს არ ეჭაშნიკა.

— ნუ სტყუი, მართალი სთქი!

— არაფერი, ფიქრი ნუ გაქვს, არაფერია!

— როგორ, არაფერი მომხდარა?

— გარწმუნებ, არაფერი მომხდარა... გინდა დაგიფიცავ?

— ამ ვირმა არაფერი იცის, — იფიქრა წყენით ოგნიანოვ-
მა; — იქნება სტყუის და თურქებისაგან არის შემოჩენილი? აქ
როგორ მოაღწია, იმ დროს, როცა, სხვებს არ შეუძლიანთ აქ
მოხველა?

ოგნიანოვი დააშტერდა ტუვეს.

— გეყურება, მართალი მითხარი, თორემ თავს ქვით გა-
გინაჭყავ... — უთხრა ბოიჩომ და სახეზე აღმული აჰვარდა.

— არა, ბატონი მასწავლებელი, ამისი თავი მე უნდა
დამითმო, — მე მჭირია: წავსწყვეტავ, ზარბაზანში ჩაედებ, დე
რახმანლარში გაფრინდეს და თურქებს უამბოს, რაც აქ ნახა...

ესა სთქვა რუსერუსით უზარმაზარმა ბორიმეჩქამ და თეა-
ლები პაწაწუნა რაჩეოს გაუყარა ისარივით.

— უველაფერს, უველაფერს გეტუვით... — წაილულლულა
შემქრთალმა რაჩეომ.

— გახსოვდეს, რაც გითხარი, — უთხრა ოკნიანოვმა.

— მახსოვს, მახსოვს, აკი გითხარი, მახსოვს-მეთქი...

— ხომ მართალია, რომ ბელაია-ცერკოვიდან გუშინ წა-
მოსულხარ?

— გუშინ, გუშინ. მზე აი იქ იყო.

— იქ რას ამჰობენ?

— არაფერს, არაფერს, ნუ გეშინიან.

— სტეფანეს რად დაანებე თავი?

— გამომავგდო, ღმერთმა ნუ გადაარჩინოს!

— რისთვის გაგავდო?

— ვიღამაც თოფი ესროლა და, სხვას რომ ვერა დააკ-
ლო-რა, მე გამომავგდო... განა შენ კი არ იცი, რომ სტეფანეს
ზარბაზანი ესროლეს? მე მაშინ მეძინა, — ჩამომაღრჩე, თუ ვსტუკუ-
დე, — უცბად რალამაც იქუხა და მეც გამომეღვიძა... გინდა,
იმასაც გეტუვი, ვინც ესროლა? მე ნამუსი და პატიოსნება ძვი-
რად მიღირს...

— ვინ?

— ექიმმა.

— სოკოლოვმა?

— სოკოლოვმა სწორედ!

— ხმა ჩაიწყვიტე, შე რეგვენო, შენა...

— გეუბნები სოკოლოვმა ესროლა-მეთქი... მაშ რაჩეო
პერდორეტო ნუ მრქმევია, თუ ტყუილს ვამბობდე... აღმიანისა-
თვის ამ ქვეყნად ნამუსის ფასი არაფერია... სოკოლოვი იყო,
ტანითაც ვიცანი და იმის დათვიც დავინახე.

— რომელი დათვი?

— განა არ იცი? მისი დათვი, გაექცა, მაგრამ ისევ დაიწარა... დათვი წინ შირბოლა, ხოლო სოკოლოვი უკან მისდევდა... ოგნიანოვმა ხელი დაუქნია, გაჩუმდიო.

— გუშინ, სანამ წამოხვილოლი ბელაია-ცერკოვილან, ვინ ნახე? სოკოლოვი ხომ არ შევხვედრია?

— გუშინ კი არა და გუშინასწინ ვხედავდი, სახლში შევიდა და თან ჰერმანელი შეიყვანა.

— შიშიანობა ხომ არა არის-რა?

— არაფერია.

— თურქებს ხომ არ ელიან?

— ერთი თურქიც არ არის.

— ბეის სატუსალოში ხომ არავინ დაუმწყვდევია?

— არაფერი გამიგია.

— მაშ მშეიღობიანობაა?

— გეუბნები, დამიჯერე-მეთქი...

— მცხოვრები რას ამბობენ?

— არაფერს.

— როგორ თუ არაფერს?

— როგორ და, ყველა თავისს საქმეს აკეთებს... მავალი-თად, მე... ოჯახის კაცი რომ გარ, ტომარა მოვიკიდე და ხოფელ-სოფელ დავიწყე სიარული სამუშავრის საშოვნელად.. იქნება შენ მითხრა, რომ ეს სირცხვილი იყოს... არა, გრაფო, რაჩქო პერდლეტო სასირცხვილოს არასფერს ჩაიდენს, სინიდის-სა და ნამუსს ძირიად აფასებს... ამიტუმ რომ ადამიანი რის-თვისა სცხოვრობს? მხოლოდ იმისთვის, რომ სახელი არ გაუტყდეს...

ოგნიანოვმა კვლავ გაშუცვეტინა. სიტყვა.

— ბევრს ნუ ყბედა; ყური მიგდე, რედაქტორი მანდ არის?

რაჩქომ გაიოცა და თვალები გადმოკარკლა.

— ბეზროპტევი,—აუხსნა ბოიჩომ.

— ვინა?

— ყაფასიჩი!

— იმასაცა ვხედავდი...

— სადა ხედავდი?

— ისა, განჩიო მღვდელი ნესტორი და სტრანჯივი გო-
ლუბეევის ქუჩაზე მიდიოდნენ... აქეთ რომ მოედიოდი, მაშინ
შემომხვდნენ ..

— რას აკეთებდნენ? აღელვებულები ხომ არ იყვნენ? —
ჰქითხა შეშინებულის სახით ოგნიანოვმა, რომელსაცა სწადდა
ამ უბირ კაცისაგან ცოტა რამ მაინც გაეგო ბელაია-ცერკოვის
ამბებისა, იქაურის მზადებისა.

მაგრამ რაჩკომ არ იკოდა, რა ეპასუხნა.

— როგორ მიდიოდნენ, ჩქარა თუ ნელა? — სხვანაირადა
ჰქითხა ოგნიანოვმა, რომ, იქნება, ამნაირად მაინც რამე გავა-
გებინო რაჩკოსაო.

— რა ვიცი, ისე მოდიოდნენ, როგორც სხვები დადიან
ხოლმე... კი არავინ მისდევდა.

ბოიჩომ სიბრაზისაგან ხელები მოჰკუმდა.

ერთი კიდევ ჰქითხა რაღაცა ბოიჩომ. მაგრამ დარწმუნდა,
ვერაფერს შევიტყობო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ რაჩ-
კოს ვერაფერი გავაგებინე, და მეორეც იმიტომ, რომ, ალბად,
ბელაია-ცერკოვში არაფერი ამბავიათ.

— მასწავლებელო, რას მიბრძანებ, რა ვუყო ამ კაცს? —
ჰქითხა ბორიმეჩქამ.

— ივანე, შენ ზლოი-დოლზე დაბრუნდი, ეს კი აქ დარ-
ჩება. ჯაშუში კი არა, დიდი ვირი ვინმეა შენი მოყვანილი ტყვევი.

რაჩკომ რომ გაიგონა, საზარელს ბორიმეჩქას უკანვე აბ-
რუნებენო, თავისუფლად ამოისუნთქა.

— გრაფო, ამ მაწანწალებს შევუკრავ რასმე... თუ კი
რამე იქმნება შესაკერავი... მუშაობა სირცხვილი არ არის,
როცა კაცს სინიდისი იქნე...

— ვინ მაწანწალებს? — შრისხანედა ჰქითხა ოგნიანოვმა.

რაჩკომ ხმა დაიღაბლა.

— აი, ეს ავაზაკები, კინალამ მომკლეს, ღმერთმა დამიტა-
რა, თორემ... — და თვალებით სიმაგრის დამცველები უჩვენა.

— საფარებზე რამე სამუშაოზე დაიყვნეთ! — დაუძახა ოგნიანოემა სხვებს და განშორდა.

სტრემას ვეღი აქნთ

— საკვირველია, ღმერთმინი, საკვირველი... მიზეზი ვერ გამიგია... საშინელებაა!.. აქამდე ორაფერი ისმის... ნეტავ, ვიცოდე რას აკეთებენ? ბელაია-ცერკოვში რა ამბავია? ხმას არ იღებენ, ჩუმად არიან, თითქო ყველა დაიხოცაო!.. საშინელი საყურებელია მათი სიჩუმე! საშინელია!.. აბა როგორ ვიფიქრო, რომ გულხელდაკრეფილნი სხედან და ამბობენ, სისულელეა ამბოხებაო... ამ იდიოტს მართალი უთქვამს, მართალი!.. კი, მაგრამ სოკოლოვი ხომ იქ არის, პოპოვიც იქავეა, რედაქტორიც... სულ დარჩეული, ფოლადსავით ნაწრთობი ყმაშვილები არიან... ნეტავ ვიცოდე, რას ელოდებიან? იქნება, მე მიცდიან? კარგი და, ვსოდეთ, მე ვერ მივედი, ვსოდეთ, სადმე დავიკარგე, განა უჩემოდ არაფერი უნდა გააკეთონ?.. შეიძლება, დაყრუცდნენ, დაბრმავდნენ და ვერაფერსა ხედავენ? კლისური ფეხზე დადგა, კოპროვიშჩინა ფეხზე დადგა, პანაგიურიშჩეს ცეცხლი ეკიდება, სრედინია-გორჩას ალი აჰვარდა! მხოლოდ სტრემის ველსა სძინაეს! იქნება რამე უბედურება მოხდა, რამე არაჩვეულებრივი დაბრკოლება გადაღლობათ? მაგრამ ეს შეუძლებელია! ბელაია-ცერკოვს თუ თვითონ არ შეეძლო აჯანყებულიყო, ათიოდ კაცს მაინც გამოვზარნიდა... სხვებს გაამხნევებდა მათი საქციელი... მაგრამ გაჩერებულა და ერთ ადგილიდან არ იძვრის... ყველასაგან ეს მესმის... მერე რა აღრაცებით ამბობდნენ, ავჯანყდებითო!.. რა სერიოზად ემზადებოდნენ! იგივე ამბავია სხვა ადგილებშიც! ღვთის რისხვა დაატყდა ბოლგარეთს თავზე!..

ამ მწარე ფიქრით შეპყრობილი ოგნიანოვი, ოსმალურად ჩაცმული, სტრემის სერიოზული სტრემის ველისაკენ შიიპარებოდა ბრთხილად.

უკვე შუადღე იყო, როცა ოგნიანოვი ველზე დაეშვა. მთელი ველი ხეების ჩრდილით იყო დაფარული. ბროლის მსგავსი წყაროები მუხნარის შორის მდელოზე მიკლაკნებოდა. ჰაერი ვარდთა სურნელებით იყო შეზავებული.

ლავაზარდი ცა და მხიარული ელვარება მზისა ველს ასურათხატებდა და მისი მშვენება სამოთხის მშვენებას უდრიდა. მაგრამ მგზავრი ყურადღებას არ აქცივდა ბუნების ამ ხატებას, ვერაფერსა ხედავდა...

სანამ კლისურში მივიდოდა, ჯერ უნდა თურქების სოფელ რახმანლარზე გაევლო. ოგნიანოვი თამამად შევიდა შიგ. როცა ვარდის ბალებისკენ ჩიარა ქალაქის განაპირობა, რამდენიმე შეიარაღებული თურქი დაუხვდა და გააჩერა; დარაჯები იყვნენ.

— საიდან მოდიხარ?

— ალტინოვოდან.

— საით მიდიხარ?

— ახიევოში... ხომ მშვიდობიანობაა?

ახიევო თურქების სოფელი იყო და ბელაია-ცერკოვის მახლობლად იდო.

— მაღლობა ღმერთს, მშვიდობაა.

ოგნიანოვს გული გაეწურა მწუხარებისაგან.

— გირჩევნია, ამ სოფელში დარჩე. დილას კლისურს დაცეცმით.—უთხრეს დარაჯებმა.

— ვნახოთ... მშვიდობით!

ეს უთხრა ოგნიანოვმა და სოფელში შევიდა.

ქუჩებზე დიდი ფაცი-ფუცი იყო. შეიარაღებული თურქები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ იქით-აქეთ. საყავოები ხალხით იყო გაჭედილი. ეტყობოდა, რომ გარშემო სოფლებიდან თურქები ასობით მოსულიყვნენ აქ. აქედან ერთად უნდა დასხმოდნენ თავზე კლისურელებს. ყველანი რახმანლარში იყრიდნენ თავსა. ოგნიანოვს გულმა შემოჰკენესა, ცუდი დღე უნდა დაგვადგესო და გადასწყვიტა, ბელაია-ცერკოვის ამბავი დანამდვილებით შეეტყო უველავერი. ამ აზრით ერთ ბელო-ცერკოველ გლეხის სამიკიტნოში შევიდა. მაგრამ ისევ ჩქარა გამოვიდა



იქიდან,—შეეშინდა, არ მიღალატონო. გაშორდა სამიკიტნოს
და ერთად შეჯგუფულს თურქებს დაუწყო ძებნა თვალებით,
—იმათში გავერევი როგორმე და რაც მჭირდება, ყველა-
ფერს გავიგებო. შემთხვევით მეჩეთი დაინახა, ხალხით საესე.
მლოცველები კარებთან იჯუჯგებოდნენ და თანდათან კიდევ
ემატებოდნენ. ეტყობოდა, რომ რაღაც არა ჩეეულებრივს აპი-
რებდნენ. ოგნიანოეთ მიხედა, დღეს ხოჯა იქადაგებს და გაალ-
მასებულს ხალხს უარესად აღაგზნებს ბოლგარების წინააღმდე-
ვო. ცნობის მოყვარეობა უფრო გაუცხოველდა და მლოც-
ველებში ჩაერია. მართლაც, ერთის წუთის შეძლევ ხოჯა
საქადაგებლად ავიდა. მაგრამ ოგნიანოემა დაინახა, რომ საქა-
დაგებლად განმზადებული ხოჯა უბრალო სოფლის ხოჯა კი
არ იყო, არამედ კარლოვოდან, აღბად განგებ ამისთვის მისუ-
ლი სტამბოლელი „სოფია“.

ერთბაშად დაჩუმდნენ ყველანი.

სოფიამ დიდის ამბით დაიწყო ლაპარაკი:

— მართლ-მორწმუნებო! დრო იყო, ჩვენთა დიდებულთა
სულთანთა მეფობაში, როცა მარტოლენ თამანლის სახელის
გაგონებაზე მთელი ქვეყანა ძრწოდა და კანკალებდა. აღმოსავ-
ლეთი და დასავლეთი მისს წინ მუხლთ იდრეკდა, ყველა მხრი-
დან ძლვენს უგზავნიდნენ, მეფენი და დედოფალნი ძირს ემთხ-
ბოდნენ და ხალიფის ტახტის წინ წმინდა მტვერს ლოკალდნენ.
ყველა იძახდა „დიდ არს ალლაპი და წმინდა წინასწარმეტყვე-
ლი მისი მაჰმადი!“ როგორცა ვხედავ, ბევრსა ვსცოდავთ უფ-
ლის წინაშე, ძმად ვიხდით ურწმუნოთა და მათს კანონებს პა-
ტივსა ესცემთ... და აპა, ღმერთიც გაგვირისხდა, ხელი აგვალო
და შერცხევილთა შესაჩუქრენი გავხდით, მიწასთან გასწორე-
ბულთ ქედი აღიმაღლეს და ჩვენ გვიპირებენ მიწასთან გასწო-
რებას, მტვრად ქცევას... ჰომ ალლაპი, ალლაპი! მოგეილინე
ცეცხლის მახვილი აზრიელ ანგელოსისა, მწე გვიყავ, რათა
დაეანთხიოთ სისხლი მტერთა შენთა აღმოსავლეთით დასავ-
ლადე! შეგვალებინე მათის სისხლით ზღვა და გვადიდებინე
სახელი შენი!.. აი, აას გეუბნებით, მართლმორწმუნებო! ალ-

ლესეთ მახეილნი თქვენნი, მოიჩქმენით თოფ-იარალითა და შზად იყავით, რამეთუ მოწევნულ არის ქამი. სირცვილი გია-ურების სისხლით განვიძანოთ და პირნათლად წარესდგეთ წი-ნაშე ერთისა და დიდის ღმერთისა ისლამისათა”...

იი, ამნაირ კილოთი დაიწყო ორატორმა ლაპარაკი.... დიდის ხანს ჰქალად გებდა და მრავალი მლოცველები გულდადე-ბით და ხარბად უსმენდნენ ყოველს სიტყვასა.

— იი, რას გვიმზადებენ,—სთევა ოგნიანოვმა და, ქადა-გების გათავებამდე, ქუჩაზე გავიდა; — მაშ, მართალი ყოფილა, რაც ამ მქადაგებლებთა შესახებ უთქვამთ: ჩვენ თურქების მთავ-რობის წინააღმდეგ აჯანყებასა ვქალაგებთ; ამათი მოციქულე-ბი კი ბოლგარების გაწყვეტას ურჩევენ ხალხს! ეტყობა, ჩვენს ხალხს ოსმალების ხალხთან მოუხდება ბრძოლა; საჭიროა კა-გად დავუკვირდე საქმეს და თავი არ მოვიტყუილო... ბოლგარე-თის მიწა-წყალი ვიწროა ორის ერთვნობის ხალხისათვის, ორი-ვე ერთად ვერ მოთავსდება...

ლოცვა გათავდა და მლოცველები მეჩითიდან გამოვიდნენ. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა და ქადაგების შესახებ ერთ-მანეთს ელაპარაკებოდნენ. ოგნიანოე ერთ-ერთ მათგანს მიუახ-ლოვდა და ყური ათხოვა, საქმის ვითარება ყველაფერი გაიგო. კლისურში ხალხი რომ აჯანყდა, გარშემო სოფლების თურქები ჯერ შეშინებულან, ჰერნებიათ, რომ კლისურში რუსები მი-სულანო... ამ შიშის ზედგავლენით თავიანთი ბარგი-ბარხანა შეუკრავთ და ცოლშვილიანად თავის საშველად მომზადებუ-ლან. მაგრამ მალე შეუტყეიათ, რომ საქმე მარტო „რაიებ-თან“ (ბოლგარებთან) გვექნებაო, ისიც უმეტესობა თერძები და რამდენიმე მასწავლებლები არიანო. ამ გარემოების მიზე-ზით კადნიერება ისევ მოიკრიბეს, — სულ კულით ქვას ვასრო-ლინებთო, დაიკვეხეს. გადასწყვიტეს, ჯარის მოსვლას ნუ ვუც-დით, ჩვენ თვითონ გავუმკლავდეთ აჯანყებულ კლისურელებ-საო. გარდა ამისა, ისიც გაიგო ოგნიანოვმა, რომ რახმანლა-რელები ჩვენს სიმაგრეებს ათვალიერებენ და მტრებმა დაახლო-ვებით იციან, თუ რა ძალ-ღონისა ვართო. თურქები მეორე

დღეს კარლოვოდან თოსუნ-ბეის მოელოდნენ. ამას ბაში-ბუ-ზუყები უნდა მოეყვანა. ესენი რომ მოვლენ, მაშინ შეერთებუ-ლის ძალით გავანადგურებოთ აჯანყებულ ქალაქსაო. ეს ამბავი რომ გაიგო ოგნიანოვმა, თავზარი დაეცა. მაშინ უფრო დარწ-მუნდა, რომ საჭირო იყო მაშინათვე აეჯანყებინა ბოლგარე-თის სხვა ქალაქებიცა.

ოგნიანოვი მაშინათვე ბელია-ცერკოვისაკენ გაექანა.

რახმანლარის ცოტა მოშორებით ვაკეზე ერთი სერი იღო-ამ სერს რომ შეუდგა, დაფ-დაფისა და საკრავების ბუნდი ხმა მოესმა. სოქვა, ალბალ თურქების სოფელში ქარწილს იხდიანო. მალე ხმა მისწყდა და ბოიჩის ყველაფერი დაავიწყდა. მაგრამ სერის მეორე გვერდზე რომ დაეშვა, დაფ-დაფისა და სამხედ-რო საკრავების ხმა ახლა უფრო ახლოდან გაისმა. ოგნიანოვს მეტად გაუკვირდა, მაღლა შესდგა სერზე და ისეთი რომ დაი-ნახა, რომ თმა ყალხზე შეუდგა.

მის წინ გაშლილი ველი შევად იყო თურქებით დაფარუ-ლი. თავიანთის ბარბაროსულ საკრავების კვრით თანდათან უახლოვდებოდნენ ოგნიანოვს. რამდენიმე წითელი დროშა ჰა-ერში აეფრიალებინათ. მთელი ეს ბრბო უწესრიგოდ, არეული მოდიოდა ყვირილით. თოფები, ცელები, ცულები, შუბები მხარზე შეედოთ ბაშიბუზუყებს და მზეზე ალაპლაპებდნენ. ძა-ლიან სცხელოდა და უმეტესი მათგანი გულგადალელილი მო-დიოდა. თურქების სოფლები, სადაც კი ესენი გაივლიდნენ, ცარიელდებოდა; სოფლელნი ყველანი ამ ურდოს უერთდებო-დნენ. ამათს რაზმებს წესრიგი და წყობილება არაფერი ეტ-ყობოდა. მხოლოდ ერთი მხეცური იზრი იერთებდა და სულს უდგამდა ყველას: ნადავალი და სისხლის ღვრა. თოფები და ცულები იმიტომ მიჰქონდათ, რომ ბოლგარების სისხლი დაედ-ვარათ, ხოლო უკან ურმები მისდევდა იმიტომ, რომ ნადავა-ლი იმათ წაელოთ... წინ მიუძღვდათ ცხენით ერთი გამხდარი, შეე, მაღალის ტანის უფროსი.

ბოშებს უფროსმა უბრძანა—საკრავებს ნუ უკრავთო.

— ეი, მუსულმანო, აქ მოდი! — დაუყვირა უფროსშია ოგნიანოვს.

ოგნიანოვშა მდაბლად სალამი მისცა და მიუახლოვდა.

— საიდან მოდიხარ?

— თეკიიდან.

— რა ამბავია იქ?

— არაფერი... მადლობ ლმერთს, მშეიდობაა.

— სად მიღიხარ?

— კარლოვოში.

— ჩვენ გამოგედიე...

ოგნიანოვს უნებურად ფერი ეცვალა.

— ბეი ეფენდი, ნება მომეცი წივ...

— დაბრუნდი! — დაუყვირა თოსუნ-ბეიმ, ცხენს მათრახი შემოჰკირა და წინ გაიგდო.

ურდო ისევ დაიძრა. დაფ-დაფი და საკრავი ისევ აახმიანეს...



უქანასქნელი საშუალება

რახმანლარში იმავ ღამეს მოეიდა თოსუნ-ბეის ურდო; გზაზე კიდევ მიემატა ხალხი და ბოლგარების წინააღმდეგ უფრო გაილესეს კბილები. რახმანლარში სხვა ურდო უკლიდი. და ისიც შეუერთდა. ასე რომ მეორე დღეს კლისურელებს თრია ათასზე მეტი თურქი უნდა დასხმოდა.

სოფელი ხალხით იცესო. ახალს სტუმრებს ძლივას იტევდა. რადგან კარგი ღამე იყო, ბევრი მათგანი გარედ დაწვა.

ოგნიანოვიც, ძალა-უნებურად, სხვასავით მოიქცა.

მარტო იწვა სწორედ იმ სამიკიტნოს პირდაპირ, რომლის პატრონი ერთი ბელო-ცერკველი გლეხი იყო.

სამიკიტნოს სარკმელში სინათლე კიდევ სჩანდა. შიგნით აუარებელი ხალხი იყო.

მაგრამ ოგნიანოეს ძილი არ ეკარგებოდა. თვითონაც გა-
დასწყვიტა არ დაეძინა. თუ ამაღამ აქედან არ ვავიპარე, ხვალ
გვიან იქმნებაო.

ახლა იმის ფიქრის საგანი ის იყო, სოფლის ბოლოს და-
ყენებულ დარაჯებს ხელიდან როგორ დაუსხლო.

ოგნიანოემა ოსმალური ენა კარგად იცოდა, მტრის ხასი-
ათიც გაცნობილი ჰქონდა და გაპარვა არ გაუჭირდებოდა. მა-
გრამ ის იმას ამბობდა,—ესთვათ, თავი გადავირჩინე და ჩემს
სიმიგრეზე ცოცხალი და უვნებელი მივედი,—მერე რა იქმნება
ამითო! ბელაია-ცერკოვი აჯანყებას არ აპირბოს, მარტო კლი-
სური კი უეჭველად დაიღუპებაო.

იმ ღამესვე ბელაია-ცერკოვში გაპარვას ოგნიანოეი ვერ
ახერხებდა, იმიტომ, რომ ბრძანება გასცეს, აღმოსავლეთის მხა-
რეს დაყენებულ დარაჯებს სოფლიდან არავინ გაეშვათ... მეო-
რე დღემდე ცდაც არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ასეთ გასა-
ჭირ დღეს კლისურელებ შორის რომ არ ვიქმნე, როგორ შე-
იძლებაო. ასე იტყვიან, გაიქცა, საზიზღრად მოიქცაო. არა,
ეს არ შეიძლებაო. მაგრამ საქმე ის იყო, ბელაია-ცერკოვში
აშავი რამე როგორ მიეწვდინა? უკანასკნელად კიდევ რამე
უნდა მოეგონებინა.

მეტის-მეტად ატანდა თავის-თავს ძალას.

ბოლოს, ერთი რამ მოიფიქრა. ძნელი ასასრულებელი სა-
ქმე იფიქრა, მაგრამ რა უნდა ექმნა: განზრახული საქმე იმად
ლირდა, რომ იმისთვის თავისი ბედი ბეწვზე დაეკიდნა. დიალ,
ბეწვზე ჰკიდებდა თავისს ბედს იმიტომ, რომ მიკიტანს უნდა
გაპნდობოდა და დარწმუნებული კი არ იყო,—მიკიტანი გაი-
ტანდა თუ არა. გადასწყვიტა მიკიტანისათვის ეთხოვნა ერთ-
ერთ შეილის გაგზავნა ბელაია-ცერკოვში.

მისდა ბედად, ამ მიკიტანს და მისს ოჯახს იცნობდა, რა-
დგან მისს უფროსს შეიღს ასწავლიდა ერთ დროს.

ადგა, შევიდა ჭიშკარში, გაიარა ეზო და ოთახის სარკ-
მელთან მივიდა.

მის ბედზე ამ დროს კარი გაიღო და ქალი გამოვიდა.

ოგნიანოვმა დიასახლისი იცნო. მიკიტნის ცოლს გობით
ქერი მიჰქონდა თავლაში.

ბნელაში კარგად ვერ დაინახა ქალმა სტუმარი.

ოგნიანოვი მივიღა და მკაფიოდ უთხრა, ბოლგარულად:

— საღამო მშვიდობისა, მამიღო!

ქალი გაოცებული, ან, უკედ, შეშინებული მოტრიალდა.

— ვერ მიცანით? — დაუმატა ოგნიანოვმა ტკბილის ხმით
მის დასამშვიდებლად და მოაგონა ვინც იყო:

— თქვენი ნანკის მასწავლებელი ვარ... ოგნიანოვი...

— ვინა, გრაფი? — ჰკითხა გაოცებულის ხმით და გობი მი-
წახე დადგა; — შენ აქ რა გინდა?

მაგრამ ქალმა მაშინათვე მოიფიქრა, აქ არ უნდა ველა-
პარაკოვო და შინ შეიწვია.

— წავიდეთ, ქოხში შეეიდეთ... მაგრამ დაიცა, ჯერ ცხენს
ქერი დავუყარო და მერე შევიდეთ.

ერთ წუთს უკან ოგნიანოვი და მიკიტნის ცოლი ერთს
ბნელისა და პატარა ოთხში შევიდნენ.

დიასახლისმა ასანთს გაჰკრა, ჭრაქს მოუკიდა და ოთხი
და სტუმარი გაანათა.

— ამ კარიდან ბალში გახეალ, მერე იქიდან ღობეზე გა-
დახვალ და თაეს უშველი... თუ დაგჭირდა, ასე მოიქეცი.... —
ჩურჩულით უთხრა დიასახლისმა ოგნიანოვს და უჩენა პატა-
რა და მოლად დაბალი კარი, რომელშიაც კაცს მხოლოდ მა-
შინ შეეძლო გასულიყო, თუ წელში ოთხად მოიხრებოდა.

— აქ რისთეის მოსულხარ? — ჰკითხა დადაკაცმა.

— კლისურიდან ბელაია-ცერკოვში მოვდიოდი... ისე თო-
სუნ-ბეი შემომხვდა და დამაბრუნა.

რაკი დედაკაცი სტუმართმოყვრულად დაუხვდა, ოგნია-
ნოვმა გადასწყვიტა ყველაფერი გულ-ახდილად ეთქვა. სულ-
ერთი იყო, უიმისოდ მიინც ვერაფერს გააკეთებდ...

— შეგიძლია, ხვალ დილას ნანკა ან კუზმანა ბელაია-
ცერკოვში გამიგზავნო?

ଭାଗବତପ୍ରକାଶନ

ଦେହଧ୍ୟାକୁମା ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟଲୋଳିସ ସାହିତ ଶ୍ରେଷ୍ଠଦା. ତାନାପୁ ଶ୍ରେଷ୍ଠିନାଦା.

— ରାଜତର୍ଯ୍ୟରେ ଉନ୍ଦା ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟନା?

— ଏହିତେ ହେଲିଲେ ନାମନାମିଲେ ଫେରିଲିଲେ ଉନ୍ଦା ମିଶ୍ରତାନାମି ଦା ଥେଣେ ମାତ୍ରିନାଟ୍ୟରେ ଡାଢ଼ିଲୁନାହେବା. ଖେଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତରେ ବସେ ଏହି ପିତାମହଙ୍କାରୀ.

ଦେହଧ୍ୟାକୁମା ମନୋଗନ୍ଧନାହା ଅନ୍ତରୀକ୍ଷଣରେ ବେଳିକାନ୍ତରୀକ୍ଷଣରେ ଦା ମନୋଧାରା, ରାଜୁ ଉନ୍ଦା ଡାଢ଼ିବାରେବିନା ମନୋ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତରେ ବେଳିକାନ୍ତରୀକ୍ଷଣରେ ଦା ମନୋଧାରା.

— ମାତ୍ରିନାଟ୍ୟରେ ହେଲିଲେ, ହେଲିଲେ କିମାରିଲୁକୁ ପାଇବାକୁ, ଉମିଲିଲୁକୁ ପାଇବାକୁ.

— ମାମିଦାନ-ଜ୍ଞାନ, ମାତ୍ରିନାଟ୍ୟରେ ହେଲିଲେ, ହେଲିଲେ କିମାରିଲୁକୁ ପାଇବାକୁ, ଉମିଲିଲୁକୁ ପାଇବାକୁ?

ଅନ୍ତରୀକ୍ଷଣରେ ପରିଚାରିତା, ରାଜୁ ହେଲିଲେ ନାମିଶ୍ରୀଗିରିଧାରୀଙ୍କ ଲମ୍ବରିତିବା-
ବୁଦ୍ଧି ପାଇବାରେବାର ଦା ରାଜୁ ଉନ୍ଦା ପାଇବାରେ, ପାଇବାରେ ଆମିଲିଲୁକୁ-
ଲେବିଲୁକୁ.

ଦୂରାଶାଖାଲିଲୁକୁ ରାଜୁରେ ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟନାରେ ଶାବ୍ଦୀ.

— ଏହା, ଏହା, କିମିରିଲୁ ଦୂରାଶାଖାଲିଲୁ ଏହା ଶ୍ରେଷ୍ଠିନାଦା.

ଦୂରା ମିଦିଲିଲାହା ଦା ଶାବ୍ଦୀରେ ପିଲା ଏହା ସମ୍ଭାବନାକ ହେବାରା ଗା-
ନ୍ତରୀକ୍ଷଣରେ ପାଇବାକୁ, ଏହା ପିଲା ଏହା ମାଲ୍ଲେ ଉନ୍ଦା ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟନାରେ
ଲୋକୁରିଲା.

— ମାମିଦାନ, ଶ୍ରେଣି କିମିରିଲେ, ଏହିତି ମାତ୍ରାମିଲିଲୁ ଏହା ମାମିଦାନା, ମାତ୍ରିନାଟ୍ୟରେ
ପାଇବାରେ ମନୋଗନ୍ଧନାହାରୁକ୍ଷିତି.

xxxiii

ଶିଖିତରିକନ କବିତାମିଳ

ଅନ୍ତରୀକ୍ଷଣ ମାର୍ଗରେ ଲାରିବା. ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟନାରେ ଏହାମିଲିଲାହା
ପାଇବାରେ ପାଇବାରେ ପାଇବାରେ ଏହାମିଲିଲାହା.

କାରି ପାଇଲା ଦା ମିକ୍ରିତାନି ଶ୍ରେମାନିଦା. ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟନାରେ ପାଇବାରେ
ଦା ଗାନ୍ଧ୍ୟବ୍ୟନାରେ ପାଇବାରେ ପାଇବାରେ ଏହାମିଲିଲାହା.

— ମନୋଧାରା ପାଇବାରେ ପାଇବାରେ, ପାଇବାରେ, ମନୋଧାରା ପାଇବାରେ
ନାହାନେ! କାରି କାରିଗାରା କାରି? କାରିଗା ଗିର୍ଜାନା, ରାଜୁ ହେମତାନ ଶ୍ରେମା-
ନ୍ତରୀକ୍ଷଣରେ. ମାତ୍ରାମିଲିଲୁ ଏହାମିଲିଲୁ ଏହାମିଲିଲୁ... ପାଇବାରେ...



გვიხარიან, ცოლსაც, შეილებსაც: ნანკას ეს ნახევარი წელი-წადია, რაც არ უნიხავხარ... შენ იმისი მასწავლებელი და კუუის დამრიგებელი ხარ... კარგი ჰქენი, რომ მნახე...

მიკიტანმა არ იცოდა, როგორ გამოეთქვა თავისი სიხა-რული.

ოგნიანოვს ძალიან გაეხარდა. მაშინათვე საქმეს შეუდგა და მოკლედ უამბო აჯანყების ამბავი და რაც სათხოვნელი ჰქონდა.

აბრაამს სიხარულისა და სიამოვნებისაგან სახე უარესად გაუგანიერდა.

— კარგი, კარგი, მა როგორ იქმნება? ლაპარაკიც არ არის საჭირო. ვის არ უნდა ხალხის დახმარება?... ნანკა გაე-გზავნოთ. უფროსია და ამიტომ უფრო მოხერხებულიცაა.

ბიკიტანმა ჯიბიდან დაჭმუქვნილი ქაღალდი ამოილო, ოგ-ნიანოვს წინ სამელნე დაუდგა და უთხრა:

— შენ წერილი დასწერე და მე კი დუქანში შევირბენ; ხომ იცი, რა ოხრები არიან ეს ძალლები!..

ოგნიანოვმა უცბად დასწერა წერილი.

„ხალხი აჯანყებულია! ერთს წუთსაც ნუ ახანებთ: მაში-ნათვე გაშოაცხადეთ აჯანყება, ერთმა რაზმმა თოსუნ-ბეის ჯარს ზურგიდან შეუტიოს; მეორე რაზმმა სოფლელები დააყენოს ფეხზე. გამხნევდით და იმედი გქონდეთ!.. მალე მეც მოვალ თქვენთან, რომ ბოლგარეთისათვის თავი დავსდო. რევოლუ-ციას გაუმარჯოს!

ოგნიანოვი“.

ბოიჩო თავის თავს გამარჯვებას ულოცავდა; თავის დღე-ში არ მოელოდდა, თუ აბრაამი ისე თანაგრძნობით მოეკიდე-ბოდა და იმდენს მამულიშვილურს გრძნობას გამოიჩენდა. იხ-ლა მოუთმენლად მოელოდდა მამა-შვილის მისვლას.

ერთბაშად მეორე ოთახში გულის გამგმირავი კივილი გაისმა ქალისა.

ოგნიანოვი შეჰქრია.

დიასახლისი იყო, რომ ჰკივოდა. ბოიჩომ ვერ გაიგო კი-
ვილის მიზეზი. თავისდა უნებურად შეეშინდა.

ისევ დაუგდო უკრი; აივნიდან ფეხების ტყაპუნის ხვა მოესმა.

მაშინ დაბალ კართან მივიდა და ხელი ჰქრა. კარი არ იღებოდა. მეორეჯერა ჰქრა. მაგრამ მაინც არ იღებოდა, თით-ქო დალურსმული არისო. უგნიანოვს ზარი დაეცა, მთელს ტან-
ში ერუანტელმა დაურბინა.

— გამცეს, მიღალატეს, — კვნესით წარმოსთქვა ოგნიანოვმა.

ამავე დროს კარს უკანიდან რალაც ხმაურობა გაისმა. თი-
თქო გასაღებს უკრის ვინმე შიგაო. კარი უცბად გაიღო და
ლამის ნიავი შემოვიდა შიგ. ოგნიანოვმა თვალი დააშტერა
კარს. ამ დროს ვიღამაც თავი შემოჰყო.

აბრაამის ცოლი იყო.

— გამოდი, — უჩურჩულა დედაკაცმა. — ჸრაქი მკრთალად
ანათებდა, მაგრამ ოგნიანოვმა მაინც შენიშნა, რომ ქალს თვა-
ლებზე ცრემლები უბრწყინავდა.

ოგნიანოვი ბალში გამოვიდა.

— აი, აქეთკენ წადი, — ჩუმად უთხრა აბრაამის ცოლმა
და ქლიაუთ ანიშნა ლობისაკენ.

ეს უთხრა და იმ წამსვე დაიმალა.

xxxiv

დ ა მ ა

შუალამეს გადასულიყო, როცა ოგნიანოვი თავისს სიმაგ-
რეში მივიდა.

სიმაგრის მცველები სახლიდან წამოღებულ ხალიჩებსა და
ჭილობებზე იწენენ და ფხიზლობდნენ. ნაბდებში კარგად გა-
ხვეულიყვნენ და ჩუმად ბასობდნენ. თან, უმთეარო, გარნა
ვარსკვლავებით მოჭედილ ცას უყურებდნენ. ოგნიანოვი ჩუ-
მად მივიდა მათთან და, ხორციელად და სულიერად მოლეში-
ლი, მკვდარსავით გაერთხა მიწაზე.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,—ფიქრობდა ოგნიანოვი და თან თავისს ნაბადში მაგრად ეხვეოდა.—როგორ ჩიგვე-ფუშა საქმე! როგორ გავიცრულედა იმედი! როგორ გვიღა-ლატეს!.. შოდი და ამის შემდეგ ეცადე თავი გადაირჩინო! ხვალ-ბრძოლა გვექნება და მე კი წინ-და-წინ ვიცი, რით გათავდება-ეს ბრძოლა...

ცივი ქარი დალონებულის სახით დასისინებდა მიძინებულ-დედა-მიწას. გარშემო მდებარე მთები საზარელს წმას იღებდნენ და სიბნელეს უარესი სამარისებური ფერი ედებოდა. ასე იტყო-დით, ყველა მთები, კლდეები და ბარი ერთადა ჰკვნესიანო. ვარსკვლავები ცაზე შეშინებულის სახით და მოუსვენრად ჰკრთო-და. ხანდის ხან რომელიმე ფრინველი შეიფთხიალებდა ბუნ-ქებში და ისევ სამარისებური სიჩუმე გამეფდებოდა. მხოლოდ მთის ქარი ყრუდ, დალონებულის სახით დაშრიალებდა ჩისაფ-რებულ მეამბოხეთ. ქარის შრიალი კვნესის წმასა ჰგავდა. ამ კვნესიაგან გული ეწურებოდათ ყმაწვილებს და დრო და დრო შეშინებულები წამოხტებოდნენ ხოლმე და ბნელაში ყურებას-დაიწყებდნენ. ისევ ჩისთვლემდათ მოუსვენრად; ვინ იცის, რა და რა არ ელანდებოდათ; ცივი ქარი კი მწარედ ჰკოცნი-დათ.

დ ი დ ს

მოუსვენრად იყო ოგნიანოვი, მაგრამ ორი საათი მაინც იძინა გულისძილით. ამბობენ, ამნაირად სძინავთ სასიკვდილოდ განპატიჟებულთაც ჩამოხრჩობის წინაღამესიო. განთიადისას გა-მოილვიძა და გარშემო მიიხედ-მოიხედა. ბუნება იღვიძებდა. თენდებოდა. ფერმკრთალ ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავიც ჩაჰქრა...

ოგნიანოე ადგა, შეხედა მწოლარე ყმაწვილებს, ტყაპუ-კებსა და ნაბდებში გახვეულებს, და ზლოი-დოლისაკენ გასწია.

დამთნებულის

იქ იმისთვის მიღიოდა, რომ სამხედრო საბჭოსთან ერთად თათბირი გაემართნა, როგორ სჯობდა საქმე.

გათენდა. მზე ამობრწყინდა.

მეამბოხენიც წამოიშალნენ და ათის თავის ხელმძღვანელობით მუშაობას შეუდგნენ; ახლა ახალ საფარებსა სოხრილნენ, რადგან წინაღამეს კიდევ შემოემატათ ახალი მეამბოხენი. ამ დილას ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. მარჩევმა უთხრა, თგნიანოვმა ადგილები დაათვალიერა და სთქვა, ბელაია-ცერ-კოველებიც აჯანყებულანო... ამ ამბაემა ყმაწვილები გაამხნევა. გამხიარულდნენ, ზოგმა ბლერაც კი დაიწყო.

ამ დროს შორეულმა რაზმია დარაჯებისამ ნიშანი მისცა— მტერი გამოჩნდაო. ორი დარაჯთაგანი ზლოი-დოლზე გაიქცა, რომ სამხედრო საბჭოსათვის შეეტყობინებინა ყველაფერი დაწვრილებით. ისინი მივიღნენ ზლოი-დოლზე თუ არა, რახმანლარის მხრიდან ორი ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა თურქებისა, თითოეულ რაზმში ოც-ოცი კაცი იყო. ერთი რაზმი გზით მიღიოდა, მეორე — ტყე-ტყე. მეამბოხენი გულის-ფანცქალით უყურებდნენ,— უკან ქვევითი ჯარი ხომ არ მოსდევსო. მაგრამ მეტი ვერავინა ნახეს.

მაშინათვე ორი, თურქებზე უფრო ძლიერი, რაზმი მეამბოხეთა სიმაგრეებიდან დაეშეა მტრის შესაგებებლად. მესამე რაზმი ზლოი-დოლიდან დაეშვა.

ბოლგართა რაზმები რომ დაინახეს თურქებმა, გაჩერდნენ და უკან დაიხიეს.

— სიცხე დავაყენეთ,— სიცხე ზოგიერთებმა სიხარულით.

— დღესაც არ გვექნება ბრძოლა....

— მე მგონია, ბელაია-ცერკოვმა საქმე გაუჭირა თურქებს-მეთქი.— სთქვა ერთმა

სიმაგრეებზე ისევ დაიწყეს მუშაობა და მხიარულად ლაპარაკი.

ბ რ მ თ დ ა

მზე მეტად აცხუნებდა. ბატარეის მარჯვენა მხარეზე ოგნიანოე და რამდენიმე მეამბოხე ახალ საფარის ამოთხრას ათავებდნენ.

— მასწავლებელო! — დაუძახა ბოიჩოს ერთმა ორმოცდა-ათის წლის გლეხმა.

ოგნიანოემა მოიხედა.

— რა გინდა, პაპა მარინე?

ვერიგოველმა ოთხად გაკეცილი ქალალდი მისცა და უთხრა:

— შენ გამოგიგზავნეს.

— ვინ მოიტანა? — ჰერიონა ბოიჩომ, სანამ წერილს გახსნიდა.

— ივანე ბორიმეჩქამ. წუხელ გეძებდა, მაგრამ ვერა გნახა. მერე მე დამიტოვა შენდა გადმოსაცემად.

— ხომ არ უთქვამს, ვისგან ააო?

— მასწავლებელ ქალისგან არისო.

ოგნიანოეს გული გაეწურა. აცანცახებულის ხელით წერილი დაჭმული და უნდოდა გადაეგდო, მაგრამ მოაგონდა, რომ გარშემო უყურებდნენ და ამიტომ ჯიბეში ჩაიდო. მერე გაშმაგებით დაიწყო მუშაობა, რომ გული გადაეყოლებინა და დარღი გაექარვებინა.

— ამ დროს რამ მოაწერინა? წერილი? ან რად მომწერა, ჩემგან რა უნდა? განა არ იცის, რომ ვიბრძოლებ, მტერს პირზი შევებმები, სიკვდილს არ შევუშინდები? განა არ იცის, რომ ჩქარა ჩემთვის ყველაფერს მოელება ბოლო? — ჰერიქობდა ბოიჩო.

ამ დროს მეამბოხეთა რაზმები არა-ჩემულებრივის სახით დაფაცურდნენ. ყველანი საფართან შეიჯვაფნენ და შემკრთალი სახით აღმოსავლეთისაკენ დაიწყეს ყურება.

ოგნიანოვმაც აიღო თავი და შორეულ ქედებს მიაპყრო
თვალები. ბოლოზე დაყენებულმა რაზმა დარაჯებისამ ანიშნა,
მტერი გამოჩნდაო. ერთს წუთს უკან რამდენიმე თოფიც დაი-
ცალა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ დიდხალი მტერი მოდისო.

მაღვე შორეულმა რაზმა დარაჯებისამ უკან დაიხია და
თან ჰყვიროდა: — თურქები მოდიან, ბევრი, სულ ბევრი მო-
დის!

მეამბოხენი შეშინდნენ. ფერწასულნი იქით-აქეთ ეწყვე-
ტებოდნენ.

— თქვენ-თქვენ, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ! — შე-
უტია ოგნიანოვმა და ხელში თოფი მოიმარჯვა.

ოგნიანოვის ყვირილმა გონს მოიყვანა მებრძოლნი და
თავ-თავიანთს საფარებში ჩადგნენ.

წინა რაზმებიდან დარაჯებმაც მოიჩბინეს ქაქანით. წინ
ოგნიანოვი მიეგება.

— ვინა ნახეთ?

— თურქები! ურიცხეი ჯარი მოდის... ათასი იქნება.....
მთელი გზა შავად დაფარეს ბაშიბუზუყებმა...

ოგნიანოვმა თვალი უყო, — გაჩუმდითო.

— ადგილებიდან არ დაიძრათ! თოფები მოიმარჯვეთ! —
შესძახა ბრძანებითის კილოთი ბოიჩომ.

ყველანი საფრებთან დადგნენ. მართლაც, დიდს გზაზე უშ-
ელებელის ჯარის თავი გამოჩნდა; თან დ ათან დანარჩენი ნაწი-
ლიცა ჩნდებოდა... ეს თოსუნ-ბეის ურდო იყო... რაც უფრო
ახლოვდებოდა ჯარი, მით უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა მისი
რიცხვიცა. თურქები ოთხ-ოთხად იყენენ დამწკრივებულნი, თან
მიჰქონდათ ოცი პატარა და სამი დიდა დროშა თეთრისა, წი-
თელისა, მწვანე და სხვა ფერებისა. მოკლე ხანში მთელი გზა
დაჭვარეს მთელ ორ კილომეტრის სიგრძეზე.

ხელახლა დაეცათ შიშის ზარი მეამბოხეთა. ყველამ ცქმუტ-
ვა დაიწყო. სათითაოდ წამოხტებოლნენ და დამფრთხალის სა-
ხოთ შეხედავნენ ჯერ ამხანაგებსა, მერე მტერსა.

ოგნიანოვი თვალებს დაუბრიალებდა და, ცოტა არ იყოს, იმით იკავებდა ყველას.

მეამბოხეთა სიმაგრეებს ჯარი სათოფეზე დაუახლოვდა. მაშინ ზღოიო-დოლიდან რამდენიმე შორსმსროლელი თოფი დაიკალა; მაშინათვე ოგნიანოვმაც უბრძანა და თოფები დააკლევინა მეამბოხეთა. საფარები სქელმა კვალმა დაპირარა და თოფებს ბანი მისცა მიღამომ.

მტრის ჯარის თავში რამდენიმე კაცი დაეცა. თურქებს ჯერ ერთხელაც არ დაუცლიათ თოფი. რამდენისამე კაცის დაჭრამ მოწინავე რაზმი, ცოტა არ იყოს, აპრია. დაჭრილები ვარდის ბალებში შეიყვანეს და ჯარმა საჩქაროზე უკან დაიხია. პირველმა გამარჯვებამ მეამბოხენი გაამხნევა და მტერს გულადად დაუშინეს ტყვია. თოფის განუწყვეტლად სროლისაგან მთებსა და სერებს ზანზარი გაპქონდა. მაშინაც არ შეუწყვეტიათ სროლა, როცა თურქები კარგა მანძილზე მოშორდნენ.

ქვეითი ჯარის უკან კარგა მოშორებით ცხენოსანი ჯარი მოსჩანდა. ეს მთავარი შტაბი იყო თოსუნ-ბეისა. ქვეითი ურდო ცხენოსნებს შეუერთდა. აქ კარგა ხანს იყვნენ გაჩერებულნი. ეტყობოდათ, რომ თათბირობდნენ და იმის რჩევაში იყვნენ, უკეთესად როგორ დავესხათ თავზედაო. ურდო, ბოლოს, დაფაცურდა და რამდენსამე ნაწილად გაიყო. სარდალმა ანიშნა და ყველანი წინ გაექანნენ საშინელის ყვირილითა და სისწრაფით. ზოგნი შიშველ ქედებს აჰყვნენ, სხვები მდინარის ხრამებს მოედვნენ, მესამე ნაწილი ზღოიო-დოლისაკენ გაემართა, მეოთხე—ოგნიანოვისაკენ. მეამბოხეებმა ჯერ ისევ შორიდან დაუწყეს სროლა, მაგრამ თურქებმა თოფები მხოლოდ მაშინ დასცალეს, როცა სათოფეზე დაუახლოვდნენ. კვამლმა მეამბოხეთა სიმაგრენი სრულიად დაპირარა, ასე რომ თურქები ვერასა ჰქედავდნენ, მავრამ ისიც იყო, რომ მსროლელთა რიცხვი თან-და-თან მცირდებოდა მთაზე. ოგნიანოვი, ტალახითა და თოფის წამლით მოთხუპნული, თფლში გაწურული, სისხლის სუნით დაბნედილი, ტყვიების ზუზუნით ყურთა სმენა წა-

ლებული, ხან გასწორდებოდა და თავისს თოფს გასტენავდა, ხანაც ისევ საფარში შევიღოდა.

დრო გამოშვებით გარშემო მდგარ მეამბოხეთ შესძახებდა: — არიქა, ძმებო! ესროლეთ, ესროლეთ!

ერთბაშად პაპა მარინის ლაპარაკს ყური მოჰკრა. მარინი ვიღასაც ეუბნებოდა:

— ყმაწვილო, ცოტა ქვეით დაიწიე, თორებ კიდევ მოგნედება!

ოგნიანოვი უნებლიერ მოტრიალდა და ქარისაგან გათხელებულ კომლში დაინახა მეამბოხე, რომელსაც მტრის ტყვიებისათვის პირდაპირ შეეშვირნა თავი და თოფს ისროლა. სითამამეზე ეტყობოდა, რომ თავი სასიკვდილოდ ჰქონდა განწირული.

გაოცებულმა ოგნიანოვმა კანდოვი იცნო.

სახტად დარჩენილი ბოიჩო მაშინალურად მოვიდა მასთან, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ხელი მოიტა, ძმა.

სტუდენტი მოტრიალდა, ოგნიანოვს ჩუმად და ცივად შენედა, მაგრამ მაინც ჩამოართვა მხერვალედ ხელი.

ოგნიანოვს როცა კანდოვის ხელი ეჭირა, ხელი სისხლით დაუსკელდა. სისხლი სტუდენტს სდიოდა სახელოდან.

ოგნიანოვმა შენიშნა თბილი სისხლი, მაგრამ კი ვერ მიხედა, საიდან სდიოდა. უფრო იმან გააოცა, რომ აქ კანდოვი დაინახა.

სტუდენტი სამხედრო საბჭოს გამოეგზავნა აქ წინა ღამეს, მაგრამ ოგნიანოვს აქამდე არ შეუნიშნავს, რადგან მთელი დილა საფარების გამაგრებაში იყო გართული.

ოგნიანოვი მოშორდა და გარშემო მიიხედ-მოიხედა. დაინახა: რომ საფარები დაცარიელებულიყო. მეამბოხენი სიმაგრეებრდან გაპარულან. სულ ხუთი-ექვსი კაცი დარჩენილა და თოფის სროლას არა სწყვეტდა. სხვა სიმაგრეებიდან კანტრკუნტად ისმოდა თოფის ხმა, იქაც დაუნებებიათ თავი მცველებს. ამავე დროს, მტრის ბანაკიდან სეტყვასავით მოდიოდა ტყვიები და საფარებში დარჩენა საშიშო ხდებოდა.

ოგნიანოვი სიბრაზისაგან გაშავდა. რამდენიმე გულადი ყმა-წვილი უდგა მხარში და უსწოროდ იბრძოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ წასულიყო. აღმოსავლეთის მხარეზე მხოლოდ მის სიმაგრეს ასდიოდა კვიმლი.

— ვაიმე, დედავ! — დაიკვნესა ვიღამიც მწარედ მის ახლო.

ოგნიანოვი შეკრთა ამ კვნესისაგან და იქითკენ მიიხედა, საიდანაც კვნესა მოესმა.

საფარს ახლო პირქეე დაემხო დიაკონი ბიკენტი. სისხლი წყარა-წყურით გადმოსდიოდა კისრიდან. ტყვია სასიკვდილოდ მოხვედროდა.

პაპა მარინმა განზე გაიტანა, რომ მერე ვისმე ქალაქში წაესვენებინა. მაგრამ სხვა საფარები დაცარიელებული იყო. მთაზე ძე-ხორციელი არა სჩანდა.

დაცარიელებულს საფარებზე სამარისებური სიჩუმე სუცვდა. მხოლოდ ქალაქის ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრებიდან კანტი-კუნტად ისროლნენ ოგნიანოვთან ერთად. მტერმა ოგნიანოვის საფარს დაუშინა ტყვია. თურქები ფრთხილად მოდიოდნენ, გზა-ვზა ეფარებოდნენ ვენახსა და ვარდის ბუჩქებს. სიმაგრენი ერთი-მეორეზე აიღს და შიგ, ცხედრების მაგივრად, იარაღს, ტანისამოსს, სურსაოს და სხვა საშორების ჰპოულობრნენ. დახვდათ ბლის ზარბაზანიცა, თითოეულ სიმაგრეზე თითო, ორ-ორი ზარბაზანი იდგა. ზარბაზნები ისევ დაუცლელები იყო, ამიტომ რომ აზრად არავის მოსვლია პატრუქებთან ცეცხლი მიეტანა; ვერც გაჰქიდეს. ამგვარივე ბედი ეწია ოგნიანოების ბატარეიისაც.

თურქები ქალაქს თავში მოექცნენ. ამ დროს ქუჩიდან თოფები დაიცალა და მათი დროშიონი და ერთიც სხვა მეომარი ძირს დაეცნენ. მაგრამ გამარჯვება მაინც თოსუნ-ბეისა და მისს მხედრობას დარჩათ.

რ ა დ ა

პირველი თოფის ხმა გაისმა თუ არა, ყველამ გაიგო საბედისწერო ომი ატყდათ. ხალხს თავზარი დაეცა და ვისაც შეეძლო, ყველამ კოპტოვშიცას მიაშურა თავის საშველად.

ქალბატონმა მურატლიისკიმაც, რომელთანაც რადა იდგა, ხელად თავი მოუყარა თავისს შეიღებს და რაც უფრო ძირითადი ნივთები ჰქონდა, რომ სხვებთან ერთად ისიც გაქცეულიყო. წასვლის წინ რადას ოთახშიაც შევიდა და გაქცევა უთხრდა. მურატლიისკისა რამდენს არ ეხვეწა და ემუდარა, მაგრამ რადა უარზე დადგა,— გადაწყვეტილი მაქვს აქედან ფეხი არ მოვიცალოვო... გულკეთილი მურატლიისკის ქვრივი თვალ-ცრემლიანი ეხვეწებოდა, ერთად წავიდეთო, აქ მარტო ამ გასაკირში არ მინდა თავი დაგანებოვო. თურქები უკვე მთაზე ავიდნენ და, საცაა, ჩეენამდეც მოატანენო.

— წალი, წალი, ანა, ბავშვები წაასხი... გეხვეწები, მე თავი დამანებე, — ეუბნებოდა რადა და კარისაკენ ძალათი მიათრევდა.

დიასახლისი თავზარდაცემული უყურებდა რადას და სასოწარკეთილი ხელებს იმტვრევდა. სარქმლიდან დაინახა, რომ თურქები ქალაქში დაეშვნენ. არ იცოდა, რა ექნა.

ცხადი იყო, რომ რადა ასე იმიტომ გაჯიურდა და თავს არა შეელიდა, რომ ყოველი იმედი დაკარგული ჰქონდა.

ერთად-ერთი ნუგეში მისი — ბორიმეჩქას ცოლის, სტაიკას, ნახვა იყო. ბორიმეჩქა სიმაგრეებიდან ქალაქში რამდენჯერმე ჩამოვიდა სხვა-და-სხვა საქმეთა ასასრულებლად. გზად თავისს ცოლთანაც შეიცლედა ხოლმე და, სხვათა შორის, ოგნიანოვის ამბავსაც ეუბნებოდა. ასე რომ რადა სტაიკასაგან ტყობილობდა, რომ ოგნიანოვი ცოცხალი იყო, რომ მეტად დიდი შრომა აწვა. ეს იყო და ეს, ამის მეტი არაფერი იცოდა. ექვსი



დღე ექვს საუკუნედ ეჩვენებოდა რადას. უსაზღვროდ იტან-
ჯებოდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ტანჯვასთან ერთად
უარესად უცხოველდებოდა ოგნიანოვის სიყვარული, — რამდე-
ნად უბედურია ჩემი ბოიჩო, იმდენად სახელოვანი და სათაყვა-
ნო არისო.

გუშინ პირველად დაინახა ივანე ბორიმეჩე ქალმა, თა-
ვისს გრძნობას თავისუფლება მისცა და მის წინ მდუღარე ცრემ-
ლით იტირა. გულკეთილმა ივანემ ნუგეში სცა. მერე რადამ
საჩქაროზე ფანქარით წერილი დასწერა ბოიჩოსთან. ბორიმეჩ-
ე დაჰპირდა, დაუყონებლივ გადასცემო. მაგრამ პასუხად ერ-
თი სიტყვაც არ მოსვლია.

ამ დროს ქუჩაზე ყეირილი გაისმა. მურატლიისკისამ სარკ-
მელში გაიხედა და აჯანყებულები დაინახა: ქალმა ერთ-ერთ
მათგანსა ჭკითხა:

— ბაი ქრისტო, ზევით რა ამბავია? ოგნიანოვი ახლა სად
არის? შენ სადღა მირჩიხარ?

ქრისტომ საჩქაროზე უთხრა:

— დავიღუპენით, ანიჩე! საწყალი ოგნიანოვი ზევით დარ-
ჩა. ჩქარა გაიქეცით ვერმიშნიცისაკენ, თავს უშველეთ! — ეს
უთხრა და აჯანყებულები თვალთავან მოეფარნენ. ეტყობოდა,
რომ ბაი ქრისტო ოგნიანოვის სიმაგრეში იყო. რადამ შეშ-
ლილსავით ქვითინი ამოუშვა. მურატლიისკისა ისევ ემუდა-
რა, მაგრამ რაკი ვერაფერი გააწყო, თავის სახლს თავი და-
ნება.

დროც იყო წასვლისა, იმიტომ რომ ცოტა ხანსაც არ
გაუვლია, ისე რადას ჩრდილოეთიდან, სადაც უკვე თურქებმა
შესდგეს ფეხი, ქალების კივილი მოესმა. მწუხარებისაგან ღონე
მიხდილი სარკმელთან იდგა და უაზროდ იყურებოდა, ამ დროს
ბაშიბუზუყთა ბრბომ ჩაუქროლა სახლის წინ. დაეწია ორს
ბოლგარელს და თავები მოსჭრა. რადამ კარგად დაინახა, რომ
ძირს დაცემულ პოლვარელს ხელიდან რაღაც წითელი წასჭდა,
თავის თვალით დაინახა სიკვდილი, საშინელი სიკვდილი, გულ-
შემზარავის სახისა, და შიშისაგან თავ-ტანი დაჰჭკარგა... გრძნო-

ზა თავის თავის დაცვისა, სიცოცხლის წადილი საოცარის ძალით გაეღვიძა ახალგაზია ქალს და სხვა ყოველი წადილი დაუქშო, მართალია, სასოწარკვეთილი ვიყავ, სიკვდილი მენატრებოდა, მაგრამ ახლა კი მინდა ვიცოცხლოვთ. ჩქარა, ჩქარა უნდა ვავექცე ან სიკვდილსა, ან და აუგიან სიცოცხლეს, თავლაფის დასხმას, რომელიც არ ამცდება, თუ კი ამ ავხორც ავაზაკებს ჩაეუვარდი კლანჭებშიო...

რადამ კარი გაალო და უნდოდა კიბეზე ჩასულიყო, მაგრამ ამ დროს ჭიშვიარი საშინელის გრიალით გაიღო. ხის ტოტებ შორის რადამ დაინახა, რომ წინ ერთი შეიარაღებული ბაში-ბუზუყი მორბოდა და უკან ვიღაცა სხვა მოსდევდა. ორივე საჩქაროდ წამოვიდა იმ კიბისაკენ, სადაც რადა გაქვავებულ-სავით იდგა... ქალი ცოტათი გამოერკვა, ისევ ოთახში შეტრიალდა, კარი მოისურა, გასაღებით დაჰკეტა და ოთახის კუთხესთან მიეიღდა. ამ დროს კარებს ბრახუნი აუტეხეს და მოაწენენ. უკანიდან ვიღამაც ხაშინელის ხმით დაიღრიალა... კარი მაინც არ იღებოდა. ვინც კარს უკან იდგნენ, ჯაჯვრი დაუწყეს კარს და ცულის მხვავსი რაღაცა დაუშინეს. კარმა ჭრიალი დაიწყო, ფართედ გაიბზარა. ამ გაბზარულიდან თოვის კონდახი გამოჩნდა, რომლითაც ვიღაცა ცდილობდა კარის ჩამტვრევას. რადა უყურებდა, ჭრაჭა-ჭრუჭი როგორ გაჰჰქონდა ხმელ ფიცრებს, როგორ იმტვრეოდა რკინისავან, მერე დაინახა, რომ ოთახში ფეხი შემოჰყეს; მტერი უკვე შემოდიოდა.

რადას გამოუთქმელი ზარი დაეცა თავზე და გონი წაერთვა. სიკვდილი ათასწილ ერჩივნა იმ შერტხვენას, რომელიც ახლა მოელოდდა... მივარდა ხატთან, სანთელი აანთო და ისევ ჩქარა მოტრიალდა კუთხისაკენ. ამ კუთხეში მაგიდაზე ერთი ტომარა თოვის წამალი იდო, რომელიც, ალბად, აჯანყებულთ დაავიწყდათ. რადამ მიირბინა ტომარასთან, მარცხენა ხელში ასანთი იღო, ხოლო სალოკ თითით ტომარას ჩხიკვინი დაუწყო, უნდოდა გაეხვრიტა და მერე წამალი აეფეოქებინა. ტომარა მაშინათვე გახვრიტა.

ამავე დროს კარმა საშინელის ხმით ჩეხვა მოაღინა ია-
ტაკზე და უზარ-მაზარის ტანის კაცი ოთახში შემოიჭრა.

ივანე ბორიძეჩა რადას მიჰვარდა.

უკან სტაიკა მისდევდა.

რადას არცერთი არ უნახავს და ასანთი თოფის წამალთან
მიიტანა.

XXXXVIII

თარი მდინარე

ოგნიანოვი ამავე დროს უკვე შორს იყო წასული მთა-
მთა.

სიმაგრეს უკანასქნელად იმან დაანება თავი და, როცა თურ-
ქები ოგნიანოვის საფართან ამოვიდნენ, ხოლო მეორე რაზმ-
მა მეორე სიმაგრე დაიპყრო, გასისხლიანებული, ტალახში
თოფიწამლისაგან გამურული ოგნიანოვი რაღაც სასწაულად გა-
დარჩა და მტრებსა და მათს ტყვეიბს თავი დააღწია... სიკვ-
დილს ეძებდა, მაგრამ თავის-თავის დაცვის ალლობ, რომელიც
ასეთს შემთხვევაში ადამიანის ნდომაზე უფრო ძლიერია ხოლ-
მე, ოგნიანოვი გადაარჩინა.

ეხლა ბოიჩო ვერმიშნიცაში იყო, მთის ძირას, სადაც მდი-
ნარე ჩამოდიოდა.

სისხლითა, თოფისწამლითა, ოფლითა და მტვრით გათხუ-
ნულ სახეზე ეხლა ცრემლები ჩამოჰქონდა.

ოგნიანოვი სტიროდა.

თავშიშველი იდგა და დამარცხებულ რევოლუციის საში-
ნელ სურათს უცექროდა.

ძირს, ბარად, ხროვა მამა-კაცთა, დედა-კაცთა და ყრმათა,
შიშისაგან გზა-კვალ-დაბნეული, მთებში იხიზნებოდა და თაესა
შველიდა, მათი ტირილის და გოდების ხმა მკაფიოდ ესმოდა ოგ-
ნიანოვს.

შორს,—ალში გახვეული კლისური მოსჩანდა.

დამონებულია

უცბად თავისს მარჯვენა ხელს დახედა, სისხლში მოსე-
რილს. მიხედა, რომ ეს სისხლი კანდოვისა იყო. მაშინათვე რა-
და მოაგონდა...ზარმა იტანა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და დაჭმუ-
კვნილი წერილი ამოიღო რადასი. გახსნა და წაიკითხა შემდე-
გი სტრიქონები, ფანქარით დაწერილი დასუსტებულისა და
აკანკალებულის ხელით:

„ბოიჩო!

„შენ ზიზლით პირი ამარიდე. უშენოდ სიცოცხლე აზ შე-
მიძლია... გეხვეწები, თუნდ ერთის სიტყვითაც შემომითვ ალე
შენი ამბავი... თუ მიზრაძებ, ვიცოცხლებ.... უბრალო ვარ...—
უპასუხოდ ნუ დამაგდებ, ბოიჩო, ჯოჯოხეთია ჩემი ამგვარი
ყოფა... თუ არას მომწერ, მშეიღობით, მშვიდობით, გენაცვა-
ლე, ჩემს თავს კლისურის ნანგრევებ ქვეშ ვიმარხდა....
რადა“.

უზომო მწუხარებით აღვესო გული ოგნიანოვს. შეხედა
ქალაქს, სადაც ცეცხლი უფრო და უფრო ედებოდა შენო-
ბებს. სხეა-და-სხვა უბნებზე ახალ-ახალი ცეცხლი ჩნდებოდა
სახლების სახურავებზე და ჰაერს მცრალ-წითელ ჰაერით ლო-
კავდა. კვამლის შავი ღრუბლები ეფინებოდა ქალაქს და ცაზე
უერთდებოდა ქალაქის თავზე ჩამოწოლილს ღრუბელს. დასა-
ლამოებამდა. ცეცხლი საშინელის სიძლიერით მოედო მთელს
ქალაქს. ოგნიანოება თვალებით დაუწყო ძებნა ორ-სართული-
ან სახლს, სადაც მურატლიისკიისა იდგა. მალე იპოვა და გუ-
ლის-ფანცქალით იცნო ორი სარკმელი რადას თთახისა. ამ
სახლს ცეცხლი ჯერ არ ეკიდა, მაგრამ მახლობლად სახლები
იწვოდა და ცეცხლი თან-და-თან უახლოედებოდა.

— საწყალი, საცოდავი ჯერ კიდევ მანდ არის! ვაი იმის
ცოდვა! ვაი იმის ბრალი!...

ეს სთქვა და ძირს დაეშვა. ოგნიანოვი ჩავიდა, ანუ უკედ,
ჩაგორდა მთიდან და უკან დაბრუნდა, კლისურისაკენ.

ვერმიშნიცის ხეობა სავსე იყო ყველა სქესის, ასაკის და
წოდების ლტოლვილებითა. დაშინებული ხალხი მდინარეს აღმა

აჰყოლოდა გრძლად და მეორე მდინარესა ჰგავდა, აღმა მიმა-
ვალსა. კლისური შიშის ზარმა სულ დაცარიელა და იქაურნი
მცხოვრებნი ამ ხეობაში იჭურებოდნენ. ყველა მირბოდა, ში-
შისაგან თავ-ტან-დარკაგული, ყველა თავსა ჰშველიდა. ზოგს
რაც ზედ ეცვა, იმის მეტი სახლიდან არაფერი გამოჰყოლია,
სხვებს, რაც ხელში მოხედათ, ყველაფერი წამოულიათ და და-
ტვირთულნი მოდიოდნენ. ზოგიერთი სასაცილო საყურებელიც
იყო. მაგალითად, ერთ მდიდარ მოსახლეს კედლის საათი ამო-
იყო. მაგალითად, ერთ მდიდარ მოხვედრია ხელში. მეორე-
ულლიავებია,—იმის მეტი არაფერი მოხვედრია ხელში. მეორე-
ულლიავებიან, ერთ ქალს საცერი მოჰქონდა და სიარულის ღრის სა-
გან, ერთ ქალს საცერი მოჰქონდა და სიარულის ღრის სა-
შინლად უშლიდა თავისი ტვირთი. ცოტა მოშორებით ოგნია-
ნოვი ძუძუ-მწოვარია ბავშვი წაწყდა, ალბად, უფრო აღვილად
ვუშველო თავსაო და, დედას დაუგდია... მოხუცნი და დედა-
კაცნი გვერდთ აუვლიდნენ და ზედაც არავინ უყურებდა. ცვე-
ლას მარტოოდენ თავისი თავი ახსოვდა. შიში აღმიანს აგულ-
ქვავებს, ამაზე დიდი და უფრო საზიზლარის ფორმის ეგოიზმი
სხვა არა არის-რა... ოგნიანოვი მაშინალურად დასწვდა, აიყვა-
ნია ბავშვი და გაიქცა, თითქო ეს ამდენი ტანჯვა არ აქმარა
ღმერთმა გამოქცეულთაო, და კოკიპირული წვიმა დაუშინა.
ავდარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა; კლდეებიდან მღერიე
ნაკადულები ჩამოჰქონდა მდინარისაკენ და ხეობა სულ იალა-
ფა. უბედურნი ლტოლვილნი, მთლად გაწუშულნი, სიცივისა-
გინ გათოშილნი, ტალიხში მიუორთხაედნენ... კვნესა და ტირი-
ლი უფრო გაძლიერდა და გახშირდა...

კლდეები ბანს აძლევდა ტირილის ხმას და ავდარს, რო-
მელსაც აღიდებულ მდინარის გრგვინვაც შეუერთდა. მოუ-
ლოდნელად ოგნიანოვმა ერთი დედაკაცი იცნო: ეს დედაკაცი
მურატლიისკისა იყო. ძუძუ მწოვარია ბავშვი ხელში ეჭირა,
ხოლო სხვა სამი შვილი უკან მისდევდა. ოგნიანოვი ამღერეულ
წყალში გავიდა და დატანჯულს დედაკაცსა ჰკითხა:

— რადა სად არის?

დედაკაცმა პირი დალო, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ისე
იყო დაქანული, რომ სიტყვის თქვა ვერ შესძლო. მხოლოდ
თითოთ ანიშნა ქალაქი.

— თქვენ სახლშია?

— იქ არის, იქ... ჩქარა... — რის წვალებით წამოიყრანტა-
ლა დედაკაცმა.

მურატლიისკისა მეტად სუსტი ადამიანი იყო და სხეა დროს
ამდენს ტანჯვასა და გზას ვერც კი გაუძლებდა. მაგრამ ახლა
კუნთების მაგიერ მხნეობა ჰშველოდა... ოგივე მხნეობა სულს
უდგამდა აგრეთვე მისს მშვენიერს, ანგელოზის მსგავს, ბავშ-
ვებს...

— ბავშვი სად მიგყავს? — ჰკითხა მიკნავებულის ხმით ოგ-
ნიანოეს.

ბოიჩომ შეხედა. მხოლოდ ახლა დაინახა, რომ სადღაც
ბავშვი აიყვანა და თვითონაც არ იცოდა, სად მიათრევდა;
მხოლოდ ახლა იგრძნო, ახლა გაიგონა მისი კნავილი.

გაოცებულის ხმით შეხედა მურატლიისკისას.

— მომეცი, მომეცი... — უთხრა დედაკაცმა.

დედაკაცმა ბავშვი გამოართვა, მარცხნა გულზე მიიკრა,
ხოლო მარჯვენაზე მთავარი საკუთარი ბავშვი მიიხურა და გზას
შეუდგა.

უკვე სიბნელე ჩამოწვა, როცა ოგნიანოე მდინარე ვერ-
მიშნიცის შესართავთან მიეიდა. აქედან მთელი ქალაქი სიანდა.
წვიმას ცეცხლი ჩაუქრია; მხოლოდ აქ-იქ სახურავებს ქვეშ
კიდევ დარჩენილი ცეცხლი და ჩამობნელებულს ქალაქს სარკ-
მლებიდან სინათლის მოწითანო სხივებს ესროდა....

უამ-და-უამ ცეცხლისგან ჩამოწოლილ შენობათა ხმაურობა
ისმოდა... მალე ცეცხლი ისევ გაღვივდა და ახალ შენობებს
მოედო. ერთბაშად ოგნიანოვმა დაინახა, რომ ცეცხლი სამხრე-
თის მხარეს გაუჩნდა ერთს სახლს. ალი ტკაცა-ტკუცით ამოჰე-
თქდა სახლიდან და ჰაერში აურაცხელ ნაპერწკლებს აბნევდა.
ოგნიანოვმა შენიშნა, რომ ცეცხლი მურატლიისკის სახლს ეკი-
ოგნიანოვმა

დებოდა... დრაღ, ეს სახლი იწვოდა... ერთ წუთს უკან ზედა
სართული ცეცხლისა და ყვითელ კვაშლის ზღვაში შთაინთქა.
აი, ამ სართულზე ჰქონდა რადას ოთახი!

ოგნიანოვი, გაშმაგებული ცეცხლ-მოკიდებულ ქუჩებზე
გაიჭა. გაალმასებული თურქები ბუშსავით ირეოდნენ. ბოიჩო
მათს შორის დაიკარგა.

(დასასრული შემდგეს ნომერში)



სამეგრელოს აღმერა

არქანჯელო ლაშერტისა

(თარგმანი იტალიურით)

IV *)

აწინდევლი მთავარი კოდხიდისა.

კოლხიდის აწინდელს მთავარს ჰქვიან ლევან. იგი არის შემდეგ აჯანყებისა მეხუთე დამოკიდებული მთავარი, შეიღი მანუჩარისა. მამა მასი მანუჩარ ერთ დღეს სანაციროდ გამოვიდა და, როცა ცხენით გამოუდგა იჩემს, დაეტაკა მეორე ცხენოსანს, რომელიც მისდევდა ოურმე იმავე იჩემს. უბედური მანუჩარ ისე ძლიერ დაეტაკა, რომ სულ დაიმსხვრა, და იქვე სული განუტევა. ამ მანუჩარს მემკვიდრედ დარჩა მცირე წლოვანი ლევან, რომელიც სრული თოთხმეტი წლისაც არ ყოფილა. ამის გამო, ხალხის ჩვეულებისამებრ, მას ამოურჩიეს ხელთმძღვანელი ანუ მზრუნველი, რომელსაც მასთან ერთად უნდა განეგო მთავრობა და კეთილად წაეყვანა სახელმწიფოს საქმეები. ასეთ მზრუნველად დაუნიშნეს მას მიძი ბიძა გიორგი ლაპარტიანი, კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად განვითარებული. ეს გიორგი განაგებდა ყველა-ფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მის გამგეობის დროს კოლხიდაში არაეითარი ირეულომა და იჯან-

*) იხ. „მოამბე“ № IV, 1900 წ.

ყება არ მომხდარია. ყმაწვილი ლევან განაეციარა ყველა ამ გარჯიშობაში, რომელიც შეეფერებოდა მთავარს.

როცა დრო მოაწია, ლევანმა თვითონ დაიწყო სამთავროს გამგეობა და შეირთო ცოლად აფხაზების მთავრის შარაშიას (Sciarpshia) ქალი. ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათნოებით, რომელიც შეეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა. თავის სათნოებით მან მიიჩიდა ყეველა თავის ქვეშვერდომის გული. მალე ამ ქალისაგან ეყოლა მთავარს ორი ვაჟი, რომელთაც სიყრმიდანვე ეტყობოდათ, რომ იქმნებოდნენ ნამდვილი მექვიდრე დედის სათნოებისა და მამის ახოვნებისა. ამიტომაც მოხარული იყვნენ ქვეშვერდომნი და ფიქრობდნენ, რომ ამათი ჩინებული მთავრობა დამყარებსო მშეიღობიანობას და მყუდროებას.

ხოლო ეშმაკმა, რომელიც არის მთესველი ამბოხებისა და მტერი ყოვლის შშვიღობისა, ჩქარა ჩამოაგდო მთელ კოლხიდაში საშინელი შფოთი. ეს შფოთი ნელ-ნელა იზარდა და ბოლოს ისე გადიდდა, რომ ააქოთა მთელი ქვეყანა და მოსპო ყველივე მშვიდობიანობა. მთავრის ბიძას ლაპარტიანს ჰყავდა ცოლად ყმაწვილი ქალი, თუმცა თვითონ მოხუცებული იყო. ეს ქალი იყო ჭილაძის (Cilazzé) გვარისა. ჭილაძეები იყვნენ პირველი თავადები თდიშისა. ხსენებული ქალი ძრაელ ლამაზი იყო და ხნით უფრო შეეფერებოდა ყმაწვილს მთავარს, ვიდრე მოხუცებულს ლიპარტიანს. მართლაც იგი უფრო თამაშად იყო დადიანთან და საიდუმლოებასაც იმას უფრო უზიარებდა, ვიდრე თავის ქმარს. ხშირად ერთად იყვნენ და ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს ცხადად გამოჩნდა, რომ მოყლე ხანსაც არ შეეძლოთ გაძლება უერთმანეთოდ. მოხუცებულს ბიძას არავითარი ეჭვი არ ჰქონდა, რაღაც, ერთის მხრით, მთავარი ცოლიანი იყო და, მეორე მხრით, მათ შორის ნათესაობა იყო. მხოლოდ საიდუმლო ალი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს იმისთანა ცეცხლად გარდაიქცა, რომ მთელმა კოლხიდამ შეამჩნია.

ამ დროს მტერი კაცთა ნათესაზბისა უქმად არ იყო და კდილობდა შფოთი გაეძლიერებინა. მაშინ, როდესაც მთავარი გატაცებული ლიპარტიანის ცოლის სიყვარულით, ცდილობდა თავის სურვილის დაქმაყოფილებას, სხვა მის ცოლს, დე-ფოფალს, ეტრუიალებოდა და უსირცხვილოდ დაუახლოვდა. ეს იყო მისი ვეზირი სახელად პაპუნა (Paponia) ასეთი საქმე ხომ დიდ ხანს არ დაიმალება და მართლაც მალე გამოაშეარავდა მთელს კოლხიდაში და ბოლოს თვით მთავრის ყურამდინაც მიაღწია. მთავარი საშინლად გაბრაზდა. მაშინვე გააგდო ცოლი, ბერძნების სჯულისამებრ. შესაჩურცვენად ცხვირი მოსკრა, შეკრიბა ჯარი და ქალი წაიყვანა მის მამასთან. მამა მისს შეეშინდა ამ უეცარი თავდასხმისა და მთელი თავისა ერთ მთებში გაიქცა. დადიანმა საფლები სულ ამოაგდო და უკან დაბრუნდა თავის სამთავროში; ცოლი კი იქ დასტოვა მარტოკა.

რაც შეეხება მის ვეზირს, რადგან იკი ძლიერ პატივცემული იყო მთელს ოდიშშა და ქვეშვერლომებს დიდად უყვარდათ, ამისათვის შინაური ომი რომ არ გამოეწვია, მთავარი უფრო გულდამჯდარად მოიქცა მის შესახებ და დაქმაყოფილდა მით, რომ დაატუსალა და გარდასცა გურიის მთავარს, თავის ბიძაშვილს, რათა შეენახა იმ დრომით, ვიდრე მისი საქმე არ გათავდებოდა.

დადიანი, რომ უცოლო დარჩა, ბაცოლასადმი სიყვარული უფრო გაუძლიერდა და ცეცხლმა ერთბაშად იუჟოქა: მთავარმა დაარღვია ყოველივე კანონი, როგორც ბუნებისა ისე ღვთისა, და გარდასწყვიტა ძალით შეერთო ცოლად თავისი ბიცოლა. როცა მისი მოხუცებული ბიძა სრულიად დამშვიდებული იყო და არ მოელოდა ასეთს ამბავს, მთავარი მრავალის თავადებით და დიდებულებით მივიდა მისს სახლში და წამოიყვანა იქიდან დარეჯან ყველა მისი ქალებით და მოიყვანა სასახლეში, სადაც დიდის ამბით დაიწერა მაზე ჯვარი და გახდა იკი დედოფლად. ლიპარტიანმა რომ ნახა, ძისტულმა ასე შეურაცმულო, ტირილის გადახდას შეუდგა იმ დროს, როცა

სასახლეში დიდის ამბით სისხლ-არეულ ქორწილს იხდიდნენ. თოთქო ცოლი მართლა მოკვდომოდეს, მან ჩაიცვა და ყველა თავის მახლობლებს ჩააცეა სამგლოვიარო ტანისამოსი და, იქაურ ჩვეულებისამებრ, ორმოცი დღის განმავლობაში ტირილი გაგრძელდა დიდის ამბით. შემდეგ ტირილისა და ნადიმისა მთელი ქვეყანა დასებად განიყო: უფრო მჩატენი თანაუგრძობდნენ მთავრის სიმჩატეს და მიემხრნენ მას. უფრო გონიერნი და ხნიერნი კი თანაუგრძობდნენ მოხუცებულს და იმისკენ იყვნენ.

როგორც ერთის მხრით, ისე შეორის მხრით ამზადებდნენ იარალს, რათა ამით დაებოლოვებინათ ეს სამწუხარო დაცა. მაგრამ მოხუცის უეცარმა სიკვდილმა, რომლის მიზეზი არ ვიცი, მწუხარება იყო, თუ სხვისი იდუმალი ხელი, დააცხრო ეს არეულობა და დარჯან დარჩა მთავრის ცოლად და დედოფლად.

ამ დროს ვეზირმა, რომელიც გურიელს ჰყავდა დაწყვეტული, იფიქრა, რომ როგორც კი კოლხიდაში სიმშვიდე ჩამოვარდება, მაშივე დადიანი ჩემზე ჯავრის ამოყრას მოინდობდნენ იმ დიდ დანაშაულისათვის, რომელიც მე ბრალად დამეცოო, და ამიტომ არჩია თავის სარგებლობისათვის ახალი არეულობა გამოეწვია და დადიანის წინააღმდეგ ღალატი გამოეწყო. ვეზირმა იცოდა, რომ ოდიშში დადიანმა სისხლ-არეულის ქორწინებით, და თავისი კეთილ-მყიფელის ბიძის შეურაცხყოფით ბეკრი უგონიერესი კაცი მოიმუშრა; რომ, სხვათა შორის, მისს სიძეს, გურიელსაც გული აუგარდა დადიანზე, როგორც თეი თონ გურიელისაგან გაეგონა კერძო ლაპარაკის დროს. თავის მჭერ-შეტყველობით ვეზირმა გურიელი დააჯერა, რომ დადიანი ისე თავდაუჭერელი შეიქმნა, რომ, ვიდრე ის მთავრად დარჩება, მის სამთავროში მშვიდობა არ ჩამოვარდება. პირიქით, მისი დაუცხრობლის ხასიათის მიზეზით მომიჯნავე მთავრებს ხშირად თავს დაეცემა და დააზიანებსო. ამიტომაც უკეთესი იქნებაო, რომ კოლხიდის მთავრად გავხადოთ მისი ძმა იოსებიო, კაცი ბეკრად უფრო სასიამოვნო, კაცომიყვარე, ზრდი-

ლობიანი, დამჯდარის ხასიათისა და იმას გარდა ხალხისაგან
მეტად პატივუმული და თაყვანსაცემიო.

ვეზირმა საქმე ისე წაიყვანა, რომ მარტო გურიელი კი
არა იმერეთის და აფხაზეთის მთავრებიც მოიმხრო და მათ შო-
რის დაარსა საიდუმლო კავშირი, რომელსაც საგნად ჰქონდა
დადიანის მოკვლა და მის მაგიერ მისი ძმის იოსების გამთავ-
რება. ყოველივე მოისაზრებს, იშოვეს ისეთი აფხაზი, რომელიც
დახელოვნებული იყო ასეთს საქმეებში და მიანდეს დადიანის
მოკვლა. აფხაზი თვალს აღვნებდა მთავარს და ყოველგან დას-
დევდა მას, სადაც კი წავიდოდა იგი თავის კარის კაცებით. აფ-
ხაზი ცდილობდა ამოერჩია მარჯვე დრო, რომ სისრულეში
მოეყვანა თავის ბოროტ განზრახვა. კიდეც იპოვა ასეთი დრო
მაშინ, როცა დადიანს არავითარი ეჭვი არ ჰქონდა, რომ მის
წინააღმდეგ ასეთი ბოროტ-განზრახვულობა არსებობდა.

აფხაზმა გაიგო დადიანის ჩვეულება, რომ ყოველ სალა-
მოს ვახშამს ერთს და იმავე ადგილს მიირომესო; იმ აღი-
ლას ლობე არისო და ამ ლობეს დადიანი ზურგით მიაწვება
ხოლმეო. გაენდო მერიქიფეს, რომელიც დიდი ერთგული იყო
იოსების და სთხოვა მაცნობეო, როცა დადიანი ვახშის დროს
ჩვეულებრივზე უფრო გონება გაფანტული იქნესო. მერიქიფემ
შეპირებისამებრ ანიშნა და აფხაზი ზურგილან მიეპარა დადიანს
და დაუპირდაპირა გულში ხანჯალი, მაგრამ დადიანი, როგორც
კი იმან იგრძნო მახვილის წვერი, პირქვე დაემხო სუფრაზე.
ამგვარად გადარჩა სიკვდილს და მხოლოდ სუბუქი ჭრილობა
მიიღო. აფხაზმა მაშინვე თავს უშველა, მარდად შეახტა ცხენს
და ბნელის ღამის წყალობით ისე გაიპარა, რომ შემდეგ მისი
სახსენებელიც ვერავინ ვერ გაიგო.

ამ შემთხვევამ ზარი დასცა ყველა კარის-კაცებს. მათ
ხელი მოჰკიდეს მთავარს და სასახლეში შეიყვანეს. სასახლიდან
ხალხი დაითხოვეს, კარები ჩაკეტეს და გულმოდგინედ შეუდგ-
ნენ ჭრილობის ექიმობას. ეს ამბავი იმავე ღამეს მოეფინა მთელს
კოლხიდას: ღამის სიბნელემ, შემთხვევის მოულოდნელობამ და
ცრუ ხმებმა, რომელიც ყოველგნით გავრცელდა, უფრი მეტა

ზარი დასცეს მეგრულებს. იმდენად იყვნენ დაშინებულნი, სა-
ერთო უბედურება რამ გვეწვია, რომ ყველა შეიარაღდა თა-
ვის დასაცველად და დილა ადრიანად სასახლესთან შეიკრიბა
შრავალი ჯარი, რომელიც მზად იყო მოქმედებისათვის, თუ რამე
აჯანყება მოხდებოდა ან მთავრისა და ან სამშობლოს წინააღმ-
დებ. მთელი ეს ხალხი მინდორში დაღაგდა, იქ ბანაკი გაიკე-
თეს და გადაწყვიტეს, რომ აქედან ფეხს არ მოეიცვლით, ვიდ-
რე მთავარს უშეიშარ-ყოფილს არ დავინახავთო. მთავარი ჩქა-
რა კარგად შეიქმნა, რადგანაც ჭრილობა მძიმე არ ამოჩნდა და
ექიმობაც კარგი ჰქონდა. ლოგინიდან ადგა თუ არა, მთავირი
შეჯდა ცხენზე და ეჩვენა ხალხს, რომელიც დაღონებული უც-
დიდა მის მორჩენას.

მორჩენის უმაღლ მთავარი შეუდგა იმის გამორკვევას, თუ
ვის ჰქონდა მონაწილეობა შეთქმულობაში. პირველად დაიჭი-
რეს მერიქიფე, რომელიც მთავარს ემსახურებოდა იმ ხალამოს,
როცა აფხაზმა დასჭრა. როგორც კი მერიქიფეს წამება დაუწ-
ყეს, იმაშინვე რიგ-რიგად ჩამოსთვალა შეთქმულები. ესენი, რა-
საკვირველია, მაშინვე დაიჭირეს და აწამეს. დადგა სასტიკის
სხვავრის დღე. მერიქიფე და ორი მისი ძმა, რომელნიც მონა-
წილენი იყვნენ მისნი, ერთნარად დასაჯეს. ორივე თვალი ამოთ-
ხარეს და ცალცალი ხელი და ფეხი მოსჭრეს. ამ საქმის მოთა-
ვე ვეზირი ჯერ ღამით დასტრჩეს და მერე დღისით ერთ დიდ
ზარბაზანში ჩასდეს, ცეცხლი მისცეს და ამ გვარად მისი სხეუ-
ლი, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული, ჰაერში გაიძნა. თავის ძმას ით-
ხებს მთავარმა თვალები დასთხარა და ყოველივე ქონება ჩა-
მოართვა და დაუტოვა მხოლოდ სულ მცირე რამე, რაც საკ-
მაო იყო საწყლიდ ცხოვრებისათვის. შემდეგ თავის სიძის გუ-
რიელის წინააღმდეგ გაიღაშქრა, დაატყვევა იგი და ლირსეული
სასჯელი მიაყენა: დასთხარა თვალი, წაართვა ცოლი, შვილი და
სამთაეროც, მისი სამთაერო დადიანმა კადასცა გურიელის გიძას
მალაქიას. გურიელი ლირისი იყო ასეთის საშინელის სასჯელისა
იმიტომ კი არა, რომ შეთქმულობა მოხდინა დადიანს წინააღმდეგ-
არამედ იმიტომ უფრო, რომ თავისის მამის წინააღმდეგ საში-

ნელი სისასტიკე გამოიჩინა. თვითონ რომ მთავრად გამხდარიყო, იმისთვის სიყმაწერულეში თავისი მამა მოჰკლა. ამ გვარად ლეონის განგებამ არ ინება, რომ ასეთი მისი ბოროტება დაუს-ჯელად დარჩენილიყო, და მან ერთად დაჭკარგა სამთავრო, ცოლი, ერთად-ერთი შვილი, თვალთა ხედვა და თავისუფლებაც.

კოლხიდაში საერთოდ ამბობდნენ, რომ ამდენის მკვლელობის დროს დადიანის გული იმოდენად გაბოროტდა, რომ თავისი შვილები, რომელნიც პირველის ცოლისაგან ჰყავდა, მოწამლაო. ჰფიქრობდნენ, რომ დადიანმა ასეთი სისასტიკე ახალის ცოლის ჩაგონებით ჩაიდინაო. ამ ქალს, რასაკვირველის, უნდოდა, რომ დადიანის მემკვიდროება მიეღოთ მის საკუთარს შვილებს და არა აფხაზის ქალისას. ამბობენ, რომ მეორე ცოლი დადიანს ხშირად მოაგონებდა, რომ მშვიდობას ნუ მოეღო, ეიდრე ცოცხალი იქმნებიან ჩვენი უკანონო შვილებთან ერთად შენი პირველი ცოლის კანონიერი შვილებიც. ერთის თვის განმავლობაში მართლაც პირველის ცოლის ორნივე შვილნი მოჰკვდნენ. თუმცა მათ საფლავზე დაეცა მრავალთა მრავალი ცრემლი, მაგრამ არ დასცემია მამის ცრემლი და არ ღირსებია მათის წინაპრებთან ერთად სამეფო აკალდამაში დაკრძალვა.

ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები ბლობილა, მაგ. ამ ცხოვრების მე-36-ე გვერდზე (იხ. ახ. ვარ. ნ'ნოს ც.) ვკითხულობთ: „შემუსრნა უფალმან არმაზ და სხუანი იგი კერპნი... რომელი იგი წინა წერილ არს ანდერმსა შას მისესა შინა...“

ეს წინადადება რაღაც წა ნინოს ანდერძს ასახელებს, მაგრამ არც ერთ ნინოს ცხოვრების თავს ამ გვარი სათაური არა აქვს წარწერილი; არმაზის და სხვა კერპების შემუსრა მე-3 თავ-შია აღწერილი („თავი ვ მოწევნა წმიდისა ნინოსი მცხეთად, აღწერილი მასივე სალომე უეარმელისად“· ibid გვ. 20), რომლის წინ ერთი (მე-5) თავია გამოშვებულია. მაგრამ რადგან მე-6 თავიც, მე-4-ეც ერთი და იგივე მწერალ სალომე უეარმელის ნაწერად არის მოხსენებული, რადგან ამ ორ თავის შორის მციდრო კავშირია და სათაურები უხერხულად, აზრის მიღლინარეობის შეუთანხმებლადა ჰყოფს მოთხრობას, ამიტომ ზემო მოყვანილ წინადადების აზრის თანახმად შეიძლება

კიფიქროთ, რომ ეს ებლა ცალკე თავებად დაყოფილი მოსახ-
რობა ერთ დროს ერთად ყოფილი (გაუყოფელი) აღწერილი და
სათაურად ჰქონია „ანდერძი წმ. ნინოსი“. საყურადღებოა,
რომ „ქართ. ცხოვ.“-ში შიო მღვიმის და იოანე ნათლის მცემ.
წა ნინოს ცხოვრებებში ეს ნაწილი დაყოფილი არ არის (იბ.
ibid გვ. 20¹) და გვ. 10¹). მეორე ნაწყვეტი შეეხება სვეტი-ცხო-
ველის ხილვას (ibid გვ. 44):

.... „და იყო სუეტისა მის საშინელი ხილვად და საკვირვე-
ლი, რომელი ზემდა აღწერილ ას. ხოლო ოდეს მოიწია ქამი
აღმართებად სუეტი იგი ბირეველ მოქსენებული, იწყეს ხუროთ
მათ აღმართებად“ ...

ამ აღვილის მიხედვით, სვეტის საშინელი ხილვა უნდა
ამის წინ იყოს მოთხრობილი, მაგრამ შატბერდისეულშიაც,
სხვა ძეგამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრებებშიც სვეტი-ცხოვე-
ლის შესახებ ბოლოსაა მოთხრობილი და არა თავში. ეს ნაწყ-
ვეტი გაშასადამე ამტკიცებს, რომ იმ ნინოს ცხ.-ში, საიდანაც
უნდა იყოს ამოღებული ეს თავი, სვეტის შესახები თხრობა
პირველად ყოფილი აღწერილი. შემდეგ წა ნინოს ცხოვრება
სამღვდელოების საბერძნეთით მოსვლის მოგვითხრობს (გვ. 50):

„მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღვდელთ-მო-
ძღვარი, მღვდელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლის ცემად,
გათარცხა ზემდა აწერილ ას. ... ზემოთ კი არაფერა ნაწე-
რი სამღვდელოების მოსვლის და ხალხის ნათლის ცემაზე. ეს
ნაწყვეტიც უფლებას გვაძლევს კიფიქროთ, რომ უძველესს ნი-
ნოს ცხოვრების მოთხრობის შეს-რიგი ისეთი არა ყოფილა, |
როგორიც შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაშია.

„მაშინ (ibid. გვ. 3) მოიხუნეს საწერელნი“, ვკითხულობთ
ცხოვრებაში, „საღმე უჟ: რმედმან და სიგნიელმან შერთვაგრა
და იწყო სიტყვად წმიდა მან ნინო და იგინი წერდეს“. მწე-
რალი ორი ყოფილა, აღბად, როცა ერთი დაიღლებოდა, მეო-
რე დაიწყობდა წერას; ამიტომ შატბერდისეული ნინოს ცხოვ-
რება ამ ორ ადამიანის ჩაწერილი უნდა იყოს. მართლაც, სა-

ლომე უერმელის ნაწერი მკითხველს ხშირად შეხვდება. სივნიერ პეროფერას კი შატბერდისეულ ცხოვრებაში არაფერი არ ეკუთვნის. სალომე უერმელის სახელიც რომ არა ყოფილიყო სათაურებში მიწერილი, მაშინ ჩვენ ამ გარემოებისათვის არავითარი ყურადღება არ უნდა მიგვექცია, მაგრამ რაკი ერთის ნამუშავარი აღნიშნულია, აღმად მეორისაც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში გამოუტოვებიათ. ეს რამდენიმე მაგალითიც მგონისაკმაო უნდა იყოს, რომ დავრწმუნდეთ, რომ შატბერდისეულ ნინოს ცხოვრებაში ზოგიერთი სათვალავები არეულია, სათაურები, თავების წესრიგი შეცვლილი და ზოგან კი მოთხრობაც გადაკეთებულია.

მაგრამ თავი დავანებოთ სათაურ-სათვალავებს, ნუ დავივიწყებთ, რომ შატბერდისეული ნინოს ცხოვრება ვარჩმუნებს, ცხოვრება ნინოს ნამბობია და მის თანამშრომელთა მიერ ჩაწერილიათ. თუ ეს რწმუნება ჩართალია, მაშინ სათაურების შეცვლას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ქადაგებით დამაშვრალი, ლონე მიხდილი წა ნინო ს. ბუდში სარეცელზე განისვენებდა და თავის ახალ სამწყსოს სულთმობავი სამუდამოდ ეთხოვებოდა. აქ მოეყარათ თავი სამეფო სახლობას, დიდებულთ და მის მახლობელ თანამშრომელთ, რომელნიც ჰკითხავდნენ ნინოს მის ვინაობას და ცხოვრების თავ-გადასავალს: „ვინამ ანუ ვითარ მოშუერ შენ, ქუცყანასა ჩუბნსა მაცხოვრად ჩუბნდა, ან უ სადამე იყო იმზრდად შენი, დედოფალო, მაუწყე ჩუბნ საქმე შენი, რაც იტყვა ტყვეობასა, ტყუეთა მხსნელო სანატრელო“... (ibid. გვ. 2). წმიდა ქალწული სთანხმდება და სამწყსოს თავის თავ-გადასავალს უამბობს: „მაშინ მოიხუნეს საწერელნი სალომე უერმელმან და სივნიელმან პეროფერა და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და ივინი წერდეს“. (ibid. გვ. 3) ეტყობა. სიტყვა-სიტყეით სწერდნენ, „შემდგომითი შემდგომად:“ შატბერდისეულ ცხოვრებაში წა ნინო თვით უამბობს მკითხველს თავის ბედ-ილბალს, ჩამომავლობას, აღზრდას და სხვ....

როგორც ზემომოცვანილ წინადადებიდანა სჩანს, სამეფო სახლობის და წმინდანის მოწაფეებს ნინოს უკანასკნელ წუთამდის არა სკოდნიათ, ვინ იყო ქალწული მქადაგებელი. თუმცა კი იმავ წიგნში რამდენიმე ფურცლის შემდეგ წა ნინო თითონვე გვიამბობს (ibid. გვ. 26), რომ კერპების შემუსვრის შემდეგ მეტესე დღეს მასთან სეფე ქალი შროშანი მოვიდა, და ჰკითხა მას „ყოველი გზა მისი“; ნინომ უამბო („ოდეს ცნა ყოველი საქმე ჩემი“.) დაწვრილებით თავისი თავისი თავ-გადასავალი. მისი მოთხრობა მოქმედობს შროშანაზე და ნინო შეამჩნევს „თეალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოებისა მისი სათვას (ibid. გვ. 26)“. ეს ადგილი ცოტა არ იყოს ზემო მოცვანილ ნინოს თანამოღვაწეთა სიტყვებს ეწინაღმდეგება და გვიჩვენებს კიდეც, რომ ნინოს ეინაობა სამწყსოს წმინდანის სიკვდილის წინადვე სკოდნია, ჰირველ ხანებშივე თვით მქადაგებელს უამბნია თავგადასავალი.

ასე უნდა მომხდარიყო კიდეც! თუნდაც რომ ეს ადგილი არა ყოფილიყო „შატბერდისეულ“ ნინოს ცხოვრებაში, თუნდეს ადგილიც ყალბად ჩაგვეთვალა, მაშინაც შეიძლებოდა გვეთქეა, რომ წა ნინოს ვინაობა ქართველებს მოქცევის შემდეგ მაინც უნდა სკოდნოდათ. განა ახლად მოქცეულნი მისი მოწაფენი ჰირველად მას ვინაობას არ გამოჰკითხავდნენ, ან განა თვით წა ნინო ქართველების გაქრისტიანების შემდეგ დამალავდა და თავის ვინაობას? იმას ჰირველ ხანებში კიდევ შეეძლო დაემალა თავის ვინაობა, როცა ქართველობის უმთავრესი ნაწილი, თვით სამეფო სახლობა წარმართები იყენენ, მაგრამ როცა თითქმის მთელი ხალხი, მეფე მირიანი თავის სახლობით ურთ გაქრისტიანდა და ყველანი თაყვანსა სცემდნენ მას, როგორც წმინდანს, ნინოს დასამალავი რაღა ექმნებოდა? — რასაკვირველია, არაფერი, იგი უამბობდა ყველას, ეინც გამოჰკითხავდა, ხოლო მკითხველი, მგონია, ბევრი უნდა ყოფილიყო და სიკვდილის წინ თავ-გადასავალის მოთხრობა სრულებით საკირო იღარ იქმნებოდა. შატბერდისეულ წა ნინოს ცხოვრების შემთხვეველი კი გვარშემუნებს მეფის სახლობა, ნინოს მო-

წაფლი სულთ-მოპრმავ მქადაგებელს ჰკითხავდნენ ვინაობასა და თავ-გადასავალსათ. ნუთუ იმათ მხოლოდ მაშინ მოაგონდათ, რომ წმინდანის ეინაობის შეტყობი საჭიროა, როცა ქალშული წუთი-სოფელს ესალმებოდა და მხოლოდ ორიოდე დღე-ღა, ან იქნებ თრიოდე სათის სიცოცხლე დარჩენოდა. შატბერდისეულ ცხოვრების ავტორი კი იმდენს ალაპარაკებს მომაკვდავ ნინოს, რომ ერთმა ადამიანმა ვერც კი შესძლო ნაამბობის ჩაწერა... ერთი ქალი რომ დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა ხოლმე წერა!

ცხადია, მგრინი, რომ შატბერდისეულ წა ნინოს ცხად-რების ავტორის წნობა, გითამც ნინოს საჯვდალის წან გამ-ბნების თავგადასაკვალი, დასაჯერებელი არ არის, ამის შესახებ ქვემოდ კიდევ კვექნება საუბარი და მაშინ უფრო ცხადად და-რწმუნდებით, რომ შატბერდისეულ ცხოვრების ტექსტი ვერც ნინოს ნაამბობად ჩაითვლება და ვერც იმის თანამედროვეთა და თანამოღვაწეების ნაწერად. აი ამის საბუთიც:

ნინოს ნაამბობს ზედ მისდევს სიდონიას აღწერილი თხრო-ბა კვართის მოტანის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით სიდონიას ნაწერს თავი დავანებოთ და პირდაპირ ამ ცხოვრების მე-13-ე (იგ) თავის განხილვას შევუდგეთ. ეს მე-13-ე თავი ეკუთვნის იკობ მღვდელს, რომელიც საბერძნებოთ მოსულ სამღვდელო-ებას მოჰყვა და ყველაზე უფრო დაახლოვებული იყო ნინოს-თან; წა მქადაგებელმა სიკვდილის წინ კიდეც უბრძანა მთავარ-ეპისკოპოზს, შენ მოადგილედ იკობი აკურთხეო (იხ. ქართლის მოქც. ხრონიკა, სამი ისტ. ხრ. გვ. 2). როცა ჯვარი პატიო-სანი აღმართეს, ნინო სამღვდელოებითურთ მცხეთით ჯერ კიდევ არ დაძრულიყო (იხ. ვარ. ნინოს ცხ. თავი იგ, მეტადრე გვ. 55 და 59.). მაშასადამე რასაც იკობ მღვდელი აგვიწერს, უქმეველია თვალით ნანახი ექნება; მართლაც, იმის სიტყვები-დან ცხადადა სჩანს, რომ ჯვარი პატიოსნის აღმართვაში მონა-წილეობა მიუღია, მაგ... (ibid. გვ. 56) „და ესე (ხე) ძღვენა-თეთ თუესა მარტსა“... (ibid. გვ. 57)... „მაშინდა გიწევთ ნე-ტარისა ნინოხსა კითხვად“... (ibid. გვ. 58) „ხოლო ესე... პა-

ტიოსანი ჯვარი მცხოვრისა აღგაშეართ კელითა კაცობრივითა და მივედით ბორცუსა-მას ქვეშე... და ვათიერ ღამე და ვიღო-ტევდით ღუთისა მიმართ“... (ibid. გვ. 59) და დასდევა ერთსა ქუსა და შექა მე“... ამ სტრიქონების ავტორს, რასაკირველია, პატიოსანი ჯვარის აღმართვა უნახავს, მაგრამ ახლა იმასაც ყური დავუგდოთ, რას გვეუბნება ეს თხრობა პირველ ფურ-ცლებზედვე (გვ. 56): „მაშინ ძირისა ზედა აღმართეს (ხე ივ) კარსა ეკულესისა სამხრეთსა და ჰერკეილა წყალთაგან ნიავი დღ [ალვი]და ფურცელ[თა] ხისა მისგან და ძრევდა რტოთა მის-თა და იყო ხილვად მისი შეენიერ და სულპამო, ვითარდა სმენით გაციოთ ხისა მისთვის ადგისა“...

„ვითარე სმენით ვიციო“-ო! მერე განა იაკობმა სმენით იცოდა ეს ამბავი? ავტორს ავიწყდება თავისივე სიტყვები „ჩენ მოკვეთეთ თუესა მარტსა“-ო. თუ მოკვეთეს და ხის მოქრას დასწრებია, მაშ სმენა რაღა შეუშია?—ცხადია, რომ უკანასკნელი ნაწყვეტი იმ ავტორის დაწერილი არ იქნება, რომელსაც ზემო-მოყვანილი წინადადებები უნდა ეკუთვნოდეს; უეჭველია, ისიც, რომ იაკობი იმისთანა თხრობას არ დასწრებდა, საკა იმის შესახებ იმგვარი ცნობებია, რომელნიც ერთი-ერთმანერთ ეწი-ნააღმდეგებიან და არღვევენ. ეს თხრობა ან თუ სსეგა-და-სსეგა წერილი უნდა იქნას შედგენილა, ან ერთი რომელიმე წერილი ქნება უშნოდ გადატეკობულა.

მაშასადამე, შატბერდისეულ წია ნინოს ცხოვრებაში შეტა-ნილი თხრობა ჯვარი-პატიოსნის შესახებ იაკობს არ ეკუთვნის და იმისი სახელი ტყუილადაა აღნიშნული სათაურში.

თუმცა ცხოვრების შესწავლამ დაგვარწყონა, რომ შატ-ბერდისეულ წია ნინოს ცხოვრების თითქმის ყველა ის ნაწილები, საკა ერთ-ერთი ნინოს თანამშრომელი ავტორიადაა მოხსენებული, ძალიან გადაკეთებული უნდა იყოს, ამ ცხოვრების შესავალიც (ანუ წინასიტყვაობა) თავიდან ბოლომდის შეთხ-ზული და ყალბი, მაგრამ ამ დასკვნის შემდეგაც ჩვენ, რასაკირველია, არ შეკვიდლიან მთლად ნინოს ცხოვრების ყოველი-ვე ისტორიული ღირსება უარვჰყოთ: შესავალი შეეძლო შემ-

დეგ ვისმე შეეთხზა და ცხოვრებისათვის დაემატებინა, მეორეს მხრით გადაკეთებულ და დამახინჯებულ ნაწილებშიაც შესაძლებელია ბევრი ისტორიისათვის საჭირო ცნობები აღმოჩნდეს; მაშასადამე, ჩვენ ეხლა შატბერდისეული ცხოვრების შინაარსის ისტორიული ღირსება ზედმიწევნით, დაწვრილებით უნდა გამოვიყვლიოთ, ამასთანავე გავიგოთ, რამდენად ძველი უნდა იყოს ცხოვრების თვითეული ცნობა.

შრომის გაასადვილებლად შატბერდისეული ნინოს ცხოვრება რამდენიმე ნაწილად გავყოთ და თვითეული ცალცალკე გაეარჩიოთ: 1) ნინოს ჩამომავლობა, დაბადება, აღზრდა, ვიდრე თორმეტის წლისა შეიქმნა, 2) ნინოს ქადაგებრივი მოღვაწეობა საბერძნეთში საქართველოში მოსვლამდე, და 3) ნინოს ქართლად მოსვლა, ქადაგება და ხალხის მოქცევა.

გიორგი კაპადუკიელის წამების დროს *) კაბადუკიაშივე ცხოვრობდა ერთი კაცი სახელიად ზაბილონ, რომელიც „წარვიდა ჰრომედ მეფეთა წინაშე მსახურად და ნიჭის მიღებად“. ამ დროს ბრანჯნი ჰრომთ თავს დაეხსნენ, მაგრამ „მოსცა ღერთმან ჰაბუქა მას კაბადუკიელსა ძალი უძლეველი და... წარაქციონა სიელტოლად“. დატყვევებულ ბრანჯებმა ქრისტიანობა მიიღეს და სიკედილი თავიდან აიცდინეს. ზაბილონი ბრანჯებს მათ სამშობლოში გაჰყვება, საიდანაც დიდძალის საჩუქრით სატახტო ქალაქსვე დაბრუნდება. სახელმწიფო სამსახურს თავს ანებებს და იერუსალიმს მიდის. ეს ზაბილონი—წია ნინოს მამა გახლავთ.

*) სამეცნიერო აკადემიის (№ 37) ნინოს ცხოვრება გიორგი კაპადუკიელის ზაბილონის თანამედროვეობას აღარ კმარობს და ამბობს: „იყო კუი ვიზე (ზაბილონ) თაზიარი და მეგობარი მწისა (გიორგისი). ვახუშტის ისტორიაში კიდევ ეს მგობრობა ნათესაობა და ხდება (საქარ. ისტ. გვ. 56)... უიყო კაცი კაბადოკიას ნათესავი წმიდისა გიორგისა მთავარი და მონაღვთისა ზაბილონ“. აი საუკონი იმის ნიმუში, თუ როგორ მახინჯდება ისტორიული ცნობები.

ზაბილონის დროსვე ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც
ორი შეიღი ჰყავდა: — ე იობენალი, — შემდეგ იერუსალიმის
პატრიარქობას მიიღებს, როგორც ნინოს ცხოვრება მოვცით-
ხრობს, — და ასული, — სუსანა; იობენალი რომ იერუსალიმის
პატრიარქად იყო, სუსანა ძმასთან იერუსალიმში ცხოვრობდა;
იერუსალიმად მოსული ზაბილონი სუსანას ცოლად ითხოვს. ამ
სუსანას და ზაბილონის შეიღი იყო კიდეც წა ნინო. თორმე-
ტისა წლისა რომ გახდა, მისმა მშობლებმა თავინთი სარჩო-
ქონება გაყიდეს და მამა მეუდაბნოედ წავიდა, დედა პატრიარ-
ქმა იობენალმა გლოხაჟთა მსახურად დანიშნა.

ადეილი მისახვედრია, რომ გიორგი კაპადუკიელის წამე-
ბა ამ ცხოვრებაში ნინოს დაბადების თარიღის მიგივრობასა
სწევს, ხოლო პატრიარქი იუბენალი და ძლევამოსილი ზაბი-
ლონი — ბრანჯთა განმანათლებელი — წა ნინოს ბრწყინვალე
ჩამომავლობას უნდა გვიჩვენებდეს. თუმცა გიორგი კაბადუკი-
ელის წამების წელიწადი რას გვიშველის თარიღის გამოანგა-
რიშების დროს, როცა ნამდვილად არ ვიცით, რამდენ წელი-
წადს უნდა გაევლო გიორგის წამებიდან ზაბილონის დაქორ-
წინებამდე, ან იობენალის პატრიარქად კურთხევამდე? უამისოდ
ხომ ნინოს დაბადების წელიწადის გაგება ყოვლად შეუძლე-
ბელია. ამ ცხოვრებაში რამდენიმე ქრინოლოგიური ცნობაა;
ეს თარიღები თუმცა ნინოს დაბადებას არ შეეხება, მაგრავ ამ
ცნობების საშუალებით იქნება ნინოს დაბადების დრო როგორ-
მე გამოირკვეს.

ეს თარიღები ნინოს ქართლად მოსელას და მის სიკედილს
შეეხება.

„გარდაედეს (ახ. გარ. ნინოს ცხ. გვ. 30) ქრისტეს მოს-
ვლადმდე წელი „კფ“ *), შობითგან ქრისტესით ვიდრე ჯუარ-
ცმამდე „ლგ“ და ჯუარცუმითგან ქრისტესით ვიდრე კონსტან-
ტინე ბერძენთა მეფისა მონათ ვლამდე „ტია“ და ათ-ოთხმე-

*) ახ. ამის შესახებ „აღვადგინე“ ბ. ჯანაშვილისა გვ. 43, 68.

ტისა წლისა შემდგომ მოივლინა ქუეყანასა ჩეცნსა ქადაგი კეშ-
მარიტებისად ნინო დედოფალი ჩუენი“... ამ ნაწყვეტიდანა
ჩანს, რომ მთლად ნინოს ცხოვრების წელთ აღნიშენა კონ-
სტანტანე მეფის მონათელის თარიღზეა დაშარებული; ამ თა-
რიღის სისწორეზეა დამოკიდებული, რასაკვირველია, დანარჩე-
ნი ნინოს ცხოვრების წელთ აღრიცხვის სისწორეც.

შობითგან ქრისტესით ჯვარცმამდე ლგ 33
ჯვარცმითგან ქრისტესით კონსტანტინეს მონათ-
ვა 311

მეცნი კონსტანტინე, მაშასადამე, მოინათლა მატი-

ანისამებრ 344 წელს ქ. შობითვან . .

ამ დროს კონსტანტინე მეფე სწორედ შვალი წლის მკვდარი იყო. წა ნინო მოვიდა საქართველოში კონსტანტინე მეფის მონათვლის შემდეგ მე-12 წელს, კ. ი. $344+14=358$ წ. ბაშასალამე წა მქალაგებელი გარდაცვლილა $359+15^*)=373$ წ.

წა ნინო საქართველოში რომ 358 წ. მოსულიყო პ. მი-
რიანს კონსტანტინებისთან მოციქულები ($358+8=$) 366 წ.
უნდა გაეკვივით, რადგან მარიან მეცვე ნინოს მოსულის შემდევ
მე-7 წელს *) გაქრისტიანდა და მხოლოდ ერთის წლის შემ-
დევ მიუღიავნა მოციქულები კონსტანტინეს.

ყველა ჩვენი თარიღები, რასაკვირეელია, სწორე არ უნდა
იყოს, იმიტომ რომ კონსტანტინე მეფის მონათვლის შელიწა-
დი, რომელზედაც დაწყიარებულია წელთა აღრიცხვა, აშკარა
შეცდომაა. მაგ. ქართველებს რომ 366 წელს გაეგზავნათ სა-
ბერძნეთში მოციქულები, განა კონსტანტინე მეფესთან გაგ-
ზავნიდნენ? იგი 337 წ. გარდაიცვალა და 29 წლის განმავ-
ლობაში უეპველია გაიგებდნენ მცხოვლები კონსტანტინეს
სიკედილს. შატბერდისეული ნინოს ცხოვრება კი, დანარჩენე-
ბიც, აგრეთვე თვით „მოქცეულ ქართლისად“ გვარშმუნებენ,
მირიანმა მოციქულები კონსტანტინე მეფეს გაუგზავნაო. შეიძ-

*) იხ. სამი ისტ. ხრ. გვ. 20.

**) ის. სამი ისტ. ხრ. „მოქალაქეთა.“ ვ. 15.

ლება ვინმე იუიქნოს, რომ კონსტანტინეს სახელი უძევლე-
სის დედანში არა ყოფილიყოს და შემდეგ შეცდომით ვისმეს
ჩაემატებინოს, მაგრამ ამ ნაირი ფიქრი უსაფუძვლოა, იშიტომ
რომ მე-IV საუკუნის ბიზანტიელი მწერალი (თანამედროვე
ქართლის მოქცევისა) რუფინიც ქართულ მატიანეს ეთანხმება *):

«Postea vero quam Ecclesia
magnifice constructa est et po-
puli fidem Dei majore ardore si-
tiebant, captivae monitis ad Im-
peratorem Constantinum totius
gentis legatio mittitur»...

ხოლო მას შემდეგ როკა
ეკვლესია ბრწყინვალედ ალექ-
სანდებულ იქნა და ხალხს სარ-
წმუნოება ღვთასა მხურვალედ
სწადდათ (სწყუროდათ), ტყვეს
რჩევისამებრ იმპერატორ კონ-
სტანტინესთან მთლად ერის მი-
ერ დესანები (ელჩობა) გაგზა-
ვნილ იქნენ.

ამგვარად, ქართლის მოქცევის თანამედროვე ბაკურიუსის
(რუფინის) მოწმობაც ცხადად გვიმტკიცებს, რომ მირიანს მო-
კიქულები კონსტანტინესთან გაუგზავნია. მაშინაზამე, მას დე-
სპანები საპერძეოთში მხოლოდ 337 წლამდე შეეძლო გაევზა-
ვნა, რადგან ამ წლის შემდეგ კონსტანტინე მკვდარი იყო. ამის
დაგვარად, ნინო მოსულა 329 (337—8) წ. და შატბერდისე-
ულ ცხოვრებას 29 წლით შესცდომია. წა ნინო მოკვდებოდა
344 (=339+15) წ. და არა 383, როგორც შატბერდისეული
ცხოვრება ამტკიცებს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ნინოს ცხოვ-
რების ქრონოლოგიური ცნობები, როგორც ნინოს ქართლად
მოსვლის და სიკვდილის, ისე კონსტანტინეს შესახებაც, სწო-
რე არ არის; მაგრამ ვერც „ქართლის მოქცევა“-ს ცნობები
გახლავთ უკეთესი: ნინო გარდაიცვალა ქართლად მოსვლით
გან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს ამაღლებითვან ტლი
წელსა, დასაპამითვან ჭყლი. (იხ. სამი ისტ. ქრ. გვ. 20).

*) იხ. Rufinus. Historia Eccles. lib. I cap. X de conversatio-
ne gentis Iberorum per captiuitam facta.

ქულტ — 5838

—ქფ*)—5500

ტლტ — 338 წ. ამ წელს მომკვდარა წა ნინო, თუ წელთ
აღრიცხვის საფუძვლად დასაბამითგან გამოანგარიშებული თა-
რილი იქნება.

ტლტ — 338

+ ლგ — 38

ტოა — 371 წ. მომკვდარა ნინო, თუ ქრისტეს შობითგან
ვიანგარიშეთ.

358 + 15 = 473 წ. მომკვდარა წა მქადაგებელი, თუ იმის
ქართლად მისვლითგან ვიანგარიშებთ.

ასე ეწინააღმდეგება ერთი თარილი მეორეს და სამივე
საერთოდ ზემო მოყვანილ, დაახლოვებით ზაინც სწორს ქრო-
ნილოგიურ ცნობებს.

ჩვენ დავრჩმუნდით, რომ შატბერდისეული წა ნინოს ცხო-
ვრების თარილებს ისტორიისათვის არაეითარი მნიშვნელობა
არა აქვს და წა მქადაგებლის დაბადების წელიწადის გამოსაან-
გარიშებლად ხომ სრულებით გამოსადევარი არ არის.

თავი დავანებოთ ეხლა თარილებს და ნინოს ჩამომავლო-
ბის გამოკვლევას შევუდგეთ. ნინოს მამა და ბიძა შესანიშნავი
მოღვაწეები იყვნენ: პირველი — ძლევამოსილი სარდალი, ბრან-
ჯთა უკუმქუველი, ხოლო მეორე იერუსალიმის სამწყსოს
მღვდელ-მთავარი, პატრიარქი. ისტორია ამ გვარ კაცების სა-
ხელსა და ღვაწლს იშვიათად ივიწყებს ხოლმე; მივმართოთ
მას და შეეიტყოთ ისტორია რალს გვეტყვის. განსვენებულმა
მეცნიერმ მ. ბროსესემ დიდიხანია აღნიშნა **), რომ მეთხე
საუკუნეშა რაც ერთ იერუსალიშედ მღვდელ-მთავარს სახელი-
თუბენადი არ რქმევია. ამას უნდა დაურთოთ უფრო საყურად-

*) იხ. ჯანაშვილის „აღვადგინე“, გვ. 43, 68.

**) Brosset. Hist. de la Géor. I გვ. 92.¹)

ლებო შენიშვნა იმის შესახებ, რომ მე-4 საუკუნეში იქნესა-
ლამში პატრიარქთა ჯერ დაწესებული თაც კა იყო. მხოლოდ
ეფესოს მსოფლიო კრების (431 წ.). შემდეგ, როცა ამ კრებამ
არ შეიწყნარა იერუსალიმელ ეპისკოპოზი იუბენალის თხოვნა
იმას შესახებ, რომ იერუსალიმს პატრიარქისა და წერილის პატ-
რიარქისა მიაჩინა (იხ. Kurz. Lehrbuch der Kirchengeschichte. გვ.
193), ამის გამო, თუნდაც რომ მე-4 საუკუნეში, ერთ-ერთ იერუსა-
ლიმელ მღვდელ-მთავარს იუბენალი რქმეოდა, ე. ი. წია ნი-
ნოს ბიძა რომ მართლაც მე-4 საუკუნის ისტორიაში ცნო-
ბილ პირად ყოფილიყო, მაინც ცხოვერებაში მას პატრია-
რქი არ უნდა რქმეოდა. ხოლო რადგან მე-4 საუკუნეში არც
ერთ იერუსალიმელ მღვდელმთავარს იუბენალი არ რქვევია,
იერუსალიმში კიდევ პატრიარქისა მხოლოდ მე-5 საუკუნის
ნახევარში დაწესეს, ამიტომ წარ ნინოს ბიძას სახელწოდე-
ბაც, თანამდებობაც, თავგადასაგადაც მოგონადა და შეახვევდი
უნდა იყოს. შეიძლება, ცოტად თუ ბევრად დაახლოვებით გა-
მოვირკვით, როდის უნდა იყოს შეტანილი ნინოს ბიძას
შესახები თქმულება ცხოვერებაში. მე-5 საუკუნის შემდევ ბევრ
ხანს უნდა გაერა, რასაკვირველია, რომ ამ საუკუნის მოღვაწე
ცხოვრების დამწერს მე-IV საუკუნეში გადაესკუპებინა და თა-
ნაც ისეთი თანამდებობა მანიქებინა, რომელიც მე-IV საუკუ-
ნეში არ არსებობდა. „მოწვევად ქართლისად“-ში ერთი ამ გვა-
რივე შეცდა უმა მოიპოვება (სახანელთა სატახტო ქალაქად ბალ-
დადია დასახელებული *) და შატბერდისეულ წია ნინოს ცხოვ-
რებაში მეფე შირიანი ახალ სპარსულს ლაპარაკობს **); შესაძ-
ლებელია, რომ ნინოს ბიძას შესახებ თქმულებაც იმავ დროს
შეეტანოთ ცხოვრებაში, როცა ზემოხსენებული შეცდომებია
შეტანილი, ესე იგი მე-VIII—IX საუკუნე. იმ აზრს, რომ წია მქადაგებლის

*) იხ სამი ისტ. ქრ. გვ 35, და ხრისტიან. Чтеніе 1898 г. წერილი
მრ. ბოლოტოვისა, გვ. 255.

**) მარუბა—ხითონ გospodenъ.

ବିଦୀର୍ହା ଏଣୁ ନାହିଁ କାହାରଙ୍କାଳା ପୁନତ୍ତିଲା କୁ ଏଣୁ କିମ୍ବାଦେଇ-
ତିବ୍ରାତାରୁ, ବର୍ତ୍ତା ଏଣୁ ନାହିଁ କାହାରଙ୍କାଳା ପୁନତ୍ତିଲା କୁ ଏଣୁ କିମ୍ବାଦେଇ-
ନିନିନ ମର୍ଦ୍ଦାଦିଗାନ୍ଧାରୁ କାହାରଙ୍କାଳା ପୁନତ୍ତିଲା କୁ ଏଣୁ କିମ୍ବାଦେଇ-
ବିଦୀର୍ହା ଏଣୁ ନାହିଁ କାହାରଙ୍କାଳା ପୁନତ୍ତିଲା କୁ ଏଣୁ କିମ୍ବାଦେଇ-
କୁରୁକ୍ଷୁଲାଦିଗାନ୍ଧାରୁ, ଏଣୁ ନାହିଁ କାହାରଙ୍କାଳା ପୁନତ୍ତିଲା କୁ ଏଣୁ କିମ୍ବାଦେଇ-

ଏହି ଜ୍ଞାନକାନ୍ଦିଶାରୁ

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପଞ୍ଚମା)



„ცხოვრება და ხელოვნება“

ჯარილი მთართშიათ

ტოლსტიის ახალი რომანი „აღდგომა“

ორი მთავარი მიმართულება კაცობრიობის აზრისა და გრძნობისა იძრძების მუდამ ჟამს და, კინ იცის, დამთავრდება კი ღდესმე იგი ბრძოლა? მოქედება ოდესმე ამ დაუსრულებელს ბრძოლას მშეოდნებანობა, შეთანხმება და შერიგება? თუ ამ ბრძოლას როგორც დასაბამი არა ჭირია, ისე დასასრულიც არ ექნება და ურაგელთვის, მარადის, კაცობრიობა იქმნება და ტრანჭული საუკუნო რევილ თა მებრძოლ მსარეთა შორის? არ კაცია. და ეს კი კაცით დანამდგილებით, რამდენადაც წარსული გვასწავის და აწყო ამას გვაჩვენებს, რომ კაცობრიობისათვის უკავშირ შეუძლებელია, რომელიმე მებრძოლთაგანის მსარე დაიწიოროს, ისე, რომ მეორეზე თვალი და გული არ დარჩეს და ერთ დროს ამ მეორესაგენ არ გადაკიდეს, რომ მერე ისევ წინადელ მეგობარს დაუბრუნდეს. — რა მიმართულებაა ეს ორი მიმართულება, რა ჭირიან ამ თა მებრძოლ მსარეს, რომელიც ბედ-შავ კაცობრიობის გულსა და სულს, აზრისა და გონიერის ჭირებისა და სწირების? ეს გახდავათ ბრძოლა სულისა და გონიერისა ხორციან და სსეულთან, ბრძოლა სულის მოთხოვნილებათა ხორცის მოთხოვნილებასთან, ან თუ გინდათ სარწმუნოებრივი სახე მივცეთ, ეს გახდავათ ბრძოლა კერძობისა ქიბის-ტიანობასთან. მოთხოვნილება ხორცისა, — ეს იურ უმთავრესია საგანი, რომელსაც ემსახურებოდა ბერძნთა და რომაელთა კულტურა;

მოთხოვნილება სულისა, — ეს იყო უმთავრესი საგანი, რომელიც დაადგინა ქრისტიანობაშ პერძენთა და ოომაკლია ცივილიზაციის ნანგრევებზე და რომელიც მისცა პრინციპებს და მთავარ-აზრიად განახლებულს ქაციმუნიობას და მას აქეთ იგი დაედგა სარჩევლად საქან-სტანო ერის ცივილიზაციის და კულტურას. ფალისოფერის მიმართულების დასახასიათებლად მიღებულის სიტუაციათ რომ კოქით, საბერძნებისა და ოომის ცივილიზაცია უმთავრესად ნატურალისტური, მატერიალისტური იყო, ხოლო საქრისტანო კურობას — სპირი-ტურისტური და იდეალისტური. რაც უნდა ზემოდებადათა და ასაღისა საქრისტანო კურობის ისტორია, თქვენ დაინასაყო ამ მიმართულების მკაფიოდ გატარებულს თორ ცივილიზაციის მსკლელობაში. — საბერძნებით და რომი უმთავრესად ემსახურებოდა ხორცის მოთხოვნილებას, ხოლო საქრისტანო კურობაში თავისის მსკლელობის მთავარ დედა-აზრიად აღიარა სულის მსახურება. ეს სრულიადაც იმას არა ნაშავს, რომ საბერძნებისა და ოომში არ ჰქონიდეთ წარმოდგენა სულის მოთხოვნილებაზე ან და ამ ძეგლ ცივილიზაციის არ მოეცეს ზენ-მაღალი და დიდებული მორალისტები, რომელიც სრულიად არ ჩამოუკარდებიან ქრისტეან მორალისტებს (სოკრატი, პლატონი, სტაიგისები), — მაგრამ უმთავრესად და უმეტესად ძეგლი ჰქონების ცივილიზაცია ხორცის მოთხოვნილებას ამღვდა უპირატესობას; საქრისტანო კურობაც არ იყიდებდა, ხორცის ადამიანისას და ძეგლი კურთ-თავებანას-მცემელთა აზრი და გრძნობა სათავეანებელ საგნად შეაქმნა ამ კურობისათვის განათლების და ოფიციალურის კურსებში, ხოლო მაინც აქცე 1900 წლის საქრისტანო ისტორიაში უპირატესობა სულის ჰქონდა და აქვს მინიჭებული.

ძეგლის ჰქონების (საბერძნებისა და ოომის) ისტორიაში დაგვიმტება, რომ ადამიანის და ადამიანთა კუბულს საზოგადოებას არ ძალა-უძმს «შეკრითა მხოლოდ ერთითა ცხონება», — ადამიანის და საზოგადოებას, რომლის იდეალიცა მარტი ხორცის განცხრობა, მარტი ხორცის მოთხოვნილებათა დამსურველება — მოედის მოსპობა და გაცამტება. ერთი უცნაური რამ სხანს კადუკ ამ ისტორიიდან — ის საზოგადოება, ის ცივილიზაცია, რომელსაც ხორცი გაუსდა

ცხოვრება და ხელოვნება

ცხოვრების უმთავრესის პრინციპი და ამ პრინციპის სამსახურისათვის შეუღება თავისი ძალ-ღონები, კედლი შეითვისებს ახალს პრინციპს—სულის გაბატონებას—და ამ სულიერის პრინციპის თან-და-თანი განმტკიცება ძირის უთხრის შეცდის პრინციპზე აშენებულს საზოგადოებას. საბერძნეთი და ორმი უნდა განახლებული, უნდა გადამდნარიყო და ამგარად განახლებულს კაცობრიობას მსოფლოდ შექმნა ახალის, დიდის პრინციპის გაღმერთება.

საქრისტიანო კვრობა თხუთმეტი საუკუნე ემსახურა ამ ახალი პრინციპს—სულის და სულის მოთხოვნილებათა დაგმაყოფილებას. მაგრამ ცხოვრებამ ამცნო, ორმ ძევლა პრინციპი სორცის თავავანის-ცემისა უბრალო ჩეკულება კა არ ყოფილა გადაღებულის საბერძნებოსა და ორმის კულტურისა, იგი ძირითადი მხარე იყო კაცის—ადამიანის და საზოგადოების არსებობისა. გამოცდილებამ ამცნო, ორმ, ორგორც მარტო სორცის დაგმაყოფილება არა კმარა და არ არის სელ-საყრელი, აგრეთვე მსოფლოდ სულის გაბატონება და ხორცის კა დათვეუგნა კაცობრიობის არსებობის მთავარ-მოთხოვნილებათა მივიწუებაა, ცალ-მხრივი დაგმაყოფილებაა კაცობრიობის საწადელთა და ამოტიმაც არა სანგრძლივი, არა საფუძვლიანი. ამ გამოცდილებამ გამოიწეა სანა განახლებისა და რეფორმიციებისა, ორჯესაც საბერძნებოსა და ორმის კერძეულა კულტურა გაღმერთებული იქმნა და ორცა ქრისტიანულ სარწმუნოებაში აზრთა ანდრეგა მოხდა. მაგრამ, ორგორც ძევლა ქვემნებმა კერ შეიოვისეს მათვის უცხო პრინციპი — საქრისტიანო კვეუნისაგან წამოუწებული, ისე კერც საქრისტიანო კრმა, ორმედიც არსებოთად გამსჭიალებული იყო სულის მოთხოვნილებათა თავავანისცემით — ძევლი — კერძეული პრინციპი კერ შეითვისა. მაგრამ საუკუნის მეორე მეოთხედიდან კელაკ უკროად საქრისტიანო კვრობა მიეცა სასოწარევეთილების. სული ტებილია, მაგრამ ხორციც ტებილი აღმოჩნდა, ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი შეიქმნა და ისეგ ძევლ ქვემანთა კულტურის ტრიალი შემოვიდა ხმარებაში.

ამ საუკუნის საუკუთხმო შეიძლთა ტანჯვა და კაება, სულიერი შეუხარება და სევდა ერთის აზრით შედეგია სწორედ იმ გამოურგეველობისაც, ორმედიც გამოიწეა ხორცისა და სულის კულტურას

შორის რეეგამ. თანამედროვე ადამიანი, რომელსაც გრძნობა და გრძება აქვს, რაც არ უნდა იყაროს, შეიღია საქრისტიანო ცივილიზაციისა; მასში დრმადა აქვს გამჭდარი ფესტები ამ ცივილიზაციის; უმთავრესს პრინციპებს—მაგრამ ეს ადამიანი—ადამიანია, ისე, როგორც ძევლი ბერძენი და რომაული, როგორც განახლების ეროვნის იტალიელი, გინდ კოლანძიელი და როგორც კაცის მეორე დიდი მოთხოვნილებაცა აქვს,—მოთხოვნილება ხორცისა. სორცის მოთხოვნილების პრინციპი კი ძევლის კულტურამ შეიძლება.—ამიტომაც ძევლის საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციაც, ძაღა-უნიბურად, ფატალურად იწავს მას. ამ ბრძოლაში, რავი ცხოვრებაში სწორედ შეა ადგილის ამორჩევა უოკლად შეუძლებელია, ზოიგიერთი არა-ნაკლებ გაცხარებულ ქრისტიანებთა ბანებში მიდის, ზოგიერთი არა-ნაკლებ გაცხარებულ კერპორაციას-მცემელთ აძლევს სედს. უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ამ სურათს წარმოადგენს და ეს სურათი მეტად წააგავს იმ სურათს, რომელსაც ძევლი ქმნება წარმოადგენდა თავისის არსებობის უკანასკნელს ხანაში.

დიდი უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ან ისეთს მდგრადარებებისა ჩაუწევს ული, როგორც ძევლი ქმნის მონაცი: განვითარებულია და არას დაეძებს, არც ქრისტიანობისას და არც კერპორაციას, მისითვის არცერთს არათერი ხეირი დაუკრია. უმცირესი ნაწილი გადაღებულია, მდიდარი, უდირდელი და ფუქსაგატი საზოგადოება, რომელსაც ხელში უკირავს თანამედროვე ცხოვრების იაღქნია, ცხიერობს, მას არც ძევლი სწამს და არც ახალი; ძევლისაც კრიანება და ახალისაც; ძევლშიაც და ახალშიაც თავისი დაცემისა და გაათახსირების საგვარეულოს ქმოულობის. ერთი კარგი ნაწილი საზოგადოებისა, ეპრედ-წლებული—საშეადო საზოგადოება, ზემოდაც მოვისესენიეთ, სცოცხლობს და ან ძევლს კერპებს უქერს მხარს და ან ქრისტე-ღმერთის ერთგული მისავი რება. ერთი მცირედი ნაწილი საზოგადოებისა, მისი შეგნებული და გრძნობიერი ნაწილი, აკა მოგახსენეთ,—ტანჯულ-გვამულია და დაუსრულებელ რეება. მის ფხიზელ გონებას კარგად ესმის ის, რაც გაცობრიობსას ისტორიაში დაგვიმტკიცა, ესე იგი, ის, რომ უოკლად შეუძლებელია კაცის ბუნების, მისი არსების დაცვა და შენახვა, თუ როიკე მოიხვინი-

ლება ამ ბუნებისა არ არის სახეში მიღებული, ესე იგი თუ სულიც და-
კმაყოფილებულია არ არის და ხორციც, გარგად ესმის, რომ რომელიმე
ამ არსებითის საგნის უუწრადღებოდ დატოვება კაცობრითბას მო-
სხიბის გზაზე დაავენებს. მოედი მისი გნენესა და კაპა მხოლოდ
იმაში მდგომარეობს, რომ მას არა ჭერს გმირი, რომელიც სარ-
წმუნოებას აღუდგენს კაცობრითბას, სარწმუნოებას, რომელიც უნ-
და ამ ორთავე პრინციპის, კაცის არსებობის თავი ძირითადი
მოთხოვნილების, დამაკმაყოფილებული იყოს. შეიძლება იმასაც
ჭიედადეს ეს ნაწილი კაცობრითბისა, რომ, მკელის შეკუნძულის
სექტრიკებისა არ იყოს, კედარც ამათმა იგარეონ ახალის სარწ-
მუნოებისა და ცხოვრებისთვის, ეს, რასაკირკელია, აღრეცებს
მათ სულის გნენესას, ხოლო თუ ისტორიული მაგალითი უტევარ
შემარტებად მასწნევინებს იმ ფაქტს, რომ, როგორც ძველ შეკუნ-
ძულის საზოგადოებაში გრ შესძლო ახალის სფეროს შეთვისება, ისე
კერც დღეგანდედი კაცობრითბა შესძლებს ასალის დაზის სარწმუ-
ნოების მოწაფეობის და მისთვის, რომ ახალი ბრწყინვალე სარწმუ-
ნოება დამკითხდეს, მიუცილებელია დღეგანდელის საქრისტიანო ერის
გარდაბადება და გადადუღება,—თუ ეს მოსალოდნებლ და აუცილებელ
მოვლენად მიიღო, მაშინ სომ მისი ტანჯვა-ვაებას საზღვარი ჩარ-
უნდა ჭრონდეს. ასევე არის და განც დაჭვევირებია დღეგანდელის ლი-
ტერატურისა და ფილოსოფიის მამრთულების, ნათლად დაინახება,
რომ შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა და ამ საზოგადოების სა-
შემთქმით ნაწილი დაუსრულებელისა და უდრმესის სასოწარგვეთმ-
ლებითა და სკედით არის მოცული. და ეს სკედა, ეს კაპა ჩვენის
აზრით, წინდი არის საუკეთესო მომავლისა.

2

ნიც შეს ზე-კაცის (Surhomme) ფილოსოფია ერთის მხრით,
თავისი ინდივიდუალიზმით, თავისი განახლებულის პერს-თავებანის-
მცემლობით, და მეორეს მხრით გრაფი ტოლსტოი, თავისი ქრი-
სტიანულის ასკეტიკის მორალით,— ა თრი გამომსატებელი დღე-

დღევანდელს ეპოქაში ამ ორის ერთმანერთის წინააღმდეგ მიმართუ-
ლებისა, რომელზედაც ზემოდ კილაპარავეთ.

ეუან ტოლისტოი იმ უმცირესთა გუნდს ეკუთხის ეგროვის
საზოგადოებისას, რომელიც დღევანდელის საზოგადოების გასხვ-
ნასა და უმსაგავსობას ზიზღითა და მკაცრის უარყოფით ეკიდება,
და ბევრი უტრისტი იმ ორგზოვობისაგან, რომელშიაც ძალა-
უნებურად ჩავარდნილია დღევანდელის საზოგადოების მოაზრე ნა-
წილი. მართალია, დ. ტოლისტოი ამ ბოლო დროს წინასწარმე-
ტებულებაც იყიდისა და ამით გვამცნო, რომ იმისი გაება და კენესა,
გამოუწეველობის შედეგი, საუკუნოდ მოისპო, მაგრამ, როგორც
წინასწარმეტებულის, მას დადი ფასი არა აქვს და არც შეუძლია დაი-
ჭიროს წინასწარმეტებულის, წინასწარმეტებულის ადგილიც; ეს წინასწარ-
მეტებულია მხოლოდ შეინახად მასთვის შეიძლება საიმოგნებისა და
კმაყოფილების მიმნიჭებული იუს, ეპოქის და საზოგადოებისათვის
კი მეტად შეძლონერი და უფრეს მოციქულია. ეპოქის და სა-
ზოგადოება მას აფესებს, როგორც ერთს ძლიერ აღმფოთებულთა-
განს თანამედროვე ცხოვრების წინააღმდეგ, როგორც ერთ დიდის
ნაჟით შემოსილს წარმომადებულს იმ ზეუფისას, რომელსაც თავი-
სის სულის ტანკებითა და გაებით გამოურკვევა მიუფილებელი კეშმა-
რიალება და ამ კეშმარიალებას თავისის ძლიერის ნიჭით ემსახურება. ეს
კეშმარიალება კი, რომელიც აღიარებულია ეგროპის საუკეთესო ნა-
წილისაგან მდგრამარებს იმაში, რომ დღევანდელის საზოგადოებას
გარეუნილსა, უზენოს, და გადაღებულს თავისი დღენი მოუკამია;
რომ იგი უსათუოდ უნდა მოისპოს და დაიღუპოს, თუ არ გარ-
დიბადება და განახლდება. მაგრამ, როგორ უნდა გარდაისადოს და
განახლდეს, რომელი ღმერთი და სარწმუნოება უნდა აღიაროს — აქ
ამ კითხვაზე დ. ტოლისტოი, როგორც უკელა მისი თანამსაგავსნი
ნიჭითა და მიმართულებით, სდემან ანა და სრულიად გამოუსადე-
ბარ, დამეტებულ რეცეპტის იძლევიან. ამ მოწინაურ რაზმის შეუძლებლობა პოზიტივურის აზრის გამორკვევისა, რომელიც უნდა შე-
იქმნეს მომავალი გაცობრიბის ათ-მცნებად — სასარებად, კადეც უფ-
რო უმატებს ცეცხლს მათ თანამგრძნობთა და მოწაფეთა სასოწარ-
მეტილებას.

ლ. ტოლსტიო, როგორც მოგეხსენებათ საფრანგეთის შვიდითა განსაკუთრებულ უკრადებას იზიდავს და აქ ჰყავს უგლიზედ შეტი აღტაცებული თავებისძიმიცემელი. საზოგადოდ რუსეთის დატერატერიტორის სახელი მაშინ გაითქვა ეპროპაში, როცა თვით რუსეთის სახელმწიფო ეპროპას სფინქსად წამოეჭიდა. რუსეთის სახელმწიფო ფონ ამ 20 წლის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკაში დადი ბიჭი წასდგა წინ და ეკროპის არა თუ პატივისცემა შეიძინა, ცოტა არ იქნას საშიშარ რამედაც შეიქმნა ეპროპისათვის. რუსეთის ებლა ისე ებად გელათაგინ აიღებს და უკედა დიდის საფრთხისილო ადგენებს მას თვალუერს და გულისცემით უნდა გაიგოს, ეს საშიშარი კებურთელა ფიზიკური ძალა ისეთსაკე მორალურ ძალას შეიცავს თუ არა. ამავე 20 წლის განმავლობაში საფრანგეთი ერთობ აიბნა, ერთობ დიდს სასოწავლებელებაში ჩავარდა დამარცხების მიზეზით მხოლოდ სირცხვილისაგან თავის დაღწევა შეიქმნა მასი ცხოვრების აზრადა და საგნად. ამ დროს რუსეთი მისთვის სწორებ ციფრა მოვლენილ მასნად შეიქმნა. ამ განწყობილების შედეგია უმოავრესად ეს საზღვარს გადასული აღტაცება რუსელის დატერატერიტორით და მისი დიდის წარმომადგენელის გრაფის ტოლსტიოს ნაწარმოებით. რუსეთში ტოლსტიოს იმდენი აღტაცებული თავებანისძიმიცემელი და მკითხველი, მგონი, არა ჰყავს, როგორც საფრანგეთში. და მართალიც უნდა კსოვებათ, ტოლსტიოს სახელის შექმნაში ძალიან დიდი ნაწილი უდევს საფრანგეთის კრიტიკას. კერ 1886 წელში აგრძელდიოსმა კოგიუმებ დასწერა მთელი წიგნაკი რუსელის რომანის შესხებ, საცა აღტაცებას საზღვარი არა აქვს. პუშკინი და ლერმონტოვი საუკეთესო შოეტთა რიცხვში ჩასწერა ბ. კოგიუმებ; ბელინსკი ერთ-ერთ საუკეთესო კრიტიკოსად აღიარა; ტერგენევი, დოსტოევსკი და ტოლსტიო — უდიდეს მწერლებად. შექსპირი, ესხილი, ეკრიპტიდი და სოფოკლი, ჭომირთსი სუკელანი ამ მწერლებში არან თავმორიზონი და ამათზედ უფრო უმაღლესი არან კიდევ მით, რომ ზნეობრივი პრინციპი რუსელის რომანისა უფრო მაღლადა სდგას. ცოტა არ იყოს, საუცხოო აქ ის არას, რომ რუსის მწერლები საფრანგეთის მწერლების ერთობ დიდ გავლენას ქვეშ არან, და გასაკვირველია, რომ ჰიუგოს, მიუსსეს, დე-ვინის, დამარტინის

ურუ-ზანდისა და ბალზაკის ქვეყანა სხვაგან კიდევ იძებდეს გენი-
ოსებს? გასაკვირველია, მოღიერისა, ფლობერის და ზოღვას მსარეს
კისიმე რეალიზმი და ნატურალიზმი აოცებდეს, ჟიურის სოციალუ-
რის რომანის ქვეყანა სხვა ქვეუნის რომანების ტენდენციას პირ-
დაღმუშავი შესჩერებლებს? ეს, რასაკვირველია, წუთიერი გატაცებაა,
რაიცა გამოწეულია ლიტერატურისაგან სრულიად დამოუკიდებელი
მაზეზებზედ და უკამ რეაქციაც გამოიწვია საფრანგეთის ლიტერა-
ტურაში. 1894-ში Revue des deux Mondes-ის ნომერში დამეტრ-
მა დასტამა წერილი, საცა *) საცილად არა წევაფნიდა საფრანგე-
თის საზოგადოების ასეთი გატაცება ჩრდილოეთის ლიტერატურით
და ამტკიცებდა, რომ ჰიუგოს, ურუ-ზანდის, ალექს. დიუმის შემდეგ, ფლო-
ბერის რამდენიმე სხით ადრე აქვთ ის აზრი და გრძელება გამოხა-
ტული, რომელიც ესლა ჩრდილოეთის ლიტერატურის გამოყონი-
ლად და ასალ აღმოჩენილად მაგანებინათ. რესეპთის მწერლებისაგან
ჩევეულებრივი საგანი-ცოდვილთა შენახბის დასურათება მკაფიის ირო-
ნით მოისწენდა დამეტრმა და ასე განაცხადა: — კაცია სთკება ეს
ტაბება ჩენის მისტერიების გმირებს მაგანებენ: ეუკეშავე საზაზ-
რობას ჩადიოდნენ და გულში სედის ბრაგუნსა და დამერთო შეგ-
ცოდეს ძახილს მინც არ იშვიადნენთ; ტოლსტიაზმი კი ერთგან
დამეტრმა ამ სიტუაციათ მოხატდა — ტოლსტიაზმი მგრანი მსო-
ლოდ რომანტიკოსების ასრების კალმუხებიდ გადამახანჯება არისო
(ხ. impr de théâtre ტ. IV გვ. 259). ამ უგანასეკნედ დროს Revue
des deux Mondes-ის კრიტიკოსი რენე დუმივიც ამსედრებულა ამ უკხა-
კრ ლიტერატურით გატაცების წინააღმდეგ, სხვაგან გვამცირდება, რომ
რესეპთის დატერატურა თანდათან მოდიდან გამოდისა (*).

ტოლსტიოსა და რესეპთის რომანის მოდაში შემომდება მეფ-
სიორ და კოგიუმ, დუმივი, რეკოლენი და სხვა ფრანგულისა-

*) იხილე „ივერია“ 1895 წლ. № 2 და 3, სადაც დაწვრილებით
არის მოყვანილი ეს აზრი.

**) იხ. Reclining l'anarchie littéraire გვ. 270. რუსულის ლიტე-
რატურის აქციების ფასმა დაიწია და იბსენი მაღლ დაიკერს ტოლსტოის ალ-
გილსაო.

ცხოვრება და ხელოვნება

ნი ვინც გა ლაპარაკობს ტოლისტოის ნაწერთა შესახებ სწორედ იმ მხარეს სოვლიან ტოლისტოისას საუკრაფლებოდ, რომელიც კრიტიკას წარმოადგინს თანამედროვე საზოგადოებისას და აგრეთვა გრიხატავს იმ სულის ქენჯნას, რომლის მსხვერპლი არიან ზოგიერთი მისი გმირნი. ეს სულის ქენჯნა და ვაჟა გამოწეულია სწორედ იმ შეუსაბამობით ცხოვრებასა და ცხოვრების ოდენობის შორის, იმ თარ-ჭითობით ქრისტიანებს აზრისა და კრიტიკის ბუნების შორის, რომლის მსხვერპლია დღეინდელი შეგნებული და მთაზრე ადამიანი. «მი და ზავია-ს გმირი თ. ანდრე ბოლფონისეკი ანნა გარენიანა» გმირი კრონსკი—ეს არიან იმ ფეხუფის ასალგაზღაბო წარმომაზგებელნი. ტოლისტოი დიდის ნიჭითა და ხელოვნებით დაგვიხსტა ეს გმირნი, ეს დვიძონი მმათა-შევიზნა ჰამლეტის, ფაუსტის, კერტერის, რენეის და ჩაილდ ჰაროლდისა, გრიხატენი ანდრე ბოლფონისეკის უენასექნელი წევები, როცა იგი დასჭრილი ბრძალის გელზედ დურვეს ცას შექეურებს და სასახლარეგეთაღებით აღსაკვე ფაქტებს ემდევა; და რომ შემძლოს, ამბობს იგი, ამის თქმა: ღმერთი იყავ ჩემი შემწენარე! მაგრამ ვის უნდა მივმართო ამ სიტყვებით? ან ერთგარ ძალის მიუწდომელსა და განუსაზღვრელს, რომელსაც არ ძალ-მის მივმართო, რომლის სახელის გამოთქმაც ვა არ შემძლიან ერთის სიტყვით—ერთ რაღაც დაად რასმე, რომელიც უოკელივეს შეიცავს, ანა და ერთ დაად რასმე, რომელიც არას არ შეიცავს,—ანა და იმ ღმერთს უნდა მივმართო, რომელიც არ ამ მარიას ნახეულ ავგა-როზშია გამოკრული?—არა არას-რა ნამდვილი, გარდა იმისა, რომ უოკელივე, რასაც ვხედავ არარაობით არის მოცელი და არის რაღაც დიადი და დიდებული, რომელსაც მე ვერ ვამჩნევ. ეს გახდავთ, რო-გორც მოგასისენი, ტიპი ეკროპიელის მეცხრმეტე საუკუნის სასოწარ-გვეთაღის და სკეპტიკის, უწმუნოებითა და უამეტობით აღსაკვე ასალ-გაზღაბი. ამის ნაირ გასლავთ კრონსკიც; იგიც ამ ასალგაზღაბო ფეხუფის, —იგიც კრიტიკის ცივილიზაციის მოტივიალებას საქრის-ტიანო ნიადაგზე აღმოცენებული; ამავე ნიადაგზე გაზრდილა ანნა გარენიანაც; იგიც იმავე ბუნების შევიზნა სიცოცხლისა და სიკურულის მონა-მორჩილი და ხორცის ქმარულების ვერ დამომბია. ამგვარი სუ-რათები, თუმცა ეკროპის დიტერატურისათვის ასალს არას წარმო-

ადგენენ, მაგრამ მარტო იმიტომაც საინტერესონი არაა, რომ სლა-
ვიანურ-რუსულის ტანისამოსით ეცხადებიან ეპროპას და მათ უკრა-
დებას იქცევენ. ეგერ რომ პრ იყოს, ეგ გენესა, ეგ გაება, ეგ ორქო-
ფობა ეპროპას შეგნებულის და მოაზრე ნაწილის, ისეთი ტემაა,
რომელიც არასოდეს არავის მოსწეულება და, ვისაც კი აჭვს ნიჭი,
და ისეთი ძლიერი ნიჭი, როგორც ტოლსტოის, უოკელთვის მიაქ-
ცებს უკრადებას ამ ტემის შემუშავებით. ეს ნაწილი ტოლსტოის
თხზულებისა შეადგენს საუკეთესო, მთელის ეპროპისაგან მოსაწონ
ნაწილს მისის თხზულებისას. არა ნაკლებ საინტერესოა მისი კრი-
ტიკა თანამედროვე ფუქსიავატის საზოგადოებისა, მისი უარისმეო-
ფელი სურათი შეტებულების უმაღლესის საზოგადოებისა — უზრო-
ბა, უზნეობა, გარეუნილება და უადამიანობა, უარარაობა ამ საზოგა-
დოებისა სამაგალითოდა აჭვს დახსატული ტოლსტოის და ეპერ ერთ
საჭირ-ბოროტო და საუკრადებო საგანს შეადგენს ეპროპის მოა-
ზრე საზოგადოებისას, — ეგ გმაღლები საზოგადოების, beau mon-
de-ის — გადაგვარება და გათახსირება. ტოლსტოის შეტებულების
უმაღლესი საზოგადოება პარიზის, დონდონის და ბერლინის იგივე
საზოგადოებაა და მათი განვითება, რასაკვირკელია, საუკრადებოა და
საინტერესო მთელის ეპროპის საზოგადოებისათვის.

საზოგადოდ, არა თუ ტოლსტოის რომანები, მისი ფილო-
სოფიური ნაწერები, რომელია აზრთა სიღარიბე და შებლონობა
უკეთეს ეჭვს გარეშეა დაუკენებული, — მთელის განათლებულის
მოაზრე საზოგადოების უკრადებას იქცევს, სწორედ იმიტომ, რომ
ის მხარე ნაწერებისა, რომელიც უარ-უოფით ეკიდება თანამედროვე
საზოგადოებას, მისს მეცნიერებას, მისს ხელოვნებას, მისს ცივი-
ლიზაციასა და კულტურას საზოგადოდ ისეთის ძლიერის და წრიუ-
ლის გრძნობით არის დაწერილი, ისეთი გმაწილურის გატაცებით
და ადშევოთებით არის ადსაკსე, რომ ძალა-უნებურად იქცევს უკ-
რადებას, ძალა-უნებურად გაფიქრებსთ და ძლიერ, ღრმა აზრების
აღგიმრავსთ და საუკუნო, სამარადისო მწევა და მტანჭავ კითხვებს
წინ გაიუკებსთ. ჟოზიტიკური მხარე კი ამ ნაწერებისა, ის მხარე,
რომელსაც აზრადა აქვს მომავალი იდეალი დაგვისატოს და ამა
თუ იმ წერი კაცობრიობას ახსლი გზა უჩვენოს, მეტად უფერუ-

ცხოვრება და ხელოვნება

ღია და სუსტია-მეთქმ კოქი და არათორით არ აღემატება არც იმ კარატაეკების ფილოსოფიას, რომელთაგანაც მოეღის და ტოლი-ტოი ქავების განახლებას და ან იმ ასკეტთა ქადაგებას, რომელთა საწერებიც ეხდა ბალდობაც კი კერ მაიტუშებას.

ტოლსტიოს მოძღვრება ისევ ის ძველი მოძღვრებაა, მოეღის საქრისტიანო კულტურისაგან გარგად გამოცდილი და მისი კარგი ნაცნობი: განწირება უოგელივე ხორციელის მოთხოვნელებისა ჩულო-სათვის, მოვასისათვის თავის დადება. ხოლო უოგელივე ამ მოძღვრებას სარჩელად უდებს მეტად ბასისივური და რაღაც ასკეტიური მოქმედება პირადობისა: არა წინააღმდეგ ბოროტისა ძალით, ეცადე, რაც შეიძლება, იტანჭო და ტანჭით მოიბოკო სულის ხსნა—მისი სიმშვიდე—უარესად უოგელივე განცხომა ხორციისა და ეცადე დასთრ-გუნო ხორცი, ეს ცოდვის შეილი, ცოდვის თავი და ბოლო; მარტო და მხოლოდ სულის აუკავებას ეცადე, მოიგად შენი გონება, შენი მაცდური აზრი, დაქმსგავსე გულ-უბრუკილოსა და შეუგნებელ «რუ-სის მუჟიეს»—რადგან ცხოვრების ფილოსოფია მარტო მის აქე, შეგნებელი, ხოლო ეს «მუჟიეს» შეგნებელება იმაში გამოისატება, რომ უოგელივეს ქმორჩილება აღუშფოთებდად, მშეიდად და წენარედ — კრისტის დაუძრებელად. ტევილა ითვირებ, რომ შენ უნდა განას-წავლო ხალხი, რომ ხალხი უნდა აღზარდო, აღამაღდო, გააუმჯო-ბესო მისი ზნებობრივი და გონებრივი ცხოვრება. უბედურო ფილო-სოფოსო, თვით შენ ხარ უკაცი, შენ ხარ თვით ბრიუვა და შენ გქირია სწავლება,— შენი დიდი სკოლა ხალხია, შენი დიდი მოძღვ-რება გარატაეგა და თედორე მუჟიე—ისწავლე მათგან ბუნების და ცხოვრების უჯმობელ ქანონების დამორჩილება, ისწავლე მათგან გრძნობისა და გონების სიმშვიდე; ნუ ჭიდებრობ ნურავის ამაღლება—ზე, თვით შენ ჩამობრძანდი ცოტა შეკვით, ცოტა ძირს დაშვი და მაშინ მიიღებ სულის სიმშვიდეს და გაცხარებელი გონების დამამებელ წამალს მოიპოვებ; უკუგდე მეცნიერება, ხელოვნება, უკუ-აგდე სეუკარული როგორც სქესებრივი გრძნობა, უკუგდე უოგელი-ვე რაიცა შენის ხორცის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელია— ბედნიერება იმიე მარტო «მუჟიეთან» ხენა-თესებაში, მათთან დაპა-

რაგასა და ბასში, მაათან ცხოვრებაში, მოიძევ უკუკელიკეს, რაიცა ფილისოფისებასა და მეცნიერებს გრ მოუციათ შენთვის.

ტოლისტოის მოძღვრებას მით უფრო მოჰყავს კიდევ ეკრაპა განციითებაშია, რომ ეს დიდი მაგნატი, მდიდარისა და უმაღლე სის საზოგადოების წევრი, თვით უძღვდეს არისტოკრატიაგანი მეუკიდისასა თამაშობს და «ტელურითა» და «ლაპტევითა» დაბაქება, სან მწერებისას სჩემობს და სან «პენინგობას», სრულიად უბრალო სა და მარტივ ცხოვრებას მისდევს, გაგეტარაიობას და სხვა. ამ ორიგინალურ ქცევას დიდი შთაბეჭდილება აქვს ეკრაპის საზოგადოებაზედ. მაგრამ ტოლისტოი დიდად წააგავს რუსულის დიატერატურის ტიპებს ამ შემთხვევაში. ზემოსაეხებულმა ლემეტრმა ასე სთქვა მათ შესახებ, რესის რომანების ცოდვილთა გულში მუმტის ცემა და, მარმელადოვის არ იყოს, ამისი ძახილი ტე შეკცოდე, ღორი კარ», თოვქის სასაცილოდ გაპჩენებაო. შესაძლოა კაცმა იასუნჯოს და ასე სთქვას, რომ რესები სწორებ მასხრები არიან და რომ ცნობილის ცლავანთა სულისა არსებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ სხეულს უკუკელიფრის ნებას აძლევს, ღორი და გულში ცემით ტე ცოდვილი კარ» იძეროს ხოდმეო. გავკადნიერდები და კიტევი, რომ ტოლისტოის ორიგინალობა ცოტა არ იყოს, მარმელადოვის ტე ღორი კარს» გავაღონებს. კაცმა მაალწია ნახევარ საუკუნეს, როგო ფაზიაკური მაღები უბრა სისუსტეში მოდიან და მაღაუნებურად ასკეტიზმს თხოულობენ; მთელი საუკუთხესო სანა თავისი ცხოვრებისა განატარა ისე «ბრწინვალედ», როგორც არცერთს კურთხილებს მწერალს არ განუტარება; ოჯახს მოეკიდა, მრავალ რიცხვოვანი სახლობა ჰყავს, მისი სახლობა უკუკელისფრით უზრუნველ უოფალია და ეკრაპის უმაღლესის საზოგადოების ცხოვრების ქეშმანიტი წარმომადგენლია. ამისთანა პირობებში უთუოდ უკელა «ცოდვილი» აღიარებს და დაქმორჩილება მისი ასკეტიზმის მორჩის მით უმეტეს, რომ ეს მას სრულიად არაფრად უდინს, 50—55 წლის გარს ადგილად შეუძლიან უკუკელის ფიზიკური სიამოვნება უარესოს (მაღაუნებურდაც!). აბა რა გასაჭირია აქვს სიუკარული უარესოს, ცოდვ-ქმრობაში და-მეური გავშირი ითხოვთს, მხარულებასა და ქიფს ზურგი შეაქციოს (მით უმეტეს,

ცხოვრება და ხელფენება

თუ სიუმაწვიალეშა ბეჭრი გიჭეითნა) «ტულუპითა» და «ლაპტებითა»
 გამოიწიმოს და ღთხილის მეტა არა სწამოსა-რა, ორცა ჰქედავს,
 რომ მისი ცოლშვილი და ოჯახი საუკეთესო ეკროპითულ ღიანოებს
 და საწამადს შეირთებულ და საუკეთესო ქსოვილებს ჩაიცმენ. ეს,
 უნდა მართალი სთქვას ძაცმა, ერთგვარი მასხრობა არის, ფარსით-
 რობა.

გიტა აბაშიძე

(დასასრული იჭიბა)



შინაური მიმოხილვა

ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება.—წოდებრივი ხასიათი კრებისა.—ცენტის „შემცირების“ საკითხი.—უცნაური პილემიკა.—„ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წევრთა კრება.—„საზოგადოების“ ანგარიში.—სამწუხარო მსგავსება.—ფორმალური აღსრულება მოვალეობისა.—ახალი დროის მოთხოვნილებანი და მათი დაკამაყოფილების საჭიროება.—ჭიათურა და მისი მცხოვრებნი.—საზარელი მდგომარეობა.—ვისი მოვალეობაა იზრუნოს მუშების ჯანმრთელობისათვის?—ისევ ტარიფი.—საყურადღებო ცნობა.

საზოგადო კრებათა სეზონი დასრულდა— ქუთაისში თავად-აზნაურობის ყრილობით და ტფილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა კრებით. ქუთაისის თავად-აზნაურთა წლევანდელს კრებას არ ჰქონია განსახილებელად ისეთი საგნები, რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდესთ მთელის ჩვენის ერისათვის. თითქმის ყველა გარჩეულ საქმეს ვიწრო წოდებრივი ხასიათი ჰქონდა, რომელთა ასე თუ ისე გარდაწყვეტაც არ იყო მაინცა და მაინც დიდმნიშვნელოვანი ჩვენის ქვეყნისათვის. ყველაზე უფრო საყურადღებო საგანი იყო ახლად განზრახულის ადგილ-მამულის გარდასახადის საქმე, რომლის შესახებაც კრებამ ისეთივე დადგენილება მოახდინა, როგორიც ტფილისის თავად-აზნაურთა წლევანდელმა კრებამ. ამ საგნის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ვრცელი ბასი მკითხველებთან*) და აქ აღარ შევჩერდებით. დანარჩენ საგანთა შორის

*) „მოამბე“ № II, 1900 წ.

შენაური მიმღებლება

უფრო საყურადღებო იყო ბ. ხუნდაძის მიერ აღძრული საკითხი ცენზის შემცირების შესახებ. ამ ეამად კანონი მხოლოდ იმ აზნაურს აძლევს ნებას ისარგებლოს სრული უფლებებით სათავად-აზნაურო საარჩევანო კრებებში, ვისაც 200 დესეტინაზე მეტი მამული აქვს. ეს ცენზი მეტად დიდია იმერეთის თავად-აზნაურობისათვის, რაღაც იქ არსებობს თითქმის მხოლოდ მცირე-მამულიანი თავად-აზნაურობა. ისეთ მემამულეთა რიცხვი, რომელთაც 200 დესეტინაზე მეტი მიწა-წყალი ჰქონდეს, ძლიერ პატარაა იმერეთში და ამიტომაც იქაურ თავად-აზნაურთა კრებების გამგე-პატრონნი გამხდარან წარმომადგენელნი რამდენისამე გვარისა ან „დიდ ოჯახისა“, როგორც მათ უწოდა ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამდლოლმა თავ. დ. ნიკარაძემ. ეს რამდენიმე „ფეოდალი“ განაგებს დღეს მთელის წოდების დაწესებულებას. თავად-აზნაურთა დაწესებულებათ ჩვენს დროში აღარ აქვთ დიდი მნიშვნელობა; მათ, როგორც იყიან მკითხველებმა, მხოლოდ იმის ნება აქვთ, რომ თხოვნები და შუამდგომლობანი აღძრან ამა თუ იმ საჭიროებათა შესახებ. ეს დაწესებულებანი არ განაგებენ არაფოთარ საქმეებს ისე, როგორც სხვა ადგილობრივი თვითმმართველობანი (ქალაქი ან ქრობა) და არც გავლენა აქვთ საზოგადო საქმეთა მსვლელობაზე. ამიტომაც ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის აქვს ან არ აქვს ხმა თავად-აზნაურთა კრებაზე. მაგრამ არც სრულიად უმნიშვნელოა ეს კრება: ხანდისხან დროზე და კარგად აღძრულ შუამდგომლობასაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ქვეყნას. ხოლო ხანდისხან შუამდგომლობის დაგვიანებამ, შეიძლება, ცუდი გავლენა იქონიოს რომელიმე საქმეზე. მაგალითად, ტფილისის თავად-აზნაურობის ყოყმანმა და დაგვიანებამ ერობის შემოღების შესახებ შუამდგომლობის საქმეში, ცოტა არ იყოს, ავნო ჩვენთვის მეტად დიდ საქმეს, თუნდაც იმით, რომ მოწინააღმდეგეთ ათქმევია—ქართველ თავად-აზნაურობას არა აქვს ჯერ შეგნებული თვითმმართველობის მნიშვნელობა და რად უნდა მას ერობაო. ამგვარ შემ-

თხვეებითათვის უმჯობესია, რასაკვირველია, თავად-აზნაურთა კრებაში მონაწილეობას ღებულობდეს უფრო მეტი და უფრო განათლებული თავად-აზნაურობა, ვიდრე დღევანდელი წესით შემდგარ კრებაზეა. ამიტომაც საყურადღებო და მოსაწონია ბ. ხუნდაძის წინადადება ცენზის შემცირების შესახებ; მაგრამ მოსაწონია მხოლოდ მისი პრინციპიალური მხარე; რაც შეეხება პრაქტიკულს ნაწილს, წინადადება ამ მხრით სუსტად უნდა ჩაითვალოს ფორმალურადაც და არსებითადაც. ფორმალური სისუსტე იმაში გამოიხატა, რომ წინადადება სრულიად არ იყო შემუშავებულ-დასაბუთებული, არსებითი კი იმაში, რომ წინადადება თხოულობდა რეცხვს რასმეს, რის ასრულება შეუძლებელია. წინადადების ავტორს არ მიუღია მხედველობაში არც დრო, არც ადგილი, როდესაც დაუწერია—ვითხოვთ 20-დესეტინამდე დასწიონ არსებული ცენზიონ. თავ. კიტა აბაშიძე სრულიად სამართლიანად შევნიშნა ამის შესახებ, რომ ამგვარს შუამდგომლობას, შეიძლება დაცინვით მიეკებნენ სადაც ჯერ არსო. მართლაც, 15—20 წლიწადია აგერ, მთავრობა აფართოვებს ცენტრალურ მმართველობის უფლებას და ავიტროებს ადგილობრივ საზოგადოებრივ თვით-მმართველობას. ქონებრივი ცენზი ახლანდელ საერობო დაწესებულებაში მეტად გადიდებულია 1864 წლის კანონთა მიხედვით არსებულ საერობო დაწესებულებათა ცენზთან შედარებით; ასეთივე დიდია ცენზი 1892 წლის საქალაქო დებულებაში 1870 წლის დებულებასთან შედარებით. ქონებრივ ცენზის გადიდებით საზოგადოებრივ უფლებათა შეზღუდვა—ასეთია დევიზი უკანასკნელ დროის პოლიტიკისა. მართალია, პოლიტიკის ამგვარ მიმართულება გამ არ უნდა დაევიშალოს შუამდგომლობის ოლქრა, მაგრამ, თუ გვინდა, რომ ჩვენს შუამდგომლობას პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს, ისე უნდა შევადგინოთ ის, რომ რაღიცალურად არ განსხვავდებოდეს აწ არსებულისაგან. თავად-აზნაურთა კრება პოლიტიკურ პარტიის პარტიითაგი არ არის, სადაც სამოქმედო პროგრამის გარდა პოლიტიკურ იდეალებსა და პრინციპებს აღიარებენ, არამედ უბრალო ყრილობაა პირთა, რომელ-

თაც უნდა ითხოვონ ისეთი რამ, რის მოცემა ცენტრალურ მთავარობას დღესვე შეუძლია. ამ მხრით თუ გაესინჯავთ საქმეს, და-კინახავთ, რომ ბ-ნ ხუნდაძის წინადადების, რომელიც ერთი ათად ამცირებს ცენზს, მარტო pium desiderium'ის მნიშვნელობა აქვს და არა პრაქტიკულ ზომისა... კრებამ უარ პყო ბ-ნი რუნდაძის წინადადება, რაც აისხნება ერთის მხრით იმით, რომ კრებას შეადგენენ დიდ მამულოვანი აზნაურნი, რომელთაც მაინცა და მაინც არაფრიდ ესიამოვნებათ, როდესაც, თ. დ. ნიურაბაძის არ იყოს, „დიდის თჯახისა და გვარიშეილების უფლებებს ეხებიან“; მეორეს მხრით კი იმით, რომ იგი არ იყო რიგიანად შემუშავებული, საკმაოდ დასაბუთებული და პრაქტიკულად აწონილ-დაწონილი.

ქუთაისის თავად-აზნაურობის ამ სამწუხარო გარდაწყვეტილებამ გამოიწვია მეტად უცნაური პოლემიკა: „კვალმა“ განიაცხადა, რომ წინადადების წინააღმდევები იყვნენ კრების ახალგაზდა წარმომადგენელნიო; ერთმა უკანასკნელთაგანმა კი პასუხი გასცა—არა, ჩვენ არ ვყოფილვართ ცენზის შემცირების წინააღმდევებით. საკვირველია ამ გვარის პოლემიკის ატეხა. განა ძნელია ფაქტიურად ეიცოდეთ—ვინ ილაპარაკა ამა თუ იმ წინადადების წინააღმდევები და ვინ იყო მასი მომხრე? მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენში ახლად მოვლენილ უურნალისტებმა ისეთი ზენ-ჩვეულება შემოიღეს, რომ ცილის წამებისა და ინსილუაციის შეთხხვა საქებურ საქმედ მიაჩნიათ. ეს ვაებატონები სასაკილოდ იგდებენ მკითხველთ, რადგანაც ჰგონიათ, რომ ასე ადვილად, ასე უსირცხვოდ შეიძლება მათი მოტყუება... ვინც კი თვალი გადავლო ხსენებულ კრების ანგარიშებს, მისთვის ცხადზე უცხადესია, რომ ის ახალგაზდანი, რომლებზედაც „კვალმა“ მიკვითოთ,—თ. კ. აბაშიძე და თ. ნ. თავდგირიძე—ცენზის შემცირებას თანაგრძნობით მიეკებნენ. თ. ა. ნ. თავდგირიძე ბ-ნ ხუნდადებზე უფრო შორს წავიდა: სრულიადაც არ არის საკირო ცენზიო, თავად-აზნაურობას თვით შეცეს ნება ვინც სურს, ის ამოირჩიოსო., მან სოჭვა: „უნდა ვითხოვოთ, თავად-აზნაურთა მაზრის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთი-

ლი წევრები თავისი არჩევნებით სცნოს ლირსად გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისათვ. *) კენჭის ყრის დროს თ. თავდგირიძის წინადადება ამგვარად იქმნა დაუყენებული: „მაზრის თავად-აზნაურობამ აირჩიოს ხმის უმეტესობით ის განათლებულნი და გაუნათლებელნი პირნი, რომელნიც მიაჩნია ლირსეულ კაცებად“. **) აქედან ყოველი ადამიანი დაინახავს, რომ თავ. თავდგირიძე სრული წინააღმდეგია ცენზისა; „კვალი“-ს პუბლიცისტი კი პლამობს მთატყუთს მკითხველი, ვითომც თავდგირიძე აწ არსებულის წესის მომხრე არისო, ვითომც ზემო-მოყვანილს სიტყვებიდან ის სჩანსო, რომ თავდგირიძეს ჰსურს ახლანდელი წესიც დარჩესო და გარდა ამისა თავად-აზნაურობას ნება მიეცეს თვით აირჩიოს ვინც უნდაო. რა ნაირად „სჩანს ეს“ ზემო-მოყვანილ ნ. თავდგირიძის სიტყვებიდან, ეს „კვალის“ საიდუმლოებას შეადგენს, მკითხველო, — საიდუმლოებას, რომელსაც ჩვენ ვერ მივხვდებით... ასეთივე ცილი დასწამა „კვალმა“ თ. კ. აბაშიძეს. უკანასკნელმა სრული თანაგრძნობა გამოუტადა ცენზის შემცირების პროექტს. „ყველა განათლებული ქვეყნებით“, სთქა მან, „ცდილობენ, რაც შეიძლება გააფართოეონ არჩევნების უფლებანი და ამიტომ ჩვენთვისაც სავალდებულოა ეს კეთილი მისწრაფებათ“. თავ. აბაშიძე მხოლოდ ეჭვს აცხადებს იმის შესახებ, რომ მთავრობამ შეამციროს ცენზი და ურჩევს კრებას, თუ გვინდა ცოტათი მაინც აგვისრულდეს ეს „დიდი და მშენიერი სურვილი“, ვითხოვთ, რომ უმაღლესის განათლებით იღწურვილთ მოეთხოვოს 50 ან 100 დესეტინაო. „კვალს“ შეეძლო ეთქვა, რომ კ. აბაშიძემ გადააჭირბა სიფრთხილე, მაგრამ იმის თქმა, ვითომც ის წინააღმდეგით იყო ცენზის შემცირებისათ, ყოვლად შეუძლებელი იყო.

ამ პოლემიკას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, თუ ჩვენ შევაჩერეთ მასზე მკითხველის ყურადღება,

*) იხ. უცნობ. ფურც. „ № 1124.

**) იქვე.

მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გვეჩერებინა მისთვის პილემიკური ხრიკები „კვალის“ პუბლიცისტებისა და მათი ცილის წამებითი მიღრეკილება...

ქუთაისის თავად-აზნაურთა უკანასკნელმა კრებამ, საზოგადოდ, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა შორეულს მკითხველებზე მაინც. კრების წევრები კი არა, თვით წინადაღებათა ავტორები მოუმზადებელნი იყვნენ. არცერთი მოხსენება, გარდა გადასახადის შესახებისა, დასაბუთებული და შემუშავებული არ ყოფილა. ერთ მოხსენებისთვის, სახელდობრ, ბანკილან დასაბრუნებელ თანხის განაწილების შესახებ, წინედ საგანგებო კომისიაც იყო არჩეული, მაგრამ მისმა წევრებმა მხოლოდ კრებაზე დაიწყეს საგნის განხილვა. ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორც ცენზის შემცირება, წინად მის ავტორს არავისთვის გაუმნელია, ის არაეს შეთანხმებია უმთავრესს მუხლებში მაინც და ამიტომ კრების ოთოვეულმა წევრმა იქვე, კრებაზე, განსაკუთრებული კონტრ-პროექტი შეთხსა და წარუდგინა ყრილობას; ყველა თავის პროექტს აძლევდა უპირატესობას, კრებამ ვეღარავერი გაიგო და ბოლოს, მოთმინებილან გამოსულმა, მოითხოვა კამათის შეწყვეტა... თავად-აზნაურთა კრება ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება და ამიტომაც მის წევრებმა სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ ამგვარს შემთხვევას. ნუ თუ წინდაწინვე არ შეიძლება მომზადება და რიგიანი შემუშავება პროექტებისა?! დეპუტატთა საკრებულო მოვალეა თვალ-ყური ადევნოს ამას და კრების ყურადღება არ შეაწუხოს გამოურკვეველ და დაუსაბუთებელ წინადადებათა წარდგენით.

არ არის ჩვენში მეორე ისეთი საზოგადო საქეოლო კედლი დაწესებულება, რომელსაც იმდენი თანაგრძნობა ჰქონდეს დამსახურებული, რამდენიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აქვს. ტფილისში და საქართველოს ყოველ კუთხიდან შველიან მას; შორეულს კავკასიის პროვინციაში, თუ სადმე მოგროვდა ხუთიოდე ქართველი, ცდილობენ ან საღამო ან წარმოდგენა გამართონ ქარ-

თულ „მატიცას“ სასარგებლოდ. მართალია, ეს თანაგრძნობა, თუ მკაცრად გავსინჯეთ, არ არის მაინცა და მაინც დიდი. ისეთის სიმპატიურს დაწესებულებას, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოება, ეჭირვება ასად და ორასად უფრო მეტი თანაგრძნობა და დახმარება; მაგრამ ჩვენ შედარებით ვამბობთ. შედარება კი გვეუბნება, რომ ჩვენში არ არის სხვა საზოგა-დოება, რომლის სასარგებლოდ ყოველ წლივ გროვდებოდეს 6—8 ათასი მანეთი.

ეს საერთო სიმპატია-თანაგრძნობა ადვილად აიხსნება იმით, რომ ჩვენში არ არის მეორე ისეთი საქველ-მოქმედო საზოგა-დოება, რომელსაც იმგვარი მაღალი დანიშნულება ჰქონდეს, როგორიც წერა-კითხვის საზოგადოებას აქვს. ერთი განათლე-ბისათვის ზრუნვა—რა იქნება ამაზე უფრო მაღალი და ბრწყინ-ვალე მიზანი? რა არის ამაზე უფრო საჭირობოროტო საგანი ჩვენში?! ყველა, არა თუ ჩვენსავით ჩამორჩენილი, არამედ და-წინაურებული ერებიც განსაკუთრებულის სიყვარულით ეპყ-რობიან სწავლა-განათლებისათვის მზრუნვა საზოგადოებათ. გა-ვიხსენოთ თუნდ ჩეხელების შესანიშნავი სიყვარული თვის „მა-ტიცასადმი“!..

ამგვარი საზოგადო თანაგრძნობა იმავე დროს იწვევს გან-საკუთრებულ კრიტიკასაც. ძნელად შოიპოვებო ქართველ ინ-ტელიგენტს, ახალგაზდას მაინც, რომელიც კმაყოფილი იყოს წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედებით. ყველანი სამდურავს აცხადებენ, რომ „საზოგადოება“ ვერ მცშაობს რიგიანად, მისი გამგენი ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას ისე, როგორც მოითხოვს დასახული დიდი საგანიო... ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ ამ სამდურავს საფუძველი აქვს, მაგრამ აქ ერთი რამ უნ-და შევნიშნოთ, რაც ამსუბუქებს გამგეთა დანაშაულს. „კრი-ტიკა ადვილი საქმეა“, ამბობენ ფრანგები და სამართლიანა-დაც ამბობენ. არ არის ძნელი საქმე გადაუურცლო წერა-კითხ-ვის საზოგადოების მოქმედების ანგარიში და სთქა: „საზოგა-დოებას“ ცოტა სკოლა დაუარსებია, ცოტა ბიბლიოთეკა გა-უხსნია და სხვა. უფრო ძნელია იმის განხილვა, თუ რატონი

არის ასე ნაკლები, ასე მცირე „საზოგადოების“ მოქმედება? ხოლო თუ ამ კითხვის გარჩევას შევუდგებით, დავინახავთ, რომ ჩვენის ცხოვრების დღევანდელი ეთარება, ჩვენის განვითარების ზოგიერთი თანამედროვე პირობანი ზღუდავენ და იყინოვებენ „საზოგადოების“ მოქმედების კალაპოტს და ხშირად ხელ-ფეხს უბორკვენ მის გამგეთ. თუ მხედველობაში ვიქონიებო ამ ხელშემშლელ გარეშე პირობათ, რომელთა განხილვას აქვე შევუდგებით, ჩვენ შეგვიძლიან გავიგოთ, რად არის მცირე ის საქმე, რომელიც დღემდის გაუკეთებია წერა-კითხვის საზოგადოებას. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გარტო გარეშე პირობათ არ ვაწერთ „საზოგადოების“ მცირე მოქმედებას, მაგრამ ამ პირობათ, ეჭვს გარეშეა, უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ...

მაგრამ ისიც მართალია, რომ არაფრის გაზვიადება არ ვარგა. ხოლო ამ შემთხვევაში გაზვიადება რომ არის — ეს ეჭვს გარეშეა...

ყველაზე უარესი, რაც ხსენებულ გარეშე პირობათ გამოიწვიეს, არის შიში მათ წინაშე. ჩვენის ფიქრით, თვით გარეშე პირობათ იმდენი ვნება არ მოუტანია ჩვენებურ საზოგადოებათათვის, რამდენიც მათ მიერ დაბადებულმა შიშმა მოუტანა. ჩვენ გამგეთ ყოველისტრის ეშინიანთ და არა თუ არაფერს ახალს აკეთებენ, ცდასაც ერიდებიან: გვეშინია, „საზოგადოებას არაფერი სახიუათო არ შევახვედროთო, ჩურჩულობენ ისინი და გულზე ხელდაკრეფილნი სხედან. რამდენად გაზიადებულია ეს შიში შეძლები მაგალითებიც ამტკიცებენ.

ამ საში თუ ოთხი წლის წინად ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას წარედგინა წინადადება — ეკისრნა ტფილისში ქართულ სახალხო წარმოდგენების ორგანიზაცია. „საზოგადოების“ პირდაპირი მოვალეობაა — ხელი შეუწყოს და ეცადოს სათეატრო ხელოვნების განვითარება-გავრცელებას და იმიტომ საშიში არაფერი იყო — აღსრულებინა წინადადება. მაგრამ გამგენი მაშინვე შეშინდნენ და ამოეფარნენ „გარეშე პირობათ“. მათ მეტად საჭიროდ აღიარეს სახალხო თეატრისა-

თვის ზრუნვა, მაგრამ თვით ხელი არ გაანძრიეს იმის შიშით, ვაი თუ ცუდის თვალით შეხედონ „საზოგადოების“ აზგარს მოშედებასათ. მაშინ შესდგა ახალგაზღადათა წრე, რომელმაც კისრად იდო ამ საქმის მოშენება. ამ წრეს არც დაწესებულების პრესტიჟი ჰქონია, არც გავლენა, არც მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება, ასე რომ მისთვის ბევრად უფრო ძნელი იყო სახალხო სკუნის ორგანიზაცია, მის თხოვნისათვის უფრო ძერის ექვით უნდა შეეხედნათ; მაგრამ საქმით სულ სხვა აღმოჩნდა. წრის თხოვნა არავის გაჰკვირვებია, მას მოსთხოვეს მხოლოდ რეპერტუარი, განიხილეს იგი, ცოტა რამ ამოშალეს, შემდეგ დაამტკიცეს და მალე სახალხო წარმოდგენების ნება დართეს...

თითქმის ასეთივე ამბავი მოხდა მეორე უსაჭიროებს საქმე-შიაც: წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ვერ გაბედა ეკისრნა ქართულ სახალხო კითხვათა გამართვისათვის ცდა. აქაც პრინციპიალური თანაგრძნობა გამოუტადა ამ ახალს საქმეს, მაგრამ მის განხორციელებისათვის თითქმის არაფერი გაუკეთებია. ისევ იმ ახალგაზღადათა წრემ მოახერხა, და ქართულ სახალხო კითხვათა საქმე ნელ-ნელა ფეხს იყიდებს ტფილისში...

ამ მიზეზების შეოხებით წერა-კითხვის საზოგადოების მოლვაწეობას განვითარება არ ეტყობა: აიღეთ მისი მოქმედების ანგარიშები 10—15 წლის წინად და უკანასკნელი, შეადარეთ ისინი და თქვენ დაინახავთ, რომ მათ შორის თითქმის არ არის განსხვავება. ამ ანგარიშებს შორის, პირ-იქით, შესანიშნავი მსგავსებაა 10—15 წლის წინად „საზოგადოების“ ერთ-ერთ წევრს დაუწერია შაბლონი და ამით სარგებლობენ ყველა შემდეგი ანგარიშების შემდგენელნი. რადგანაც „საზოგადოების“ მოლვაწეობაში ახალი არაფერი ყოფილა მთელ ამ დროის განმავლობაში, ამიტომ ანგარიშებში მხოლოდ ცოტადენი ცელი-ლებებია ციფირებისა. არსადა სჩანს ახალი რამ წინადადება, ახალი რამ ცდა; მთელ იმ დროის განმავლობაში ჰსუფევს რუტინა; „საზოგადოების“ მოლვაწეობა ფორმალურად სრულდება. ერთხელ დაარსებულა ხუთიოდე სკოლა და „საზოგადოების“

შოთა გობაძე — შექმნილა — შეინახოს ეს სკოლები იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ისინი ყოფილიან დასაწყისში. წარმატება ამ საქმეს არა ჰქონია არც რიცხვითი და არც თვისებითი. 1890 წელს, ათი წლის წინად, „საზოგადოება“-ს ჰქონდა ხუთი სკოლა: ბათუმისა, კავკავისა, თონეთისა, ხელოუბნისა და წინარენისა, ამათ გარდა „საზოგადოების“ გამგეობას ექვემდებარებოდა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა თავის განყოფილებით სენაკში; 1900 წელს საზოგადოების ანგარიშში ვხედავთ კიდევ ერთ სკოლას (გომარეთისას), ასე რომ, ათის წლის განმავლობაში „საზოგადოება“-ს ერთი სკოლა დაუარსებია. თუ გვეთხსენ ეს ამასთან ავე, რომ „საზოგადოების“ სრულს ხარჯზე ამ უმაღლესობის გომარეთის სკოლაა, ხოლო დანარჩენები არიან ან იდგილობრივ კომიტეტების ხარჯზე (კავკავისა და ბათუმისა), ან სოფლის საზოგადოებათა ხარჯზე *) (ხელოუბნისა, წინარენისა და თონეთისა), ან ბანკის ხარჯით (ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა სენაკის განყოფილებით), მაშინ დაერწმუნდებით, რომ „საზოგადოების“ ღვაწლი ამ საქმეში არა რის საქმიანდ დიდი....

იაფ-ფასიან ან უფასო ბიბლიოთეკების გახსნა „საზოგადოებას“ არც უფიქრია 1892 წლამდე. წინა წელს გამგეობისათვის მიუმართავს თხოვნით ქბ. არღუთინსკისას — შემეწიეთ ქართულის წინგებით, რადგანაც ვაარსებ ტფილისში სახალხო ბიბლიოთეკას რუსულ, ქართულ და სომხურ განყოფილებებითაც. ამ გარემოების გამოუწვევით წერა-კითხვის საზოგადოების ინიციატივაც და 1892 წელს ის აარსებს პირველს სახალხო ბიბლიოთეკას. მას შემდეგ 1900 წლამდის „საზოგადოებას“ გაუხსნია ან სხვების დახმარებით ან თვითონ კიდევ ოთხი ბიბლიოთეკა....

ჩვენი დრო იმითით შესანიშნავი, რომ ხალხში — სოფლისაში და უმთავრესად ქალაქისაში — მეტის-მეტად გადიდება სწავლა-განათლების მოთხოვნილება. ახლა სკოლა კი არ ეძებს

*) ამ სკოლების ხარჯში მეტად მცირე წილი უდევს „საზოგადოებასაც“.

მოსწავლეთ, მოსწავლენი ეძებენ სკოლას და, თუ საღმე გაიხ-
სნა ახალი სკოლა, მას აუარებელი მსურველი ატყდება. არა
თუ პატარა, დიდიც მიზნის სკოლის კარებისაკენ და მხურვალედ
ეწაფება სწავლას. ამ დიდა და შესანიშნავს წყურვილს ხალ-
ხისას ყურადღება სჭირია და ჩვენის დროის ინტელიგენციის
უმთავრეს მოვალეობად ხდება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფი-
ლება. მართლაც, ჩვენს დროში განათლებულ ქვეყნების ინტე-
ლიგენცია ბევრგვარად იღწვის ამ ასპარეზზე. არსდება სკოლე-
ბი პატარებისათვის, საკვირაო სკოლები დიდებისათვის, სხვა-
და-სხვა გვარი კურსები, რომლებზედაც ყოველივეს ასწავლიან
წერა-კითხვიდან დაწყებული უნივერსიტეტის საგნებამდე, ჰკით-
ხულობენ ლექციებს, ჰმართავენ კითხვებს სურათებით, წარმო-
დგენებს, აარსებენ მრავლად ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ხსნი-
ან კლუბებს და სხვა და სხვა. ეს მოძრაობა უკანასკნელ 15—20
წელში რუსეთშიაც გავრცელდა და ერთ ქალაქს ვერ იპოვით,
რომ არ არსებობდეს რამდენიმე საკვირაო სკოლა, არ იყოს
რამე კურსები მოზრდილთათვის, არ იმართებოდნენ სახალხო
კუთხვები...

ამგვარი წყურვილი სწავლისადმი ჩვენ ხალხშიაც დიდია
დღეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაკმაყოფილება ცოტაა. გაიხსნება
უ არა საღმე საკვირაო სკოლა, ან გაიგებს ხალხი, რომ საღმე
კითხვას გამართავენ, დიდი და პატარა ბუზივით ირევა იქ რამ-
დენიმე ასობით. გული გიკვდება კაცს, როდესაც ხედავ, რომ
სამუშაო ბევრია, მუშა კი ძრიელ ცოტაა. ამ სამის წლის წი-
ნიდ ვერაზე რამდენმამე ახალგაზდამ დაარსა ორი საკვირაო
სკოლა. მათ აუარებელი ქართველი ხალხი მიაწყდა. რადგანაც
ორივე შენობა პატარა იყო, ძალა-უნდებურად ბევრისათვის უძრი
უნდა ეთქვათ და სწორედ საცოდაობა იყო, როდესაც გამგე-
ნია თითქმის ძალით აგდებდნენ გარეთ სწავლის მოსურნე მო-
ზრდილთა და დარბაისელთა. ნახევარი წლის შემდეგ თრი მო-
თავე და უმთავრესი მოღვაწე ამ საქმეში ტფილისიდან უნდა
წასულიყვნენ; ეცნენ იქით, ითხოვეს აქ, მაგრამ ვერსად ვერა-
ფერი გააწყვეს; წავიდნენ და სკოლებიც დაიხურა, ხოლო მა-ა-

ვალი მოწაფე გულდათუთქული დაბრუნდა სახლში. საკირიაო სკოლებსა და სამრევლო სკოლებსაც ნება ძევთ ჰმართონ „საუბრები“, „ლიტერატურული დილები“ და „სახალხო კითხვები“ თავის მოწაფეთა და მათ მშობლებისათვის, მაგრამ ამ ნებით ნაკლებად სარგებლობენ, რადგან მუშავიც ცოტა და რადგანაც საქმეს ორკანიზაცია უნდა და მოთავეობა.

ნუ თუ ყველა ამას წერა კითხვის საზოგადოება არ უნდა გასძღვოლოდა? ჩვენში ერთად-ერთი განმანათლებელი დაწესებულება ის არის და ამიტომ მარტო მას შეეძლო დამდგარიყო საქმის სათავეში, თავის-თავზე იელო ინიციატივა. სამწუხაროდ, ის არა თუ მათავედ არ გამხდარა ახალის საქმისა, არამედ ახალის დროის მოძრაობას სრულიად უმნიშვნელოდ ჩაუკლია მის-თვის; მის 10—12 წლის ანგარიშებში კვალსაც ვერ იპოვნით ახალის დროის მოძრაობისას. არც პროექტი, არც წინადაღება, არც ცდა რამე ახლისა იმათში არ სჩანს, შაბლონი და რუტინა გამეფებულია ისეთს ცოტხალ საქმეში, როგორიც არის ხალხში განათლების გავრცელების საქმე.

დროა გამოფხიზლებისა; დროა ყურადღება მივაქციოთ ასეთ შესანიშნავს მომენტს ერის ცხოვრებაში, როდესაც ხალხი განათლებისა და ცოდნისაკენ მიისწრავთის. ამ მისწრავებაში სძევს განახლების იმედი და სახსარი. ცხოვრება არ იცდის; ერთხელვე დაპადებულს საზოგადო მოთხოვნილებას დაქმაყოფილება უნდა და, თუ ჩვენ არ ვეცადეთ ამისთვის, ჩვენი ხალხი სხვის სკოლაში წავა, სხვის ლექციებს და კითხვებს მოისმენს... წერა კითხვის საზოგადოების გამგეთ ჩვენ ეურჩევთ დაიწყონ მუშაობა იმგვარად, როგორც მოითხოვს ახალი დრო, ჩვენი დროის მიმართულება.

ხოლო ამისთვის საქიროა მათ დასტოვონ ერთი ძველი დროის წესი და ჩვეულება. ჩვენს დროში თითქმის არც ერთი განმანათლებელი სამეცნიერო საპედაგოგიო ან ხელოვნების საზოგადოება არ აქვთ საიდუმლო სხდომებს. განმანათლებელი საზოგადოება სავაჭრო სახლი და საპოლი-

ციონ დაწესებულება კი არ არის, რომ ცდილობდეს საი-
დუმლოს შენახვას და უფრთხოდეს სინათლეს... ამ ეამად
ყველგან ჩიტოვებულია იმგვერი ძველი წესი; ჯლეს საზოგა-
დოებათა წმართველნი ან თავის სხდომებზე ისწრებენ საზოგა-
დოებათა წევრებს ან და წელიწადში 10 ჯერ მაინც იწვევენ
საერთო კრებებს, რათა ყველასთან ერთად შოთარაკონ ამა-
თუ იმ საქმის შესახებ, დაიწყონ ახალი რამ ცდა, აირჩიონ სექ-
ტიები და კომისიები და მათ მიანდონ ამა თუ იმ საქმის გაძ-
ლოლა. წერა-კითხვის საზოგადოების საზოგადო კრებებს დღეს
ჩენებში აჩავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შეიკრიბება 50-მდე
კაცი, მოისმენს ანგარიშს, დაამტკიცებს მას და დაიშლება. ვის-
თვის ან რისთვის არის საჭირო ამგვარი ფორმა? საჭიროა მო-
ისპოს ამგვარი რუტინა და დამყარდეს გამგეობისა და საზოგა-
დოების შუა უფრო ცხოველი ურთიერთობა. თუ გაკეთდება
რამე, მხოლოდ მაშინ გაკეთდება, როდესაც გამგეთ ექნებათ
ურთიერთობა საზოგადოებისთან, როდესაც ყოველს მუშაკს
განათლების გავრცელების ასპარეზზე შეეძლება თავისი პლანი,
თავისი ფიქრი, თავისი მოსაზრება განუზიაროს გამგეთა და და-
ნარჩენ მოლვაწეთ და მათთან ერთად მოაწყოს ასე თუ ისე საქ-
მე. კანცელიარია ჩენებს ღროში უძლეურია, ხოლო სწავლა-გა-
ნათლების გავრცელების საქმეში ის მხოლოდ მომაკვდინებელ
ფორმალიზმს შეადავს და ცოკხალ საქმეს ღუპავს!.

საანგარიშო თვეში უეცრად გავრცელდა საშინელი ხმა
ჭიათურაში შავი ჭირის გაჩენის შესახებ. უკვე რამდენიმე წე-
ლიშადია, ეს საშინელი სენი მძეინვარებს აზიის სხეა და-სხვა
ადგილებში, ასე რომ, საზოგადოებამ ადვილად დაიჯერა ყო-
ველივე, რასაც კი გარშემო ამბობდნენ ჭიათურაში ავადმყო-
ფობის გაჩენისა და გავრცელების შესახებ. საბედნიეროდ, მალე
ყოველივე ოფიციალურად გამოქვეყნდა და მითქმა-მოთქმას და
შიშიანობას ბოლო მოეღო. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ჭი-
ათურაში შავი ჭირი არ იყო. ოფიციალური ცნობები, რომე-
ლიც დაიბეჭდა გაზეთებში, ამბობდნენ, რომ ჭიათურის მუშათა

შორის გავრცელებული იყო მუცლის ხუნავი (брюшной тифъ) გაძნელებული ფალტვების ანთებით და ცხელებით. ამ ცნობებისა თუმცა დაამშეიღეს საზოგადოება, მაგრამ დასტოვეს მეტად ცული შააბეჭდილება იმ პირობათა შესახებ, რომლებმაც თუ-რჩე ცხოვრობენ მუშები ჭიათურაში. იმავე ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ ჭიათურა წარმოადგენდა საშანელ უწმინდუ-რებისა და უსუფთაობის ბუდეს. მთავრობისაგან გამოგზავნილი საგინგებო მინილობილების მოხელე პოლკოვნიკი ალიხანოვი ქუთაისის უწყებებში⁴⁾, სხვათა შორის, სწერს: „ექმთა საბჭომ და ადგილობრივშია სანიტარულმა კომისიამ, უმთავრეს მიზეზად ჭიათურაში საშიშ სენის გავრცელებისა სცნო აუარებელი თავ-ლები, რომლებითაც სავსეა მთელი სოფელი, საბაზრო მოედა-ნი და მდ. ყვირილის ნაპირები და რომლებიც საშინლიდ უსუ-ფთაოდ ინახავენ. უსუფთაობის მიზეზი კი ის არის, რომ ერთ-ბეწო აღგილზე მოთავსებულია 15 ათასი ცხენი, ვირი და აგ-რეთვე მუშა-ხალხი—ყველა ეს ისეთს წარმოუდგნედს უსუ-ფთაობაში და ანგრა-სანიტარულ მდგრადარებაშაა, რომ კაცის სხეულს არ მაღ-უსს ააგრძნოს ასეთი შერთებები“...*) როგორ მოხდა, რომ ამგვარ აუტანელ პირობებს დროზე არ მიაქცია არავინ ყურადღება? როგორ მოხდა, რომ ისეთს უბინძურეს თავლებში, რომლებმაც საქონლის გაჩერებაც არ შეიძლებო-და, მუშა ხალხიც ცხოვრობდა და ამას არავინ ყურადღება არ მიაქცია? ამ კანონიერ კითხვებზე საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი იმ გამოძიებიდან, რომელიც, როკორც ამბობენ, სწარ-მოებს ამ ეამად უმთავრესის მშართველობის ბრძანებით. გამო-ძიება გამოარყვევს ძველს ამბებს, გამოსძებნის დამნაშავეებს, მაგრამ ეს ცოტაა და აღარც აქვს მნიშვნელობა. საჭაროა უმ-იავრესად, ეხლავ ისე იქნას დაყენებული საქმე, რომ მუ-შები აღარ ჩავარდნენ ისევ იმ „აუტანელ პირობებში“, რომ-ლებმაც სინი ამდენხანს ცხოვრობდნენ. ზოგიერი უკვე მიულია აღმინისტრაციას. სხვათა შორის, პოლკოვნიკ ალიხა-

*) მოვლენა „ცნობ. ფურცელი“-დან № 1139. კურსივი ჩვენია.

ნოვს შემდეგი ბრძანება გაუცია მარგანეცის მწარმოებელთათ-
ვის: „ეცხადებათ შარგანეცის მწარმოებელთ, რომ მათ უნდა
შეიღონ ზომები სამთო წესდების მოთხოვნათა დასაცველად;
უმრავრესად კი დასაცველად 166 მუხლის 1-ლ პარაგრაფისა,
რომელის თანაბეჭდი: 1) მწარმოებელთ უნდა ჰქონდეთ გამარ-
თული მუშათათვის სადღომები, 2) მუშები არ უნდა ატარებდ-
ნენ ღამეს მაღნებზე და 3) არ უნდა იგზავნებოდნენ მაღნებ-
ზე სამუშაოდ ავადმყოფი მუშები“ გარდა ამისა, თავლები უნ-
და წმინდათ ინახებოდნენ და შიგ არასოდეს მუშები არ უნდა
ცხოვრობდნენო. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს პრანგება აღსრულე-
ბული იქნება და შარგანეცის მწარმოებელნი ყურადღებას მიაქ-
ცვენ თავის მუშების მდგომარეობას.

მარგანეცის მწარმოებლებმაც გაიჩინეს დაწესებულება, რო-
მელიც აქვთ ხშირად ერთის დარგის მწარმოებელთ: ყრილობა
თავის საბჭოთი. სხვა-და-სხვა საქმეთა და მოვალეობათა შო-
რის ამ სახოვადო დაწესებულების საგანს შეიადგენს — იზრუ-
ნოს მუშების ჯანმრთელობისათვის და, საზოგადოდ, მათ კე-
თლდღვისათვის. დასახულ მოვალეობათა აღსასრულებლად
საბჭოს სასარგებლოდ მიდის $\frac{1}{2}$ კაპ. მარგანეცის ყოველ ფუ-
თიდან. რომელც გააქვთ მაღნებიდან. ამით გროვდება საკმაოდ
დიდი თანხა, რომელის შემწეობით მარგანეცის მწარმოებელთ
შეძლება აქვთ გაუადვილონ შუშებს შათი ყოფა-ცხოვრება. თუ
დღემდის საბჭოს მაინც და მაინც დიდი არაფერი გაუკეთებია.
შუშებისათვის, ეს, აღმად, იმით აიხსნება, რომ ჯერ ახალგაზდა
დაწესებულებაა და მტკიცედ ვერ გამოურკვევია მოღვაწეობის
პროგრამა. ხოლო უბედურება, რომელიც წელს ეწვია ჭიათურას
და რომელმაც გამოამჯდარნა მეტად უნუგეშო მდგომარეობა
მუშებისა, თვალს აუხელს, აღმად, ყრილობასა და საბჭოს და-
მისცემს სასურველს მიმართუბას შათ მოღვაწეობას.

საბჭოს მოღვაწეობა და აღსრულება ამა თუ იმ სასარგებლო
განზრახვისა ძალიან დამოკიდებულია იმ თანხისაგან, რომელიც
გროვდება მის სასარგებლოდ. ეს თანხა დიდი იქნება, თუ ჭია-

შინაური მიმოხილვა

თურიდან ბევრი მარგანეცი გაიტანეს და ცოტა, თუ წარმოება შემცირდა. მკითხველებს ეცოდინება, რომ მარგანეცის გაზი-დვამ შესამჩნევად იმატა ამ უკანასკნელ ორ წელს. ეს იმ გა-რემოებამ გამოიწვია, რომ მთავრობამ ყური ათხოვა დიდი ხნის ხევწნასა და მუდარას მარგანეცის მწარმოებელთა და დასწია ტარიფი მარგანეცის გადაზიდვაზე რკინის გზით. უწინ ეს ტა-რიფი ძალიან დიდი იყო და მიმომაც შორაპნის მაზრის მარ-განეცის წარმოება ძლივს ღაფავდა სულს; ჩვენებური მწარ-მოებელნი ვეღარ უწევულენ კონკურენციას უცხოელ მარგა-ნეცის და წარმოება მცირდებოდა. წარმოების შემცირებამ ენე-ბა მოუტანა როგორც მწარმოებელთ, ისე მრავალ მუშაოცა, რომელთ საგრძნობლად შეუმცირდათ მოგება; ასე რომ წარ-მოების გაჭირვებული მდგომარეობა მავნეზელი შეიქმნა მთე-ლი მხარისათვის. ხოლო როდესაც ტარიფი დაკლებულ იქმნა, სურათი შეიცვალა....

სამწერაოდ, მაისის უკანასკნელ რიცხვებში ხმა გაერ-ცელდა, რომ რკინის გზებისა და ფინანსების უმთავრესს უწყე-ბას გარდაუწყვეტია კვლავ ასწიოს მარგანეცის გადასაზიდავად დაწესებული ტარიფი. ჩვენ არ ვიცით ჯერ, რამდენად სამართ-ლიანია ეს ხმა, მაგრამ, თუ ის გამართლდა, მარგანეცის წარმოე-ბა ისევ შეფერხდება და იმ მხარეს დიდი ვნება მოუკა. ამი-ტომაც ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებათ და მწერლობა-საც ჰმართებს დახმარება აღმოუჩინოს მწარმოებელთ, რაფ-საც ისინი დაიწყებენ ტარიფის დაკლებისათვის ცდას....

A propos. ბ-ნ ნ. ერმანიას შემთხვევა ეძლევა კიდევ ერ-თხელ გამოგვაცხადოს რეაქციონერად და კაპიტალისტების მომხრედ, რადგანაც ჩვენ კვლავ ტარიფის დაკლების შეიახებ დავიწყეთ ლაპარაკი. ჩვენ ავუხსენით მას „მოაწის“ მარტის წიგნში, თუ რა მიზეზთა გამო შეიძლება ტარიფის შემცირების შესახებ ლაპარაკი; მაგრამ ბ. ნ. ერმანიამ ყური არ ათხოვა იმ ახსნას და კვლავ განიმეორა თავის ბრალდება, რომ ლალ-მა კაპიტალისტებს მისცა მხარიო და უღალატა პროგრესიულ მწერლის მოვალეობასათ. რადგანაც საბუთებს არავითარი გავ-

ლენა არ ჰქონია ბ. ეორდანიაზე და ის თუთიყუშივით იმეორებს სხვის ნათქვამ სიტყვებს, ჩვენ ახლა თავს დავანებებთ საბუთების მოყვანის და მივუთითებთ ბ. ეორდანიას მწს ივტორი-ტეტზე, რომელმაც, როგორც საფიქრებელია, უნდა ჩაგონოს რამ ბ. ეორდანიას. „კვალის“ 1897 წლის მეოთხე ნომერში დასტამბულია პირველ ს აღვრელის გ. ე. წერეთლის მოხსენება ამ სათაურით: „მოხსენება ფინანსისა და რკინის გზის სამინისტროთი დეპარტამენტების დირექტორისადმი“. განსვენებული პუბლიცისტი ამ თავის მოხსენებაში ხსნის, თუ რა მნიშვნელობა აქვს დიდი ტარიფის წარმოებაში და რა ვნება მოაქვს ეს ჩვენის მხარისათვის; პოლოს იმედს აცხადებს, რომ მთავრობა დასწევს ტარიფს როგორც მარგანებზე, ისე სხვა საქონელზედაც. „კვალის“ რედაქცია თავის მხრით შემდეგს დასძენს გ. წერეთლის წერილს: უჩვენდა სასიხარულოდ ტარიფის კოშიტებს ფინანსის სამინისტროისას, როგორც გავიგეთ, კადეც დაუკლია სხვა საქონელზე გადასატანი ფასი, ქვა-გუნდის გარდა შორაპნიდან ჭიათურამდე. ახლა იმედი გვაქვს, რომ მალე ჭიათურიდან შორაპნიმდისაც გაიაფებდა საქონლის და მრავალგვარ ნაწარმოების გადატანა“ *).

„ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“: 1897 წელს „კვალის“ პროგრესიული ორგანო და მისი შექმნლები დემოკრატიის შორის მონიშვნები არიან მაშინაც კი, როდესაც ტარიფის შემცირების შესახებ სიხარულს აცხადებენ; 1898 წელს კი ლალი ბურუუა და კაპიტალისტების მოხსრე, როდესაც იმასვე აშშობს ტარიფის სიციდის შესახებ, რასაც „კვალის“ რედაქცია! მასლას, ბ-ნო ეორდანიავ!

ლადა

*.) „კვალის“ 1897 წ. № 4.

უცხოეთის მიმოხილვა

ინგლის-ტრანსვაალის ომი.—აჯანყება ესპანიაში.—საფრანგეთის საქალაქო არჩევნები.—მოძრაობა ჩინეთში.

ინგლის-ტრანსვაალის ომის შესახებ ჩვენის უკანასკნელის ბასისის შემდეგ („მოამბე“, 1900 წ., III) საქმეთა მდგომარეობა სამხრეთ-აფრიკაში შესაჩნევიდ შეიცვალა. თუ ომის პირველ ხანაში ინგლისელებს გამარჯვება არ უნახავთ, თუ შემდეგ მათ რამდენჯერმე საშინლად დაამარცხეს ბურები, მაგრამ წინ მაინც ნელა მიკოლენენ, რადგანიც ბურები მხნე წინააღმდეგობას უწევდნენ, ეხლა მათ ძლევამოსილს წინმსვლელობას აღრაფერი აბრკოლებს. შეისვენა თუ არა ბლუმფონტენში და შეაგროვა თუ არა იქ ჯარები, რომერტისი დაიძრა აღვილიდან. ეს იყო პპრილის შეი რიცხვებში და იქიდან დაწყებული, მოელის მისისი განმავლობაში, ინგლისის მხედრობაში შესანიშნავის სისწრაფეთ დაიპყრო მოელი ორანჟეს რესპუბლიკა და უმეტესი ნაწილი ტრანსვაალისა. პირველად რომერტის გაშურა კრონშტადტისაკენ, რომელიც გამოცხადებულ იყო დროებით სატახტო ქალაქიდ ორანჟეს რესპუბლიკისა. ბურებს თითქმის არც უცდიათ ქალაქის დაცვა, თავი მიანებდს მას და გახერდნენ ორანჟესა და ტრანსვაალის საზღვარზე, მდინარე ვაალის ნაპირას. ინგლისელებსა და მათთან ერთად ყველას ეკონათ, რომ ბურები გამაგრებენ საზღვარს და ეცდებიან შეაჩერონ მტერი მდინარე ვაალზე. მაგრამ ბურებმა არ ულალატეს ტაქტიკას: აქა-იქ თავდასხმით შეაწუხეს ინგლისის ჯარი; ხოლო

როდესაც იგი მივიღა მდინარესთან, თითქმის უბრძოლველად გაუშვეს წინ და გენერალი ფრენჩი, 14 მაისს, თავის მსწრაფლ-მავალი ცხენოსანი ჯარით, შეესია ტრანსეალს. 16 მაისს ოფი-ციალურად გამოცხადდა ორანჟეს რესპუბლიკის შეერთება ინ-გლისთან.

ტრანსეალის რესპუბლიკაში ინგლისელები უფრო ადვი-ლად და მსწრაფლად წავიდნენ წინ. საქმე გაუჭირდათ მათ მხოლოდ ქალაქ გერმისტონის აღების დროს. ეს ქალაქი უკა-ნასკნელი სიმაგრეა იოპანნესბურგამდის და გარდა ამისა შესანი-შნავი პოზიცია, საიდანაც მიღის ერთად-ერთი გზა ნატალის ახალშენისაკენ. ბურებმა განიზრახეს ქალაქის დაცვა და ერთი დღის განმავლობაში მამაცურად ებრძოდნენ უფალავს ჯარს რობერტისას. დაღამებისას რობერტისმა აიღო ქალაქი. ამით მან ხელში ჩაიგდო პრეტორიისაკენ მიმავალი გზა და ამასთანა-ნავე გზა მოუქრა ბურების იმ დიდ ჯარს, რომელიც ნატალის საზღვარს იცავდა ბულლერის ჯარებისაგან. გერმისტონიდან რობერტის დაიძრა იოპანნესბურგისაკენ. ყველა, ვინც კი ყუ-რადღებით თვალ-ყურს ადევნებდა ომის მსვლელობას, იღელ-და იმ მომენტს, როდესაც ცნობა მოვიდა, —ინგლისელები მი-უახლოვდნენ იოპანნესბურგსათ. კარგა ხანია ხმები გავრცელ-და, რომ ბურებს გარდაწყვეტილი აქვთ — ყოველი ლონე იღო-ნონ და ეს შესანიშნავი ქალაქი არ დაანებონ ინგლისელთაო. ამბობდნენ აგრეთვე, რომ ბურები, თუმცა დასტოებენ ქა-ლაქს, მაგრამ წინედ ააფეთქებენ მას, რათა უვარებისად ჰყონ მისი მდიდარი ოქროს მაღნებით. ზოგიც იმას ამბობდა, რომ ბუ-რებს შეტყუფილება უნდათ ინგლისელებისა იოპანნესბურგშით, იქ კი ყოველივე მზადა აქვთ ასაფეთქებლად და სრულიად ამოსწყეტენ რობერტისი მხედრობასათ. აღელვებული ამგვარის ხმებით მთელი ევროპა სულ-განაბული მოელოდა ამბებს. მაგ-რას ყოველივე ტყუილი გამოდგა: ყველასათვის მოულოდნელად 18 მაისს ამბავი მოვიდა, — გენერალი ფრენჩი შევიდა იოპანნე-ბურგში და ბურებმა საჩქიროდ დაიწიეს უკანო.

მიუვიდა თუ არა პრეზიდენტს კრიუგერს იოჰანნესბურგის აღების ამბავი, ის მაშინვე წავიდა რესპუბლიკის მოხელეები-თურთ ლეიდენბურგს, რომელიც აღიარებულ იქმნა ტრანსვაალის მეორე სატახტო ქალაქად. მაშინვე დაიწყო ბურების გა-ზიზენა ამ ქალაქისაკენ, სადაც, როგორც ჰყიქრობენ, ბურების უკანასკნელად სცდიან ინგლისელების შეჩერებას... დამცველ-თაგან მიტოვებული პრეტორია მაისის უკანასკნელ რიცხვებში გადავიდა ინგლისელთ ხელში და კრიუგერის სასახლეზე დი-დის ამბით აღიმართა და აფრიკალუა ძლევა-მოსილი ინგლისის დროშა...

ამგვარად ორივე მებრძოლ რესპუბლიკების სატახტო ქა-ლაქები ინგლისელების ხელშია; ორანეეს რესპუბლიკა ოფი-ციალურად შეუერთდა ინგლისს, ხოლო ტრანსვაალის უმეტე-სი ნაწილი დაპყრობილია. მიუხედავად ყავლის ამის, ინგლი-სელების საქმე ვერ არის მათვის სასურველ მდგომარეობაში. უთვალის ჯარი დაყოფილია მრავალ ნაწილებად და დასუს-ტებული. ყველა ეს ნაწილები დგანან ცალკ-ცალკე 600 ვერ-სის მანძილზე, რათა მშვიდობიანობა დაიცვან ორანეეს რეს-პუბლიკაში და დაიფარონ გზები კაპის ახალშენისა და ორან-ეეს რესპუბლიკის შეა ერთის მხრით და ორანეესა და პრეტო-რიის შეა მეორეს მხრით. თითოეული ნაწილი ჯარისა არ აღმა-ტება 10 ათას კაცს, რომელთაც უძნელდებათ ბურების უეც-რივ თავდასხმის მოვერება. როდესაც ინგლისელები ტრანსვაალს იპყრობდნენ, ბურების პატარ-პატარა რაზმებმა თავი ამოჰყვეს ორანეეს რესპუბლიკაში და რამდენჯერმე საგრძნობლად და-მარცეს ინგლისელნი. 25 მაისს ბურებმა ქალაქ ლინდლეის-თან ტყვედ წაიყვანეს მთელი რაზმი იომანრისა; ამათი გამოხ-სნა მოინდომა გენ. მეტუენმა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. წი-ნედ ბურებმა წართვეს ინგლისელთ ქალაქი ჰეილბორნი. 28 მაისს როდევალთან ბურებს დანებდა ერთი ბატალიონი ინგ-ლისის რაზმი, რომელიც იცავდა ჩეინის გზის ხიდს... მეორეს მხრით, ინგლისს ძალიან უჭირვებს საქმეს აშანთიების აჯანყე-

ბა, რომლის მოსასპობლიდ დიდი ხანია გაიგზავნა დიდი ჯარი; მაგრამ დღემდის მას ვერაფერი გაუშევია.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ, თუმცა ერთ მუჭა ბურების დამარცხება დიდმა ინგლისმა ადეილად შეძლო, მაგრამ მათი დამორჩილება და დაპყრობა მეტად ძნელი ყოფილა....

უცხოელთა დახმარების იმედმა სრულიად უმტკუნა ბურებს. ევროპაში მათ დეპარტატის ცივად დახვდნენ, რომ საგანგებო მისიამ ამჯობინა თავი დაეწებებინა ევროპისათვის და ამერიკაში წასულიყო. ამერიკის სახოგადოება უფრო მეტის თანაგრძნობით იყო აღსავს ბურებისადმი და ამიტომაც ყველას იმედი ჰქონდა—განათლებული დემოკრატია შეიძრალებსო საცოდავ ერს, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის ისე, როგორც ერთ საუკუნის წინ თვით ამერიკელ ნი ებრძოდნენ იმავე ინგლისელებს. მაგრამ მოლოდინი არც აქ გამართლდა: ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკამ მიიღო ბურების დეპარტატი, ხოლო მათ სასარგებლოდ საქმეში ჩარევაზე უარი განაცხადა... ასე რომ ევროპამ და ამერიკის შტატებმაც არ ინტენს ჩელის განძრევა მრავალტანჯულ ბურების დასაცელელად.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რასაკვირველია. სახელმწიფოთა ახლანდელი წყობილობა იმჩაირია, რომ ყოველი მათგანი იძულებულია მტაცებლობის პოლიტიკას მისდიოს. კაპიტალისტური მეხანიზმი დღვანდელ სახელმწიფოსი მიოშენება, თუ მან ეგოისტური პოლიტიკა არ აწარმოვა და იდეალისტურ მისწრაფებათ აჰყავა. მარულაც, ყველანი ამ ებმად ცდოლობენ ჩაიგდონ ხელში ახალი ტერრიტორია და ვისდა შეუძლია დასძრახოს ინგლისელებს ან წინააღმდეგს მის ძალმორების! „ყოველ სახელმწიფოსა ჰყავს თავისი ბურებით“, — იოხუნჯა კრებაზე ერთმა სოციალისტმა ბელგიაში და მშენებერადაც დახხიდითა ამ ერთის ფრაზით საქმეთა ვითარება: რომ ელი სახელმწიფო გაბედვის მრავალტანჯულის ერის გამოსარჩევებას, როდესაც თითოეული მათგანი სიამოვნებით ჩაიდენს იმასვე, რასაც ინგლისელები შეებიან ბურების შესახებ.

თვით უდიდესი დემოკრატული რესპუბლიკა, თავისუფლების და ერთობის დიდი მოყვარული, ჩრდილოეთ ამერიკის „შრატები ებრძვიან დღეს ფრთხილელთ, რომელთაც მერიკის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და რომელთა „განთავისუფლებისთვის“ ამერიკამ სისხლიც დაღვრა. საქმე სხვა — ინგლისი ისეთივე სუსტი სახელმწიფო იყოს, როგორც, მაგალითად, ესპანია არ ის. მაშინ, შეიძლება, სახელმწიფოებს გაეტენდათ საქმეში ჩარცვა იმ იმედით, რასაკვირველია, რომ შემდეგ რამეს დინარჩუნებდნენ თავისევე სასარგებლოდ. მაშინ ნეიტრალიტეტის დაცვის საჭიროება არაეს გახსენდებოდა, როგორც არ გახსენებია იგი ამერიკას, როდესაც ესპანიასა და კუბის შუა არსებულ ომში ჩატრია...

საცოდავი ესპანია ამ ომის შემდეგ სულ შფოთვაშია და ტანჯვა-წვალებაში. ვერ იქნა და ვერ მოაწყო თავისი საქმეები. ჯერ კუბასთან რამდენიმე წლის ბოროლამ, შემდეგ ამერიკასთან ომია ისეთნაირად დაასუსტეს ეს ისედაც უძლური სახელმწიფო, რომ ლამის სულ მოიშალოს. საფინანსო და საეკონომიკო კრიზის ზედ დაერთო მეტად საშიში ბოროლა სამხედრო და სამოქალაქო წოდებათა შორის, რომელიც ყოველთვის იყო ესპანიაში და რომელიც ეხლა ძლიიან განწვავდა. სახელმწიფოს მართვა, საფინანსო კრიზისის გამო, მეტად გაჭირდა. მრავალი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი აჩება. საინიციტორმ, ბევრის ყოფილობის შემდეგ, გაბედა და გადასწყვიტა ფინანსების გაუმჯობესობისათვის შემოიღოს ახალი გადახსადები და მოუმატოს ზოგიერთ ძელს. შეიტყო თუ არა ერმა ამგვარი გადაწყვეტილება, მაშინვე აღელდა. მაცრიდში, სევილიაში, სარაგოსში, ვალენციაში ნამდვილი აჯანყება მოხდა. პოლიცია და ჯარი ძლივს ამარცხებდნენ გაშმაგვალებულს ხალხს. ბოლოს, როგორც იქნა წესიერება აღდგენილ იქნა, მაგრამ სამინისტრო იძულებული გახდა უკან წაელო თავისი პროექტები. მხოლოდ რადიკალური ეკონომიკური - პოლიტიკური რეფორმები უშველიან ამ დაუძლურებულს ქვეყანას, მაგრამ ჯერჯერობრივ არ დღინძლდა ესპანიაში პარტია, რომელ საც შეეძლოს განხორციელება რეფორმებისა...

საყურადღებო ამბავი მოხდა საანგარიშო თვეს საფრანგეთშიაც. ეს იყო — საქალაქო არჩევნები. დასავლეთ ევროპაში საქალაქო არჩევნებს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც მაჩვენებელი არიან ერის მიმართულებისა, — იმისა, თუ რასა ჰერძობს და საითკენ უფრო მთალტვის ავ უამად ერი... საფრანგეთის უკანასკნელმა საქალაქო არჩევნებმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა განათლებული ევროპა. პროვინციაში იქ ისევ რესპუბლიკანელებმა გაიმარჯვეს: დიდ პროვინციალურ ქალაქებში მუშების წარმომადგენლებმა გაითარჯვეს, პატარეებში — ბურეუაზიის წარმომადგენლებმა. ეს ჩეველებრივი მოვლენაა საფრანგეთის უკანასკნელ წლების ცხოვრებაში; რესპუბლიკაშ მაგრაც გაიდგა ფესვები ერის ცხოვრებაში და მონარქიელთა გამარჯვების შიში აღარავისა აქვს. ეხლა რესპუბლიკელთა და მონარქიელთა შორის კი არ არის უმთავრესი ბრძოლა, არამედ დემოკრატიისა და ბურეუაზიის შორის; ეს ბრძოლა თან-დათან ძლიერდება და არღვევს წინანდელ განაწილების პარტიებისას. ეხლა ბურეუაზია (წვრილ ბურეუას გარდა) ხშირად აძლევს ძალად ხელს არისტოკრატიას, რათა შეერთებულის ძალით შეებრძოლოს მუშათა პარტიას. ამიტომაც დასავლეთ ევროპაში თითქმის ცველგან, ამგვარ ამბებსა ვხედავთ: იმარჯვებენ უკიდურესი პარტიები ორივე მხრით — უკიდურესი პარტია ჩეფორმებისა და უკიდურესი პარტია statu quo'-ს დასცველად: ხოლო რადიკალურ-ლიბერალური პარტიები დღიო-დღე უძლურდებიან და იშლებიან. საფრანგეთის პროვინციალურ ქალაქებშიაც ასე მოხდა ეხლა: გაიმარჯვეს სოციალისტებმა ერთის მხრით და კონსერვატიულ რესპუბლიკელებმა მეორე მხრით, ხოლო რადიკალები დამარცხდნენ. გახაკვირველი, ისიც ერთის შეხედვით, წრევანდელს არჩევნებში იყო მხოლოდ — პარიზის საქალაქო არჩევნები.

პარიზის მუნიციპალიტეტში დღემდის ბატონობდნენ ხოლოისტები, რადგანაც უმრავლესობას ისინი შეადგენდნენ. სულ მუნიციპალიტეტში 80 წევრია. ესენი განაწილებული იყვნენ უკანასკნელ არჩევნებამდე ასე:

სოციალისტი	30	ან	$37\frac{1}{2}\%$
რადიკალი.	24	"	30%
ზომიერი რესპუბლიკელი.	16	"	20%
მონარქიელები	8	"	10%
მონარქიელები, რომელ-			
ნიც რესპუბლიკას შეუ-			
რიგდნენ.	2	"	$2\frac{1}{2}\%$
<hr/>			
სულ	80	"	100%

მოხალოდნელი იყო, რომ, რაღანაც მუშათა გოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება, უკანასკნელ არჩევნებზე სოციალისტებს კიდევ უფრო მეტს აირჩევდნენ; მაგრამ ნამდვილად ისინი ნაკლები ამოირჩიეს. აი როგორ განაწილდა პარტიები არჩევნების შემდეგ:

ნაციონალისტები	43	ან	$53\frac{3}{4}\%$
სოციალისტები	23	"	$28\frac{3}{4}\%$
რადიკალები.	11	"	$13\frac{3}{4}\%$
ზომიერი რესპუბლიკელი. .	3	"	$3\frac{3}{4}\%$
<hr/>			
სულ	80	"	100%

თუმცა ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ სოციალისტთა პარტია შემცირდა პარიზის მუნიციპალიტეტში, მაგრამ, თუ ღრმად ჩა-ვუკირდებით საქმეს, დავინახავთ, რომ აქაც გაიმარჯვა თანა-მედროვე ტენდენციამ, ესე იგი, უკიდურეს პარტიების ზრდამა და შუათანა პარტიების დამარცხებამ. მართლაც, მაშინ როდე-საც სოციალისტთა პარტიამ იკლო $1\frac{1}{4}$ პროცენტით, რადი-კალთა პარტია განახვერდა — $13\frac{3}{4}\%$ ამოირჩიეს 30% მა-გიერ. ხოლო რეაქციონერთა ყველა ელემენტები შეერთდნენ და გაიყვანეს 43 ნაციონალისტი. უკანასკლები აირჩიეს არის-ტოკრატებმა, კლერიკალებმა და უმაღლეს ბურჟუაზიამ. პარიზი, სწორედ რომ ვთქვათ, განიყო თრ უმთავრეს ნაწილად: ერთის მხრით იდგა დემოკრატია (მუშები და წვრილი ბურ-ჟუაზია), მეორეს მხრით ყველა რეაქციონერთა პარტიები, რო-რომელნიც ნაციონალისტებს ჩიეკედლნენ. ეს განაწილება სჩანს

შემდეგ საყურადღებო კუურებისან: პარიზის იმ უბნებში, რო-
შელნიც დასახლებულნი არიან არასტანტიით და უმაღლეს
ბურეფაზით, ნაკუონალისტებმა მიიღეს 6 მასის აჩჩენებზე
32.888 ხშა, მათ მოწინააღმდევებმა — 18.770 ხშა; ხოლო მუ-
შებისა და წვრილ ბურეფაზის უბნებში ნაკუონალისტებმა მი-
იღეს მხოლოდ 57.005 ხშა, მათ მოწინააღმდევებმა კი —
143.720 ხშა.

ამრიგად, საფრანგეთის უკანასკნელი არჩევნები შემდევს
გვეუბნებიან დაახლოვებით: რესპუბლიკური წეს-წყობილება გა-
მაგრდა შესამჩნევად; გაძლიერდა ბრძოლა დემოკრატიისა და
ბურეფაზის შორის; სოციალისტებს თავიანთი პოზიციები მა-
გრად უჭირავთ; ლიბერალურ-რადიკალური პარტიები ირლვევი-
ან; ყველა რეაქციონერები გროვდებიან ერთად მუშაობა შესა-
ნიშნავ მოძრაობის შესახერებლად.

მასის უკანასკნელ რეცხვებში მთელი ევროპა შეინძრია
შორეულ აღმოსავლეთიდან მოსულ ამბებმა: დღემდის ჩინეთი,
კარეგნობით მაინც, დამშვიდებით უყურებდა ევროპიელთა თა-
რეშობას მის ქვეყანაში; ბოლოს, კი მისი მოთმინების ფიალა
აივსო: უზარმაზარი გვამი შეინძრა და ევროპა შიშმა მოიცვა...
(1)

მაგრამ ამის შესახებ ბაასი შემდეგ წიგნიშე ვადავ -
დვათ.

ლეჩლია